ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – განათლების მეცნიერებები

ფიქრია ვარდოსანიძე

# „ხარისხის უზრუნველყოფისა  და ინტერნაციონალიზაციის პროცესების ურთიერთმიმართების კვლევა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე“

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ნინო ჯავახიშვილი
პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამაზ კარანაძე
ემერიტუსი პროფესორი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ

თბილისი
2022 წელი

შინაარსი

აბსტრაქტი -----------------------------------------------------------------

შესავალი --------------------------------------------------------------------1

**თავი I.** თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე

1.1.უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ----------------------------3

1.2.უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ---------------------- 17

1.3.ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციას შორის მიმართება-26

**თავი II.** უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე საქართველოში ------------------ 34

2.1.საქართველოში განხორციელებული კვლევები სადოქტორო საფეხურის შესახებ-42

2.2.განათლების სადოქტორო საფეხური საქართველოში -------------------- 47

2.3.უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში ---- 53

2.4.უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში ------ 55

2.5.კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის კითხვები ------------------------- 64

2.6.კვლევის მეთოდი ---------------------------------------------------------- 68

2.7.შერჩევა ----------------------------------------------------------------------- 71

2.8.ინსტრუმენტები ------------------------------------------------------------- 78

**თავი III.** კვლევის შედეგები ------------------------------------------------------

3.1.რაოდენობრივი კვლევა ------------------------------------------------- 79

3.2.თვისებრივი კვლევა -------------------------------------------------------101

3.3.შედეგების ანალიზი ------------------------------------------------------151

გამოყენებული ლიტერატურა -------------------------------------------162

დანართები ---------------------------------------------------------------172

# აბსტრაქტი

სამყარო იცვლება, იცვლება უმაღლესი განათლებაც და უმაღლესი განათლების საერთაშორიო განზომილება. ის ხდება უფრო მნიშვნელოვანი და ამავდროულად რთული. წინამდებარე კვლევის მიზანია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის მიმართების შესწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

თემის აქტუალობა განაპირობა ახალმა მოთხოვნებმა საგანამანათლებლო სივრცეში, სადაც ხდება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება, ერთიან სამეცნიერო სივრცეში კვლევების მოქცევა და ა.შ. ბოლო პერიოდში უფრო და უფრო აქტუალური გახდა სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის საკითხი. საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის სიახლეებს თუ გამოწვევებს, რომლებიც გლობალურად მიმდინარეობს. უმაღლესი განათლებისათვის მნიშვნელოვანი თემებიდან კვლევისათვის შევარჩიე ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართების საკითხი სადოქტორო საფეხურზე.

თუ საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შემოთავაზებულ მოდელს გამოიყენებენ ინეტრნაციოანლიზაციის შეფასებისას, ეს უფრო სისტემურს გახდიდა ინეტრნაციონალზიაციის მნიშვნელოვან და მრავალფეროვან პროცესს, იქნებოდა ტერმინის სიღრმისეული გააზრებაც და მაქსიმალურად შემცირდებოდა პროცესის ქაოტურობა. როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული შენატანი, პროცესის/განხორცილების გზები, მეთოდები, საშუალებები და მოსალოდნელი შედეგები, ანუ ამონაგები, სისტემურადაა შესაძლებელი უნივერსიტეტებმა დაინახონ რამდენად ეფექტიანად

ახორციელებენ ამ პროცესს, ან დაინახონ ნაკლოვნებები და ეფექტიანად გამოასწორონ.

საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა და აქვს სპეციფიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მათ შორის განათლების სისტემა. საქართველოსათვის ძირითადი სტრატეგიული მიზანი - ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება - ჯერ კიდევ მხოლოდ სამომავლო პერსპექტივაა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაუღალავი მუშაობაა. ჩვენი ქვეყნის განათლების სივრცეში ხშირია რეფორმების პირდაპირ გადმოტანა, ადგილობრივი კონტექსტის გაუაზრებლად, რაც, სამწუხაროდ, ართულებს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააზრებულად წარმართვას, აქვს ფორმალობის ელფერი და ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ობიექტურობასა და ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციოანლიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართების შესწავლა და კვლევის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა (ინტერნაციოანლზიაციის შეფასების სქემის სახით), უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ცნობადობისათვის. სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაცია ეს არის უფრო კულტურათა შორის დიალოგი, უნივერსიტეტის ინტეგრირებაა მსოფლიოს უმაღლეს, გლობალურ საგანმანთლებლო სივრცეში, ესაა ჩართულობა საერთაშორისო და საუნივერსიტეტო ქსელებში და ამ პროცესის გარეშე წარმოუდგენელია უნივერსიტეტეტის მისიის შესრულება.

Abstract

The world constantly changes, so does the higher education and its international dimension. Together with the increase in its importance, the higher education is becoming more difficult as well. The aim of the present study is to research the relationship between internationalization policy and quality assurance mechanisms in higher education institutions in the third stage of higher education.

The urgency of the topic was conditioned by the new requirements in the educational space, which include getting closer to the international standards, improving the quality of teaching and research, turning research into a unified scientific space, etc. Recently, the issue of internationalization of teaching and research has become more and more relevant. Georgia, naturally, cannot ignore the news or challenges that are taking place globally. Among the numerous topics important for higher education, the issues I have selected for the research are the quality assurance and the internationalization of education at the doctoral level.

If Georgian higher education institutions use this proposed model in the evaluation of internationalization, it would make the important and diverse process of internationalization more systematic, there would be an in-depth understanding of the term and the chaos of the process would be minimized. When the input, process, implementation, methods, means, and expected outcomes, or outputs, are precisely defined, it is systematically possible for universities to see how effectively they are performing the process, or to see shortcomings and to correct them effectively.

Georgia is a former Soviet republic with specific socio-political and socio-economic characteristics, including an education system. The main strategic goal for Georgia - to join the Euro-Atlantic structures - is still only a future perspective, despite the tireless work in all areas of public life to achieve the goal. In the education space of our country, it is common to bring reforms directly, without understanding the local context, which, unfortunately, complicates the deliberate conduct of the internationalization process, is only a formality and calls into

question the objectivity and efficiency of the process. Based on the above, the study of the relationship between internationalization and quality assurance in the third level of higher education in Georgia and the presentation of relevant recommendations based on the research (in the form of internationalization evaluation scheme) is crucial for the further improvement of higher education and international recognition in our country. Internationalization at the doctoral level is more of a dialogue between cultures, the integration of the university into the world's higher, global educational space, the involvement in international and university networks, and without this process it is impossible to fulfill the mission of a university.

# შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის - „ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების ურთიერთმიმართების კვლევა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე“ **საკვლევი თემის აქტუალობა განაპირობა** ახალმა მოთხოვნებმა საგანამანათლებლო სივრცეში, სადაც ხდება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება, ერთიან სამეცნიერო სივრცეში კვლევების მოქცევა და ა.შ.

ბოლო პერდიოში უფრო და უფრო აქტუალური გახდა სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის საკითხი. საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის სიახლეებს თუ გამოწვევებს, რომლებიც გლობალურად მიმდინარეობს. უმაღლესი განათლებისათვის მნიშვნელოვანი თემებიდან კვლევისათვის შევარჩიე ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართების საკითხი სადოქტორო საფეხურზე.

**კვლევის საგანია** საქართველოს უმაღლეს სასწავლო სახელმწიფო დაწესებულებებში განათლების მესამე საფეხურის ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართება.

**წინამდებარე კვლევის მიზანია** უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის მიმართების შესწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

- ამოცანა 1. თეორიული კვლევა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს რელევანტური ლიტერატურის (არსებული კვლევების, თეორიების) განხილვას შემდეგ საკითხებზე:
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია სადოქტორო საფეხურზე, მათ შორის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში
- ინტერნაციონალიზაციის თეორიები; სისტემური მიდგომა ინტერნაციონალიზაციისადმი
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სადოქტორო საფეხურის განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, მათ შორის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში

- ხარისხის უზრუნველყოფისადმი სისტემური მიდგომა
- ამოცანა 2. ემპირიული კვლევა - რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. მათ შორის:
- უსდ სადოქტორო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება
- ჩაღრმავებული ინტერვიუები უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგარეო ურთიერთობების სამსახურთან და დოქტორანტებთან.

**კვლევის ინსტრუმენტებად** გამოყენებულია: რაოდენობრივი კვლევისათვის კითხვარები და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

**კვლევისათვის შერჩეული და გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი** მეთოდები. კვლევა განხორციელდა **ორ ეტაპად:** პირველ ეტაპზე შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები, ხოლო მეორე ეტაპზე – თვისებრივი. გამოვიყენე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შერჩევისას მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის პრინციპი. კვლევის მეორე ეტაპზე სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუების საფუძველზე მიღებული მონაცემები დამუშავებულია თემატური ანალიზით.

**სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულებაა** საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციოანლიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართების თეორიული ჩარჩო.

**სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებაა** განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესის ეფექტიანი მოდელის შექმნა, მორგებული უმაღლესი განათლების ქართული სივრცისთვის.

# I თავი. თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე

## 1.1. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის ცნების განსაზღვრის დროს გვხვდება მრავალი განსხვავებული აზრი. წლების განმავლობაში ბევრი კვლევის მიუხედავად, ინტერნაციონალიზაციის კონცეფციამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია დეფინიციის საბოლოო ვარიანტს, რომელიც უნივერსალურად მისაღები იქნებოდა ყველასთვის. ცნების განსაზღვრებების ეს მრავალფეროვნება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, ავსებს კიდეც, რადგან, თავად ცნებაა მრავლისმომცველი და, აქედან გამომდინარე, შეიძლება, განმარტების ეს მრავალწახნაგოვნება ბუნებრივიც იყოს, რადგან სხვადასხვა ავტორი ცნების განსხვავებულ ასპექტს აქცევს ყურადღებას, ან შედარებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

ნაშრომში განხილულია ის მკვლევრები, რომლებმაც იკვლიეს ინტერნაციონალიზაციის ცნების მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული დანიშნულება უმაღლეს განათლებაში. აღმოჩნდა, რომ ინტერნაციონალიზაციის თეორიას და ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ აღქმას შორის სხვადასხვაობაა. **ინტერნაციონალიზაციის თეორიულ მხარედ** მიიჩნევა შემდეგი საკითხების განხილვა უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროს გაფართოება, სასწავლო პროცესის ხარისხი, ცხოვრების სტილის გაუმჯობესება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა, საგანმანათლებლო და ინტელექტუალური ღირებულებები, აკადემიური სფეროს გაძლიერება, გლობალური ცნობიერებისა და საერთაშორისო გალენა. **ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ მხარედ** მოიაზრება კომერციალიზაცია: უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა, საერთაშორისო ბრენდის და რეპუტაციის შექმნა, უნივერსიტეტის სახელის ბრენდად ქცევა, კონკურენცია და ა.შ.

მკვლევარი დე ვიტი და სხვები (ასევე ჯანი ნაითი) გამოყოფს ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ და თეორიულ მიდგომას. თეორიული თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაციის ტერმინის განიმარტება შემდეგნაირია: ა) სოციო-კულტურული, ბ) ეკონომიკური და გ) აკადემიური; ეს

მიდგომები მოიცავს ინტერკულტურულ გაგებას, მოქალაქეთა განვითარებას, ფოკუსირებას ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენციაზე, სამუშაო ბაზრის განვითარებაზე და ფინანსური წარმოების ხელშეწყობაზე, ასევე, ინსტიტუციურ შენებას, უნივერსიტეტის პროფილსა და სტატუსს. ხოლო პრაქტიკული გაგებით, ესაა კარგი ინსტრუმენტი, რითაც უსდ-ები უპასუხებენ თანამედროვე გამოწვევებს განათლებაში: უცხოელი სტუდენტების მიღებას, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობას, კომერციალიზაციას, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. ეს კომპონენტები ქმნიან უსდ-ების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ პოლიტიკას.

ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ განხორციელებასთან მიმართებაში არსებობს ე.წ. მარინგის უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები, ესენია: 1) უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა; 2) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა; 3) სწავლება და თანამშრომლობა საზღვარგარეთ, ანუ ერთობლივი პროგრამები; 4) კვლევის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა; 5) კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია (იწყება მცირედი შინაარსობრივი ცვლილებით და ვრცელდება მიზნების, სწავლების მეთოდების და შეფასების ფუნდამენტურ ასპექტებამდე) (Maringe 2010).

**ლარსენის** (Larsen, Marianne A) მიხედვით, კრიტიკული თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაცია რიტორიკულად (ანუ თეორიულად) აღიარებულია, როგორც იდეოლოგიური, ხოლო პრაქტიკაში აღიარებულია პრაგმატული მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა უსდ-ს ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესორები იზიარებენ ინტერნაციონალიზაციის ერთსა და იმავე ღირებულებას, მაინც არსებობს სხვაობა მათ აღქმასა და დამოკიდებულებებს შორის პრაქტიკაში (Khorsandi, 2014).

მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობას იღებენ განსხვავებული მიზნის გამო. ეს ინიციატივები შეიძლება ვარირებდეს ტრადიციული მოტივებიდან, (სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, სასწავლო კურიკულუმის ცვლილება, საერთაშორისო ინსტიტუციური კავშირები,

რომელიც მიმართულია სწავლებისა და კვლევისთვის). გლობალური პროგრამების და იმ საკვანძო კავშირების შექმნამდე, რომელიც აახლოვებს უფრო პოპულარულ და ნაკლებ პოპულარულ უნივერსიტეტებს ერთმანეთთან. ინტერნაციონალიზაციის მოტივები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა შიდა მოთხოვნები გააჩნია უნივერსიტეტებს. ისინი, შესაძლოა, შეიცვალოს სასწავლო პროგრამის, ადამიანთა ურთიერთობების და საბაზრო პოლიტიკის მიხედვით. ფინანსური მოტივი არის პირველი და ყველაზე ძლიერი მოტივი. ანუ, ინტერნაციონალიზაცია განპირობებულია საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვის სურვილით და გადაფარულია უფრო „ზედაპირული" საკითხებით, რომელიც უნივერსიტეტის კულტურას უკავშირდება.

მკვლევრებმა (ჰანს დე ვიტი, დარლა კ. დეარდორფი, ჯონი დეილი, ტონი ადამსი) გამოყვეს ინტერნაციონალიზაციის ხუთი ჩარჩო: 1) საგანამანათლებლო პროგრამების, მათ შორის, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაუმჯობესებული ხარისხი; 2) კვლევის გაუმჯობესებული ხარისხი; 3) დაფინანსება; 4) სარგებელი ფართო საზოგადოებისათვის; 5) რეპუტაციის გაზრდა/ბრენდირება. სოდერქვისტის (Söderqvist, 2017) აზრით, ინტერნაციონალიზაცია ქვეყანაში ახდენს უმაღლესი განათლების სისტემურ ცვლილებას, რომელიც უპირობოდ ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხის გაძლიერებას და უნივერიტეტში საერთაშორისო მახასიათებლების გაძლიერებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია არის ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეროვნულიდან საერთაშორისოსკენ შეცვლის პროცესი, რომელსაც მივყავართ მენეჯმენტის ყველა ასპექტში საერთაშორისო განზომილების ჩართვისკენ, კვლევის და სწავლების ხარისხი გასაუმჯობესებლად და სასურველი კომპეტენციების მისაღწევად. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ინტერნაციონალური ეროვნული უმაღლესი განათლება, საერთაშორისო მახასიათებლების შეცვლის პროცესშია, რათა აამაღლოს სწავლებისა და კვლევის ხარისხი. (Söderqvist, 2017, გვ:29).

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევრის, ჯანი ნაითის (Knight, 2012) სტატიაში წარმოდგენილი

ინტერნაციონალიზაციის კონცეპტუალური ჩარჩო მიზნად ისახავს მიდგომების, პოლიტიკის და სტრატეგიების მრავალფეროვნების ანალიზს, რომლებიც უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო, კულტურათაშორისი და გლობალური განზომილებების ინტეგრაციის პროცესში. ნაითის მიხედვით, „ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების პროექტებს; ინსტიტუციურ ხელშეკრულებებს და კავშირებს; სწავლება-სწავლის პროცესის საერთაშორისო, კულტურათაშორის განზომილებას, სასწავლო გეგმას და კვლევას და სხვ. რამდენადაც გლობალიზაცია და ცვალებადი გარემო გავლენას ახდენს განათლებაზე, ინტერნაციონალიზაციაც ხდება ცვლილებების, გამოწვევების აგენტი. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის მოდელის უმაღლესი განათლების საერთაშორისო განზომილების ჩარჩოების განხილვა ინსტიტუციონალური პოლიტიკის, დაფინანსების, პროგრამების და მარეგულირებელი ჩარჩოების დახმარებით. "საერთაშორისო, კულტურათაშორისი და გლობალიზაცია ეს ის არის სამი ტერმინი, რომლებიც ერთად ასახავენ ინტერნაციონალიზაციას. საერთაშორისო ახორციელებს ურთიერთობებს ერებს, კულტურებსა თუ ქვეყნებს შორის. ინტერნაციონალიზაცია ასევე ეხება კულტურათა მრავალფეროვნებას, რომლებიც არსებობს ეროვნულ და ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე... და ბოლოს, გლობალიზაციას, რომელიც მოიცავს მსოფლიოს" (Knight, 2012, გვ. 1-3). ნაითის ძირითადი მიგნებაა ინტერნაციონალიზაციის ტიპოლოგიის ჩამოყალიბებაა, ანუ ტიპოლოგიზაცია. მიუხედავად მრავალგვარი განსაზღვრებისა და საჭიროების ერთსულოვნად აღიარებისა, უსდ-ები მაინც არ იყენებენ ინტერნაციონალზიაციას ისე მრავალწახნაგოვნად, როგორც შეიძლება გამოიყენონ და ძირითადად შემოიფარგლებიან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობით.

ნაითს აქვს საინტერესო მოსაზრება ინტერნაციონალიზაციის ე.წ. მითების შესახებ. **მითი პირველი: უცხოელი სტუდენტები, როგორც ინტერნაციონალიზაციის აგენტები,** უფრო მეტი უცხოელი სტუდენტი სტუდენტურ კამპუსებში შექმნის უფრო ინტერნაციონალიზებულ ინსტიტუციურ კულტურასა და სასწავლო გეგმას. **მითი მეორე: საერთაშორისო**

**რეპუტაცია,** მეტყველებს იმაზე, რომ რაც უფრო მეტი საერთაშორისო უნივერსიტეტია - სტუდენტების, ფაკულტეტის, სასწავლო გეგმის, კვლევის, შეთანხმებების და ქსელის წევრობის თვალსაზრისით, უკეთესი იქნება მისი რეპუტაცია. **მითი სამი: საერთაშორისო ინსტიტუციური ხელშეკრულებები** ხშირად ითვლება, რომ უნივერსიტეტში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ ქსელის წევრობის უფრო მეტი რაოდენობა უფრო პრესტიჟული და მიმზიდველია სხვა ინსტიტუტებისა და სტუდენტებისთვის. მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტეს ინსტიტუტებს არ შეუძლიათ დიდი რაოდენობის (მაგ. ასზე მეტი) ხელშეკრულებების მართვა ან თუნდაც სარგებლობა. აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობების შესანარჩუნებლად საჭიროა ადამიანური და ფინანსური რესურსების უდიდესი ინვესტიცია ფაკულტეტის წევრებისგან, განყოფილებებისა და საერთაშორისო ოფისებისგან. ამრიგად, საერთაშორისო პარტნიორების გრძელი სია ხშირად ასახავს ქაღალდზე დაფუძნებულ ხელშეკრულებებს და არა პროდუქტიულ პარტნიორს. კიდევ ერთხელ, რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ხარისხი, ასევე პროფესორები და მკვლევარები იმედგაცრუებულები არიან ინტერნაციონალიზაციის ზემოდან ქვემოთ მიდგომით. **მითი მეოთხე: საერთაშორისო აკრედიტაცია.** საერთაშორისო აკრედიტაციები უცხო ქვეყნის სააგენტოებიდან (განსაკუთრებით აშშ-დან) საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოს ყველა კუთხეში. წინაპირობად იქცა, რომ რაც უფრო მეტი საერთაშორისო აკრედიტაცია აქვს ინსტიტუტს, მით უფრო ინტერნაციონალიზებულია. ეს უბრალოდ არ შეესაბამება სიმართლეს. ხარისხის უცხოური აღიარება არ ეხმიანება სწავლების / სწავლების, კვლევისა და საზოგადოებისთვის მომსახურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო საქმიანობის მასშტაბს, ან მნიშვნელობას, ან საზოგადოებრივი ჩართულობის ან კერძო საწარმოს საშუალებით. **მითი მეხუთე: გლობალური ბრენდინგის მითი.** ეს ეხება არასწორ ვარაუდს, რომ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მცდელობების მიზანია გლობალური ბრენდის ან პოზიტიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს იწვევს საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიის ინტერნეტიზაციის გეგმას: რეკლამა და ბრენდინგი, გლობალური ბრენდის ინიციატივაში დასახული მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ინვესტიცია

განსხვავდება აკადემიური ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო მიზნებისგან. ამრიგად, მითია, რომ საერთაშორისო მარკეტინგის სქემა არის ინტერნაციონალიზაციის გეგმის ეკვივალენტი. ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სტრატეგიული და წარმატებული ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგმა შეიძლება გამოიწვიოს მეტი საერთაშორისო ხილვადობა, მაგრამ აღიარება არ არის მიზანი - კერძოდ, ეს არის პროდუქტი.

მკვლევარმა ჯანი ნაითმა შემოგვთავაზა ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ტიპოლოგიზაცია, რომელიც გამოვიყენე ერთ-ერთ ძირითად მოდელად. **ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გამოყოფილ მიდგომებს შევისწავლი შერჩეულ უნივერსიტეტებში.**

| მიდგომები | აღწერა |
|---|---|
| დაგეგმვა | უნივერსიტეტის მიერ დასახული საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ინტერნაციონალიზაციის განზომილების უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციებში გაერთიანება, ჩართულობა, პოლიტიკა |
| საქმიანობა / ქმედებები | საქმიანობის მიდგომა აღწერს ინტერნაციონალიზაციას ისეთი კატეგორიების ან საქმიანობის გაგებით, როგორიცაა სასწავლო გეგმა, მეცნიერთა / სტუდენტთა გაცვლა და ტექნიკური თანამშრომლობა |
| კომპეტენციები (ანუ შედეგები) | იგულისხმება ახალი უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნის შემუშავება სტუდენტებში, პროფესორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალში. აქცენტი კეთდება ადამიანურ რესურსზე და არა აკადემიურ საქმიანობასა და ორგანიზაციულ საკითხებზე |
| ორგანაზაციული მიდგომა | ყურადღების გამახვილება უნივერსიტეტში ეთიკის ან კულტურის შემუშავებაზე, რაც მხარს უჭერს კულტურათშორის და საერთაშორისო პერსპექტივებს და ინიციატივებს. მიდგომა მჭიდრო კავშირშია პროცესის მიდგომასთან |

**სტიერის** (Jonnas Stier) მიხედვით, არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სამი ნორმატიული მოტივი, რომელსაც ირჩევენ იმის მიხედვით, თუ როგორ ესმით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ეს მოტივები გავლენას ახდენენ უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების ადმინისტრაციულ პერსონალზე, შიდა პოლიტიკაზე და აკადემიურ პერსონალზე. აღნიშნული მოტივებია: იდეალიზმი, ინსტრუმენტალიზმი და განმანათლებლობა. სტიერის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის იდეალისტური მიდგომა მას მიიჩნევს, როგორც ჭეშმარიტად კარგს, ანუ ინტერნაციონალიზაციის ინიციატივები მიმართულია უმაღლესი განათლების ანგარიშვალდებულებისკენ შეეცადოს შექმნას უფრო დემოკრატიული, სამართლიანი და თანასწორი სამყარო, სივრცე. შესაბამისად, უნივერსიტეტების უპირველესი მისიაა მოქალაქეთა ენთუზიაზმის ხელშეწყობა უკეთესი მასშტაბური ცვლილებებისაკენ. ინსტრუმენტალიზმი, იგივე პრაქტიკული, პრაგმატული, კომერციული მხარე, მიიჩნევს ინტერნაციონალიზაციას, როგორც მომგებიან გზას ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის; და განმანათლებლობა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს განათლების ცნებას, მიღებული განათლების პრაქტიკულ გამოყენებას, ღირებულებებს, მულტიკულტურულ ურთიერთობებს და ფართო კომპეტენციებს. (Stier, 2006, გვ. 3-5).

**ხორსანდის (Ali Khorsandi Taskoh)** აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის რიტორიკას ყველა იზიარებს, მაინც გასარკვევია, რა ფასეულობები აქვს ინტერნაციონალიზაციას და როგორ მოქმედებს ის სახელმწიფო უნივერსიტეტების პოლიტიკასა და ინიციატივებზე (Khorsandi, 2014). ხორსანდის კვლევის თანახმად, არსებობს მნიშვნელოვანი უფსკრული ინტერნაციონალიზაციის თეორიულ მნიშვნელობასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის. გაჩნდა ფასეულობების ორი ძირითადი დისკურსი, რომლებიც ახრციელებენ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას: **ლიბერალურ-აკადემიური და ნეოლიბერალურ-ინსტრუმენტული. ლიბერალურ-აკადემიური** დისკურსის შემადგენლობაში მოიაზრება: საგანმანათლებლო/აკადემიური და მულტიკულტურული/ჰუმანიტარული ღირებულებები; ხოლო **ნეოლიბერალურ-ინსტრუმენტული** დისკურსში მოიაზრება: ბაზარზე და

კონკურენციაზე დაფუძნებული ღირებულებები. ნეოლიბერალურ-ინსტრუმენტული დისკურსის შესაბამისად, უმაღლესი განათლების სექტორი განიხილება, როგორც ეკონომიკური პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი ფაქტორი. თანამედროვე მსოფლიოში არსებულ კონკურენტულ გარემოში, სადაც არის ექსპორტის ინდუსტრია, ხოლო უმაღლესი განათლების დემოკრატიული, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ფასეულობები თითქოს დაკნინებულია, ეს იწვევს უმაღლეს განათლებაში კონკურენციის გაზრდასა და უმაღლესი განათლების კომერციალიზაციას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ლიბერალურ-აკადემიურ დისკურსს, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი განათლების კომერციული მოდელი არის მწვავე კრიტიკის საგანი, უმაღლესი განათლება არის საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ამისა, უმაღლესი განათლება ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ინტელექტუალური და მეცნიერული ღირებულებების ჩამოყალიბებისა, საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ის უნდა ფლობდეს ძალას შეისწავლოს, განიხილოს და გააკეთოს დომინანტური ვარაუდები, დასკვნები.

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი საფუძველია კომერციალიზაცია, რომელიც ემსახურება კვლევის და სწავლის შემდგომ განათლების გადასვლას ფინანსურ სარგებელზე, მაგ. უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა განვითარებული ქვეყნებიდან, რაც გვაძლევს სარგებელს ბევრი მიმართულებით: შემოსავლებს, საერთაშორისო რეპუტაციის და სხვ. ამ მიდგომით, უნივერსიტეტის ადმინისტრირების დღის წესრიგი მიმართული უნდა იყოს განათლების შემდგომი კომერციალიზაციისკენ.

ინტერნაციონალიზაცია ამტკიცებს და აშენებს ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, პოლიტიკას და პრაქტიკას; ინტერნაციონალიზაცია არის საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირება ერთიან მიზნებში. ასევე, მნიშვნელოვანია კონცენტრირება სარგებელზე, რისკებზე და შედეგებზე, არასასურველი შედეგების მართვაზე

(მაგ. საერთაშორისო სტუდენტებზე დაკისრებული გადასახადების ნდობის საკითხი, საზღვრის გადაკვეთის უფლებები, ვიზების საკითხი და სხვ.). ინტერნაციონალიზაცია ხშირად ირიბად აღიქმება, როგორც ტურიზმი. ინტერნაციონალიზაციას, რასაკვირველია, შეუძლია დაგვეხმაროს საერთაშორისო და ინტერკულტურული ცოდნის, უნარების და ღირებულებები შეძენაში სხვადასხვა მეთოდით: საერთაშორისო მობილობით, საერთაშორისო კურიკულუმით.

ინტერნაციონალიზაციის გაგება განათლებაში გულისხმობს, სწორედ, სწავლა-სწავლებას, კვლევას და ცოდნის წარმოებას, საზოგადოებისათვის უკეთესი სერვისის შეთავაზებას. და ბოლოს, მნიშვნელოვანია გლობალიზაციასთან კავშირი, რამდენადაც გლობალიზაცია კონცენტრირდება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ იდეებზე, რესურსებზე, ხალხზე, ეკონომიკაზე, ღირებულებებზე, კულტურაზე, ცოდნაზე, საქონელზე, სერვისებსა და ტექნოლოგიებზე, ხოლო ინტერნაციონალიზაცია მოიაზრებს კავშირს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, კულტურებს, ინსტიტუტებს და სისტემებს შორის. მთავარი განსხვავება ამ კონცეფციებს შორის არის მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ტენდენციები და ქვეყნებს შორის ურთიერთობა. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, უნებლიედ, მოექცა გლობალიზაციის გავლენის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პროცესი, საკმაოდ ახლო კავშირში აღმოჩნდა ერთმანეთთან. მაგალითად, კომპეტენტურობა და კომერციული სარგებლის საკითხები, საერთაშორისო სწავლება და რეგიონული ვაჭრობა და ა.შ., ცხადია, აძლიერებს გლობალიზაციას (Knight, 2004). გლობალიზაციის პროცესი კომპლექსურია და მოიცავს ტექნოლოგიების, ეკონომიკის, ცოდნის, ხალხთა, ღირეულებების და იდეების გაცვლას. გლობალიზაცია ყველა ქვეყანაზე, მათ ისტორიაზე, ტრადიციებზე, კულტურასა და პრიორიტეტებზე, განსხვავებულ გავლენას ახდენს. გლობალიზაცია ცხადად წარმოაჩენს ახალ პერსპექტივებს, გამოწვევებს და რისკებს. საგულისხმოა, რომ გლობალიზაციისთვის მთავარი არის არა განათლება, არამედ ის პროცესები და გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერნაციონალიზაციაზე. ანუ ინტერნაციონალიზაცია ცვლის

განათლების სფეროს, მაშინ როცა, გლობალიზაცია ცვლის ინტერნაციონალიზაციას.

დღემდე ხშირი იყო მცდელობა განათლების გლობალიზაციის ტერმინის ნაცვლად გამოგვეყენებინა ტერმინი განათლების ინტერნაციონალიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტერმინი ერთიდაიგივე შინაარსის არ არის.

ევროპის განათლების საერთაშორისო ასოციაციის დირექტორმა ლეონარდ ენგელმა (Leonard Engel) ჩაატარა კვლევა "ევროპაში ინტერნაციონალიზაციის ბარომეტრი". მისი აზრით, ამ ყოვლისმომცველი გამოკვლევით ევროპული უმაღლესი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის ეფექტურად ასახვა უნდა მოხდეს ..." (Engel L. Sandström A-M. Ruud van der Aa, Glass A. 2015, გვ.2). მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის უკან დგას რაღაც საფუძველი, თუმცა, დანამდვილებით არ ვიცით რა და არც ის, თუ რატომ ხდება ეს პროცესი უფრო და უფრო პოპულარული. ერთი, რაც შეიძლება ვივარაუდოთ ისაა, რომ გლობალიზაციას დიდი წვლილი აქვს იმ ფონის შექმნაში, რაც უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციას ასეთ მნიშვნელოვან პროცესად აქცევს.

საყურადღებოა ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება **ინტერნაციონალიზაციის კვლევის საგანთან** დაკავშირებით, რაც, შესაძლოა, იყოს სოციალური კვლევის კრიტიკული მიდგომა. ანუ ის, თუ როგორ ასრულებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებულ საერთაშორისო პოლიტიკას, გარკვეულ ჩარჩოებს და რამდენად ხდება მათი გამოყენება/განხორციელება პრაქტიკაში. ეს მიდგომა გამოწვევის წინაშე აყენებს განათლების მკვლევრებს, რათა გავაუმჯობესოთ ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკა. სოციალური კვლევის კრიტიკული მიდგომის საშუალებით შესაძლოა ახალი ცოდნის შექმნა. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სფეროს სჭირდება მაღალი ხარისხის კრიტიკული კვლევა და ანალიზი მსოფლიო მასშტაბით, რათა მოხდეს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა უკეთესი გაგება და მსოფლიოს, სამყაროს შეცვლა დადებითი კუთხით.

**უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციამ (IAU) გამოაქვეყნა ინტერნაციონალიზაციის საზომი ინსტრუმენტები.** ინტერნაციონალიზაციის

გასაზომად ძირითადად გამოყენებულია უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის (IAU) მიერ შემოთავაზებული გლობალურად ადაპტირებული კითხვარი (Marinoni 2018), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საფუძვლად მდებარე მრავალი ასპექტის შეფასება. ის, ძირითადად, კონცენტრირდება გლობალური ტენდენციების კვლევაზე უმაღლესი განათლების პოლიტიკაში. კითხვარი აფასებს დემოგრაფიული მონაცემებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს: აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დონეს, დაწესებულების სტატუსს, სტუდენტთა რაოდენობას, ინტერნაციონალიზაციის პოტენციურ სარგებელს, რისკებს, შიდა და გარე მამოძრავებელი ძალებს, უნივერსიტეტების პოლიტიკა/სტრატეგიას, რომელიც ინტერნაციონალიზაციას უკავშირდება, ღირებულებებს, კომერციალიზაციას, უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციისათვის განხორციელებულ აქტივობებს და მათ შეფასებას, ტრანსნაციონალურ განათლებაში უნივერსიტეტების ჩართულობას, ინტერნაციონალიზაციის დაფინანსების წყაროებს, საერთაშორისო სწავლებას, საერთაშორისო კვლევასა და უნივერსიტეტების ჩართულობას, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში საერთაშორისო გამოცდილების მქონე კადრის მნიშვნელობას, კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას.

ნაითი ამბობს, რომ აუცილებელია მუდმივად გადაიხედოს და განახლდეს კონცეპტულაური ჩარჩოები, რომელიც ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციის ცნებას, დღევანდელი ცვლილებებსა და გამოწვევებს. თავის ბოლო კვლევაში (Knight, 2018) ნაითი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაცია განვითარდა მარგინალური და მცირე კომპონენტიდან გლობალურ, სტრატეგიულ და მთავარ ფაქტორად უმაღლესი განათლების სფეროში. დაასახელა ის სფეროები, რაზეც დღეს მახვილდება ყურადღება: უცხოელი სტუდენტებისათვის სტიპენდიები, საერთაშორისო განვითარების პროექტები და სტუდენტური სივრცეები. ნაითმა განიხილა ახალი მოვლენები, ახალი გამოწვევები და თქვა, რომ ინტერნაციონალიზაციის დისკურსისა და შესწავლაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აკადემიური მობილობის ყველა საერთაშორისო სტანდარტს - საზოგადოება, პროგრამები, პროვაიდერები, პოლიტიკა, და

პროექტები, თუმცა არასაკმარისად - სამაგისტრო განათლებასა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას. იგი ასკვნის, რომ საერთაშორისო კვლევების დაფინანსების, პატენტების, პუბლიკაციების და ციტირების ზრდა მოითხოვს ინტერნაციონალური, ან გლობალური კვლევითი ჯგუფების განვითარებას, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში თანამშრომლობის გაზრდის აუცილებლობას. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმები, ეროვნული პოლიტიკის განცხადებები, საერთაშორისო დეკლარაციები და სტატიები, ყველა მიუთითებს ინტერნაციონალიზაციის ცენტრალურ დონეზე უმაღლესი განათლების სამყაროში.

დღემდე ხშირი იყო მცდელობა განათლების გლობალიზაციის ტერმინის ნაცვლად გამოგვეყენებინა ტერმინი განათლების ინტერნაციონალიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტერმინი ერთიდაიგივე შინაარსის არ არის.

ტერმინი ინეტრნაციონალიზაცია (ჯანი ნაითის მიხედვით) საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა პოლიტიკურ მეცნიერებებში და სამთავრობო ურთიერთობებში, მაგრამ მისი პოპულარობა განათლების სექტორში მხოლოდ 1980-იანი წლების დასაწყისიდან გაიზარდა. ამ დრომდე, საერთაშორისო განათლება სასურველი ტერმინი იყო და ზოგიერთ ქვეყანაში ახლაც არსებობს. გასული საუკუნის 90-იან წლებში დისკუსია საერთაშორისო განათლების ტერმინის გამოყენების შესახებ მოიცავდა განსხვავების გააზრებას შედარებით, გლობალურ და მულტიკულტურულ განათლებას შორის. დღეს, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, წარმოიშვა ამ ტერმინებთან დაკავშირებული ახალი ერთეულები, რომელიც მოიცავს ტრანსნაციონალურ განათლებას, საზღვრებს მიღმა განათლებას და საზღვრისპირა განათლებას.

ინტერნაციონალიზაცია ეროვნულ, სექტორულ და ინსტიტუციონალურ დონეზე განისაზღვრება, როგორც საერთაშორისო, კულტურათშორისი ან გლობალური განზომილების ინტეგრირების პროცესი საშუალო განათლების მიზნებში, ფუნქციებში ან მიწოდების სერვისში.

ტერმინი პროცესი აღნიშნავს კონცეფციის ევოლუციურ ან განვითარების ხარისხს. პროცესზე ხშირად ფიქრობენ განათლების სამმხრივი მოდელის გათვალისწინებით – მიწოდება, პროცესი და შედეგები. თუმცა, მიწოდებისა და

შედეგების ცნებები სპეციალურად იყო უგულვებელყოფილი ზემოთმოცემულ განმარტებაში – მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ გარემოში ანგარიშვალდებულება და, შესაბამისად, შედეგები ხაზგასმულია. თუ ინტერნაციონალიზაცია განისაზღვრება მიწოდების, შედეგების ან სარგებელის თვალსაზრისით, ეს ნაკლებად ზოგადი ხდება, რადგან ის უნდა ასახავდეს ქვეყნის, დაწესებულების ან დაინტერესებული მხარეების კონკრეტული ჯგუფის კონკრეტულ პრიორიტეტებს.

ერთ-ერთი წინა განმარტება, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული ინტერნაციონალიზაციის აღსაწერად, არის "საერთაშორისო ან კულტურათშორისი განზომილების ინტეგრირების პროცესი დაწესებულების სწავლების, კვლევისა და მომსახურების ფუნქციებში". ეს განმარტება არ ეწინააღმდეგება განახლებულ განმარტებას: სინამდვილეში პირიქითაა, განმარტებები ძალიან ავსებს ერთმანეთს. იქიდან გამომდინარე, რომ ახალი განმარტება მოიცავს ეროვნულ და სექტორულ დონესა და, ასევე, განათლების პროვაიდერებისა და მიწოდების მეთოდების მრავალფეროვანებასა და ზრდადობას, უფრო ზოგადი დანიშნულების, ფუნქციისა და მიწოდების პირობები გამოიყენება სწავლების, კვლევისა და კვლევის სპეციფიკური პირობების ნაცვლად. მომსახურება უფრო ზოგადი ტერმინების გამოყენებით, შემოთავაზებული განმარტება შეიძლება რელევანტური იყოს სექტორულ თუ ინსტიტუციონალურ დონეზე და მრავალ მიმწოდებელთათვის საშუალო განათლების ფართო სფეროში.

ინტერნაციონალიზაცია გახდა ძალიან ფართო და მრავალფეროვანი კონცეფცია, რომელშიც შედის მრავალი ახალი საფუძველი, მიდგომა და სტრატეგია სხვადასხვა და მუდმივადცვალებად კონტექსტებში. ბევრისმთქმელია, თუ როგორ განვითარდა ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში უმაღლესი განათლების საერთაშორისო განზომილების აღსაწერად გამოყენებული ტერმინოლოგია.

ინტერნაციონალიზაციის დისკურსისა და შესწავლის დროს დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო აკადემიური მობილობის ყველა რეჟიმს – ხალხს, პროგრამებს, პროვაიდერებს, პოლიტიკასა და პროექტებს, მაგრამ

საკმარისი ყურადღება არ დაეთმო კურსდამთავრებულთა განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას. მათ შორის საერთაშორისო თანაავტორობისა და სხვა საერთაშორისო კვლევითი ეტალონებით. ბოლო წლებში კვლევა უფრო რთული გახდა. იგი მოითხოვს და გამოირჩევა უფრო მეტი საერთაშორისო თანამშრომლობით, ვიდრე წარსულში, და ის სულ უფრო კონკურენტუნარიანი ხასიათისაა.

ინტერნაციონალიზაციის დისკურსისა და შესწავლის დროს დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო აკადემიური მობილობის ყველა რეჟიმს. ბიბლიომეტრიული ანალიზი გვაჩვენებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების თანამშრომლობის ზრდას. მთელ მსოფლიოში არსებული ინსტიტუციების უმეტესობისთვის ინტერნაციონალიზაცია კვლავ ხასიათდება ფრაგმენტული და დაუკავშირებელი საქმიანობით.

მიუხედავად ამისა, გაიზარდა ინფორმირებულობა, რომ ”ინტერნაციონალიზაციის” ცნება ეხება არა მხოლოდ ერებს შორის ურთიერთობებს, არამედ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია კულტურათა და რეალობების ურთიერთობები როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

## 1.2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

რა არის განათლების ხარისხი? განათლების ხარისხის ცნების გაგება მრავალგვარია: „მთავრობის თვალში ხარისხი იმდენად არის მიღწეული, რამდენადაც სტუდენტი დადგენილ ვადებსა და საერთაშორიო სტანდარტებთან შესაბამისობაში ასრულებს პროგრამას ... სტუდენტთა აზრით, ხარისხი მიღწეულია, თუ განათლება დაკავშირებულია მათ ინდივიდუალურ ინტერესებთან ... ყველაზე ხშირად ვხვდებით ხარისხის ისეთ დეფინიციას, როცა ხარისხი გულისხმობს დამკვეთის სურვილსა და მოლოდინს ... ხარისხი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მდგომარეობას ... რაც დღეს შეიძლება დამაკმაყოფილებელ ხარისხად ითვლებოდეს, ხვალ შეიძლება შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხარისხი არის დინამიკური მდგომარეობა“ (გომელაური ზ. თავხელიძე მ. 2004, გვ. 2-3). ხშირად, ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის კონტროლი, ხარისხის გარანტია ერთობლივად გამოიყენება და გულისხმობს მომსახურეობის ან პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ქმედებებს - ხარისხის სისტემაში განხორციელებული ყველა დაგეგმილი და უწყვეტი აქტივობა, რითაც დასტურდება კონკრეტული პროდუქტის, სერვისის ხარისხის მოთხოვნების შესრულება. ბოლონიის დეკლარაციებში, ბერლინის კომუნიკეა (2003 წ.) პირველი დოკუმენტი, სადაც გაჟღერდა განათლების ხარისხის შიდა და გარე შეფასება. ბოლონიის პროცესის ფარგლებში არსებობს $E^4$ ჯგუფი, რომელშიც შედის ENQA (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია), EUA (ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია), EURASHAE (უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაცია) და ESIB (ევროპის სტუდენტთა ნაციონალური კავშირები). 2004 წელს ბერლინის შეხვედრის შემდეგ, $E^4$ ჯგუფს აქვს პასუხისმგებლობა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ხარისხის უზრუნველყოფისთვის ასევე საინტერესოა, თუ როგორ ინერგება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტები ეროვნული განათლების სისტემის კონტექსტში. განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ამოცანაა მონიტორინგი გაუწიოს კონკრეტულ, ეფექტური სტანდარტებს (მეთოდი, მიდგომა), რომლებიც მორგებულია ეროვნული განათლების კონტექსტს. შესაბამისად, უნდა მოხდეს „განათლების სტანდარტებისა“ და „კომპეტენციების“ განსაზღვრა. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლებას, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასებას; რეკომენდაციების შემუშავებას უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზებას; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობას; საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობას.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის არსებობს: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (თვითშეფასება და თანამშრომელთა შეფასება) და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. გასათვალისწინებელია, რომ ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ორივე ერთად ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს საფუძველს ქმნის. ხარისხის გარე უზრუნველყოფა აღიარებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტს და ამით უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განხორციელებული შიდა საქმიანობის პირდაპირ რელევანტურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან. თუმცა, ორივე ნაწილი მოიაზრებულია, როგორც ერთი მთლიანობა.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს და ინსტრუქციები მიაწოდოს, როგორც უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს, რომლებიც შეუმუშავებენ საკუთრივ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემებს, ასევე – სააგენტოებს, რომლებიც ახორციელებენ ხარისხის გარე უზრუნელყოფას. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხელს უწყობენ შეფასების ერთიანი კრიტერიუმებისა და განათლების ერთიანი სფეროს შექმნას.

ხარისხის გარე უზრუნველყოფას, თავისი მრავალფეროვანი ფორმებით, შეუძლია გადაამოწმოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, იმოქმედოს, როგორც გაუმჯობესების კატალიზატორმა და ახალი პერსპექტივები შესთავაზოს დაწესებულებას. ის უსდ-ს და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შესახებ. უსდ მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. ამდენად, ამ საკანონმდებლო ჩარჩოზე დაყრდნობით, ხარისხის გარე უზრუნველყოფამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს და ფოკუსირებული იყოს განსხვავებულ ორგანიზაციულ დონეებზე (როგორიცაა პროგრამა, ფაკულტეტი ან დაწესებულება). ხარისხის უზრუნველყოფა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება გარედან უკუკავშირის, ანგარიშის მიღების ან დაწესებულების ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის უკანასკნელი გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღწეული პროგრესის გათვალისწინებას მომდევნო გარე შეფასების პროცესის მომზადებისას.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებია: ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და/ან ნებისმიერი უფლებამოსილი სააგენტოების საქმიანობა, გარე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების, დარგის სპეციალისტების ჩართვა (სხვა უსდ წარმომადგენელთა მიერ შეფასება). ბოლონიის წევრ ქვეყნებში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მრავალფეროვანი გარე მექანიზმები, ზოგი ქვეყანა აღიარებს ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ წარმოებულ გარე შეფასების პროცესს, ზოგი ერაზმუს მუნდუსის შეფასების პროცესს.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მკვლევარმა დეივიდ ბილინგმა განიხილა და შეაჯერა იმ დროისათვის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული ხარისხის გარე შეფასების მოდელები, მოახდინა სხვადასხვა მკვლევრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი, გამოკვეთა საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები. სტატიაში თავმოყრილია რამდენიმე მკვლევრის (ფრაზერი, კელსი, ჰოფსტედე, ვან დამე

და სხვები) კვლევის შედეგები. დისერტაციის საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მოვიყვან მათგან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საგანამანათლებლო სივრცისთვის რელევანტურ მოდელს, როგორც საუკეთესო პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ სტატიის დასაწყისშივე, ბილინგი საუბრობს უმაღლესი განათლების ხარისხის გარე შეფასების ბრიტანული მოდელის შესახებ და ამბობს, რომ ის, შესაძლოა, გამოიყენოს ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ როგორც ქარგა, როგორც ძირითადი სქემა და მოარგოს, მიუსადაგოს ადგილობრივ კონტექსტს. თუ "ზოგადი მოდელი" სასარგებლო იქნება კონცეპტუალურ ჩარჩო-პროექტში, ის, ალბათ, სასარგებლო იქნება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცესები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ თავიანთი განათლების ხარისხის საერთაშორისო აღიარებას. ინსტიტუციონალური შეფასებები (ავტორიზაცია) უფრო თავისუფალია, ვიდრე პროგრამული აკრედიტაცია. ეს ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გაძლიერებას: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები იქნებიან უფრო მეტად თვითრეგულირებადი, ინოვაციური და მიმართული დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებებზე, ანუ, უმაღლეს სასწავლებლებში ავტონომიურობა კვლავ მნიშვნელოვან პარამეტრად რჩება.

ფრაზერთან ხაზგასმულია, რომ თვითშეფასება არის გარე შეფასების საფუძველი. მან ჩაატარა გამოკითხვა, რომელიც ეხებოდა უსდ-ების ავტონომიურობის საკითხს, სახელმწიფოს მხრიდან ნაკლებ კონტროლს. საგულისხმოა, რომ, ძირითადად, ევროპა მიდის დეცენტრალიზაციისაკენ, რათა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გახდეს უფრო მოქნილი. ბრენნამ და შაჰმა შეადარეს 14 ქვეყნის (ავსტრალია, მექსიკა, კანადა, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვედეთი, ბრიტანეთი) ხარისხის უზრუნველყის სისტემები. შედარებამ აჩვენა უმაღლესი სასწავლო დაწესებულბების რეგულაციების დაახლოება, მაგრამ სხვაობაა ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდებში. არსებობს სამი ძირითადი მეთოდი: თვითშეფასება, ინსტიტუციური ხარისხის შეფასება და გარე შეფასება. ეს სამივე გზა მოქმედებს ორგანიზაციის სხვადასხვა ასპექტზე.

ბილინგის მიხედვით, ბრენანმა და შაჰმა აღწერეს განსხვავებები სხვადასხვა მოდელს შორის, შეფასების დონე და მიზანი, თვითშეფასება, შეფასება, ანგარიშების გამოქვეყნება, და იპოვეს შემდეგი კავშირები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ან მთავრობის მიერ, ან უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ, ან ერთობლივ მფლობელობაში, ან არსებობდეს ორივესგან დამოუკიდებლად, მაგრამ თითოეული მათგანი პასუხისმგებლია მოიძიოს და მოამზადოს ექსპერტები.
- უსდ-ს გარე შეფასების მიმართ დამოკიდებულება შეიძლება იყოს, როგორც მოხალისეობრივი, ისევე სავალდებულო. ამ სამუშაოებზე შეიძლება დაკვირვება განხორციელდეს სააგენტოს მიერ, ან მთავრობის მიერ, ან საერთოდ არ იყოს წარმოებული.
- ყველა ქვეყანას არ ჰყავს სააგენტო (მაგ: იტალია), და ზოგიერთ ქვეყანაში (კანადა, გერმანია, მექსიკა, აშშ) უმეტესწილად, ხარისხის შეფასების სააგენტოები არიან ნომინალურად დამოუკიდებელნი მთავრობისა და ინსტიტუტებისგან, ხოლო ანგარიშები საჯაროა და ხელმისაწვდომი, გარდა ამერიკისა და ნიდერლანდებისა, სადაც საკრედიტაციო ანგარიშები კონფიდენციალურია.
- VNSU (ნიდერლანდების უნვერსიტეტთა გაერთიანება)-ს ფლობს და აფინანსებს ჰოლანდიური უნივერსიტეტები, მაშინ როცა ინგლისური, შოტლანდიური და უელსური ხარისხის შეფასება დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან, ხოლო საფრანგეთში CNE (შეფასების ეროვნული კომიტეტი) ექვემდებარება პირდაპირ პრეზიდენტს და არა პრემიერ-მინისტრს, ან რომელიმე სხვა მინისტრს.
- აშშ-ში საკრედიტაციო სააგენტოები არიან კერძო ორგანოები.
- შეფასების დონე შეიძლება იყოს სექტორი, ინსტიტუტი, ფაკულტეტი/ დეპარტამენტი, საგანი/პროგრამა, ან კერძო მომსახურე პერსონალი. და აქცენტი შეიძლება იყოს სწავლებაზე, კვლევაზე, ორივეზე ერთად, ან მართვაზე. ეს განსხვავებები აისახება სხვადასხვა კრიტერიუმებში. ინსტიტუციური შეფასება, ხშირად, მენეჯერებზეა დამოკიდებული, მაშინ როცა საგნის/ პროგრამის შეფასების დროს გამოიყენება

აკადემიური დესციპლინური ღირებულებები, მაგრამ გაერთიანებულ სამეფოში აქცენტი პედაგოგიურ კრიტერიუმებზეა გადატანილი, ჰოლანდიური მიდგომა კი დასაქმების მნიშვნელოვნებას წამოწევს წინ.

- მიუხედავად იმისა, რომ 30-დან 29 ევროპულმა სააგენტომ, რომელიც შეისწავლა ფრაზერმა, განაცხადა, რომ თვითშეფასების გამოყენება მათი გარე შეფასების საფუძველია, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. სააგენტოების უმეტესობა გამოსცემს სახელმძღვანელოებსა და დირექტივებს თვითშეფასების საკითხების შესახებ, მაგრამ ისინი ვერ თანხმდებიან, თვითშეფასება ინფორმაციული უნდა იყოს, თუ თვითკრიტიკული და ანალიტიკური.
- მიუხედავად იმისა,რომ ვირტუალურად ყველა სააგენტო იყენებს სხვათა შეფასებას, თითოეულ შემთხვევაში ეს განსხვავებულია: ვინ შეიძლება იყოს შემფასებელი, რა არის მათი მოვალეობები, როგორ იქნენ ისინი შერჩეულნი და გადამზადებულნი, მათი ვიზიტების ორგანიზება, ხანგრძლივობა და შინაარსი. ეს ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისგან, როგორიცაა: პედაგოგიკის ექსპერტები, მენეჯერები, ინდუსტრიული/კომერციული სფეროს წარმომადგენლები ან სტუდენტები, ისინი შეიძლება ერთი კონკრეტული საკითხის განსახილველად შეიკრიბნონ, ან, (პატარა ქვეყნების შემთხვევაში) ყველა სფეროში არსებული საკითხები ერთად განიხილონ. პირისპირ დისკუსიები, როგორც წესი, ზოგადია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რაიმე კვლევის შეფასებაა საჭირო, და დისკუსიაში წარმოდგენილი პირები შეფასების დონისა და აქცენტების მიხედვით ირჩევა (აკადემიური პერსონალი, მენეჯერები, ადმინისტრატორები, სტუდენტები). საკლასო ოთახზე დაკვირვება, როგორც ეს დიდ ბრიტანეთში ხდება, იშვიათია.

განსხვავებები უკავშირდება შეფასების შემაჯამებელ და შუალედურ მიზნებს. ისეთი ანგარიშები, რომლებიც ადრე ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა, აქცენტს აკეთებდა შედეგებზე, მაგ. გამოცდის ჩაბარება/ჩაჭრა, ნიშნების გამოთვლა და ეს ანგარიში გარეშე პირებისათვისაც ხელმისაწვდომია ა.შ., მაშინ, როცა

ფორმაციული მიზნით შექმნილი ანგარიში განკუთვნილია აკადემიური პერსონალისათვის, და ის ძირითადად შეიცავს რეკომენდაციებს. იქ, სადაც ინსტიტუციური ავტონომია მაღალია, მაგ., დიდ ბრიტანეთში, ეს ბალანსდება ხარისხის შეფასებაში შემაჯამებელი მიდგომით ხარისხის პასუხისმგებლობაზე ხაზგასმით. იმ ქვეყნებში, სადაც უმაღლესი განათლების სექტორის შესახებ ძლიერი სახელმწიფო რეგულაციებია, მაგალითად, ცენტრალური ევროპის ქვეყნები, ხარისხის შეფასებით კონტროლის საჭიროება არ არის, ამიტომ გამოიყენება შუალედური მიდგომა, რომელიც განვითარებაზე არის აქცენტირებული. ფრაზერის მიხედვით, გარე შეფასების ანგარიშები საჯაროა მის მიერ გამოკვლეულ 24 ქვეყნიდან 13-ში. რაოდენობრივი შეფასება არის მხოლოდ ინგლისსა და შოტლანდიაში (და არა უელსში), თუმცა, ზოგ შემთხვევაში შეფასება აღწერილობით ტექსტს წარმოადგენს. 12 ქვეყნის სააგენტოები მიყვებიან ტექსტუალური შეფასების ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებს, და ორ შემთხვევაში ამას სამინსტრო აკეთებს. პატარა ქვეყნები წააწყდნენ პრაქტიკულ სიძნელეებს, როცა შეეცადნენ დაენერგათ გარე შეფასების ობიექტური და კვალიფიციური პროცესი, რადგან არ არსებობდა საკმარისად დიდი ზომის აკადემიური საზოგადოება. დიდი ქვეყნებისთვის მრავალფეროვანი უმაღლესი განათლების სისტემაში პრობლემას წარმოადგენდა მდგრადობის მიღწევა და გაზრდილი ხარჯების დარეგულირება. მდგრადობისა და სამართლიანობის კრიტერიუმები ითხოვენ შეფასების პროცესის სტანდარტიზაციას, მაშინ, როცა მრავალფეროვნების კრიტერიუმები უფრო მოქნილ პროცესებს ითხოვს. სახელმწიფო რეგულაციების ტრადიცია ამარტივებს ხარისხის გარე შეფასების მიღებას აკადემიურ საზოგადოებაში. ანუ სახელმწიფო ავალებს, მიუთითებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს და უსდ-ც იღებს და პრაქტიკაში ახორციელებს ამ რეგულაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა, CEE (ცენტრალური ევროპის) ქვეყნების უმეტესობას კვლავ აქვს უმაღლესი განათლების არარეფორმირებული სახელმწიფო რეგულაციები (მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ქვეყნებში უმაღლესი განათლების ავტონომიურობა კონსტიტუციითაა აღიარებული) სახელმწიფორ მიერ წარმოდგენილ ხარისხის გარე შეფასების მოთხოვნებთან ერთად. ბილინგმა და

ტემპელმა გამოიკვლიეს CEE ქვეყნების ხარისხის გარე შეფასების სტრუქტურა ონლაინ რესურსების (EFT, ENQA, INQAAHE, ENQA,) პუბლიკაციებისა და პირადი კავშირების გამოყენებით. ასევე გამოიკვლიეს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიც და დაადგინეს, რომ სკანდინავიის ქვეყნებს აქვთ ჩამოყალიბებული შეფასების სისტება, რომელიც შეიცავს ინსტიტუციურ თვითშეფასებას და სხვა ჯგუფის (რომლის ერთი წევრი მაინც უცხოელია) გარე შეფასებას. ხარისხის შეფასების შედეგები წარედგინება შესაბამის სამინისტროებს, ეს ყველაფერი შემდეგ საჯაროვდება, თუმცა, არც ერთ სამინისტროს არ დაუკავშირებია ხარისხის შეფასება დაფინანსებასთან. სისტემები მორგებულია თითოეული ქვეყნის მთავრობის სტრატეგიას, ეს პროცესები აისახა უ/ განათლების სტრუქტურის სწრაფ ცვლილებებში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბრიტანული მოდელის თურქეთში გადატანა ვერ მოხდა, ვერ მიესადაგა პრაქტიკულად ადგილობრივ კონტექსტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეფორმის დასაწყისში, არც ესტონეთის შემთხვევაში იყო დადებითი მოლოდინები, თუმცა ფაქტია, რომ ესტონეთის გაანთლების სისტემის რეფორმებმა გაამართლა და დღეს ის ევროპის ერთ-ერთი წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყანაა.

როგორც აღინიშნა, ყველა ქვეყანას აქვს გარე შეფასების განსხვავებული მოდელი, რომელიც აუცილებლობით შეესაბამება (უნდა შეესაბამებოდეს) თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურულ და სოციო-პოლიტიკურ დონეს.

როდესაც საუბარია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, როგორც წესი, გულისხმობენ დემინგის (Deming W. Edwards) მეთოდს. მან 1950 წ. იაპონიის მეცნიერთა და ინჟინერთა კავშირისაგან იაპონიის მრეწველობის აღორძინებაში მონაწილეობის მიწვევა მიიღო. დემინგმა შეიმუშავა 14 პუნქტისაგან შედგენილი მენეჯმენტის პროგრამა, ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების სქემით, რამაც იაპონურ მრეწველობაში დიდი რევოლუცია მოახდინა. ეს არის "უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპი" და, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამას შეუსრულდა უკვე 70 წელი, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. დემინგის პროგრამის იდეები გახდნენ იმ მოთხოვნათა საფუძვლები, რომელიც ჩადებულია ხარისხის მართვის საერთაშორისო

სტანდარტების ISO9000, ISO 14000 და სხვათა საფუძვლად - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის გარე შეფასების დაკავშირებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი სისტემური მოდელით (შენატანი, პროცესი, ამონაგები). ჩემი საკვლევი თემისათვის, ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის კვეთებზე მსჯელობისას გამოვიყენე ორივე მოდელის კომბინაცია, როგორც დემინგის მოდელის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე), ასევე ზოგადი სისტემური მოდელისა (შენატანი, პროცესი, ამონაგები): შენატანი - როგორც დაგეგმვა, პროცესი - როგორც განხორციელება და ამონაგები - როგორც შედგების მართვა და გამოსწორება.

## 1.3. ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციას შორის მიმართება

მკლევარ ჰანს დე ვიტის აზრით, „ინტერნაციონალიზაცია გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ინდიკატორი და უფრო მეტი კამათი, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს თავად ინტერნაციონალიზაციის ხარისხთან დაკავშირებით“ (Wit H.d. 2011, გვ. 39) იგი აქვე აგრძელებს, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი, პროგრამები და პროექტები მოიცავს სტუდენტთა, პროფესორთა საქმიანობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფას. თანამედროვე უმაღლესი განათლების დღის წესრიგად იქცა: აკრედიტაცია, რანგირება, სერტიფიკაცია, აუდიტი და შეფასებები. დე ვიტი ასახელებს ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასების პროცესის შემდეგ მნიშვნელოვან მიდგომებს:

- ფოკუსირებულია ორ ასპექტზე: პროგრესი (იზომება რაოდენობრივი და თვისებრივი საზომებით) და ხარისხი (იზომება ხარისხის შემფასებლების მოსაზრებებით)
- იზომება ინსტიტუტის მიერ დასახული მიზნების და ამოცანების შესაბამისად
- ფოკუსირებულია როგორც ორგანიზაციულ, ისე პროგრამულ სტრატეგიებზე
- უფრო მეტად ორიენტირებულია პროცესის შეფასებაზე, ვიდრე შედეგებსა ან ზემოქმედებაზე, გავლენაზე
- მიუთითებს, სადაც სასურველი და აუცილებელია გაუმჯობესება
- აღიარებს, რომ არ არსებობს იდეალური ან ოპტიმალური გაზომვის პროფილი
- ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა ელემენტი ერთად ინტეგრირებული და სტრატეგიული მიდგომით
- საჭიროა განხორციელდეს რეგულარულად და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პროცესის განმტკიცების მიზნით.

კვლევის დასასრულს დე ვიტი ასკვნის, რომ დღევანდელი გადასახედიდან წინა პლანზე გადმოდის უმაღლესი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების **ხარისხის შეფასების აუცილებლობის საკითხი.** ამ დაკვირვებებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია შემუშავდეს

პროგრამის დონეზე ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასების სისტემა, რამაც უნდა განსაზღვროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი. ამ შეფასების მახასიათებლები უნდა იყოს შემდეგი:

- შეფასების სხვადასხვა დონის გამოყენება, რათა დავინახოთ ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობა (მიღწეულია თუ არა ინტერნაციონალიზაცია) და შევძლოთ გაუმჯობესების გზების დასახვა (რა გზით უნდა განვითარდეს და რისი მიღწევაა რეალისტური)
- პროგრამის აღიარება/სერტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს მინიმუმ პროგრამის დონეზე ან პროგრამების ერთობლიობისათვის (ბაკალავრიატი და/ან მაგისტრი; სკოლები/ფაკულტეტები).
- შეფასების პროცედურა არ უნდა იყოს ორიენტირებული კონკრეტულ საქმიანობაზე, ის ამომწურავად უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციას (ინტერნაციონალიზაციის მიზეზები, რატომ და როგორ).
- შეფასებამ უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაცია ხარისხს ზოგადად, თვისებრივი (ხედვა, შინაარსი, ელემენტები და შედეგები), და რაოდენობრივი ინდიკატორების (მაგ: თანამშრომლების მობილობის მაჩვენებლები), როგორც დამხმარე ელემენტების, გათვალისწინებით (მაგ. პერსონალის მობილობა).
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს რეგიონალურ (ევროპულ) ან საერთაშორისო სერტიფიცირებას, რადგან შეფასების მიზანია მისი პოზიციონირება საერთაშორისო კონტექსტში.
- შეფასება უნდა გააკეთოს გუნდმა, რომლის წევრები ფლობენ საგნის, ხარისხის უზრუნველყოფის, ინტერნაციონალიზაციის ექსპერტიზას და რომელიც უნდა შედგებოდეს საერთაშორისო ექსპერტებისა და სტუდენტებისაგან.
- ცოდნის გლობალური ეკონომიკის და მრავალფეროვანი საზოგადოების პირობებში ინტერკულტურული და საერთაშორისო კომპეტენციები უნდა იყოს გათვალისწინებული.

) რამდენადაც შესაძლებელია, შეფასება კომბინირებული უნდა იყოს პროგრამის აკრედიტაციასთან, ზედმეტი ხარჯების და სამუშაო დატვირთვის თავიდან ასაცილებლად.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას შორის კავშირის დადგენისათვის ჩატარდა რამდენიმე კვლევა: 2008 წელს ფინეთისა და ტაივანის მაგალითზე და 2011 წელს ჰოლანდიის მაგალითზე. ფინეთისა და ტაივანის შედარებითი ანალიზი შემოგვთავაზა პო იუნ ლიუმ თავის სამაგისტრო ნაშრომში, სადაც აღმოაჩინა დასახელებული ორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი და გამოავლინა ორივე ქვეყნის უმაღლეს განათლებაში ინტერნაციონალიზაციის გავლენა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე. ის საუბრობს ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის მექანიზმებს შორის მტკიცე კავშირზე **ანგარიშვალდებულების ნაწილში.** ფინეთში, EHEA-ს (ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე) გავლენით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა არის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ნაწილი ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. აქ 2005 წლიდან შემოიღეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმება (აუდიტი), ხოლო ტაივანში, უსდ-ების კონკურენტუნარიანობის შეფასება დაიწყო 2004 წელს. ავტორი ასახლებს ინეტრნაციონალიზაციის გავლენას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემდეგ ელემენტებზე, ანუ ავტორის მიერ დასახელებულ ელემენტებზე ყველაზე აქვს გავლენა ინეტრნაციონალიზაციას. ლიუს მიერ დასახელებულია ეს ელემენტებია: **პოლიტიკის პრობლემაზე** - რომ ფინეთში ინტერნაციონალიზაციაზე ფიქრი მოიტანა ევროინტეგრაციამ და ბოლონიამ. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი მნიშნელოვანი სტიმულია ეკონომიკის გლობალიზაცია; **პოლიტიკის მიზანზე** - რომ ინტერნაციონალიზაცია, ზოგად კონტექსტში, არის გაუმჯობესებული ხარისხისა და გაუმჯობესებული ინოვაციების წინაპირობა; **პოლიტიკის ინსტრუმენტებზე** - ინტერნაციონალიზაცია ხაზგასმულია ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის დოკუმენტებში, უმაღლესი განათლების კანონში და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტში; **პოლიტიკის კავშირები** - ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარისხის

უზრუნველყოფის სამ დონეზე: განათლების ეროვნული პოლიტიკა, გარე შეფასება და მონიტორინგი; **პოლიტიკის შესრულება პრაქტიკაში** - ეს პროცესები იმართება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებით, კვლევების შედეგების ანალიზით, გამოკითხვებით **და პოლიტიკის გამოწვევები** - როცა შემდგომი პროცესები უცნობია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაძლიერების საჭიროება, ხილვადობა და სანდოობა. ავტორი ამბობს, რომ ინტერნაციონალიზაციას აქვს გავლენა ხარისხის უზრუნველყოფაზე ორივე ქვეყანაში, მიუხედავად მათი განსხვავებული მიდგომებისა და სოციალური კონტექსტისა და იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის უზურნველყოფა განხორციელდეს უფრო გამჭვირვალედ, ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უნდა გახდეს უფრო სერიოზული. კვლევის ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ ა) ინტერნაციონალიზაცია არის ინდიკატორი ქვეყნის მასშტაბით ინსტიტუციონალური შეფასებისა (ავტორიზაცია) და ბ) ინსტიტუციონალური განზომილების (ავტორიზაციის) განვითარება მოიცავს პროგრამის შეფასებას. ასევე, აღსანიშნავია, ნაშრომში დასახელებული ტომსონის სამეცნიერო ბაზის ციტირების ინდექსის როლი. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ, ტომსონის სამეცნიერო ბაზის თანახმად, ფინეთის გამოქვეყნებებს აქვთ ციტირების მაღალი ინდექსი. ტაივანის გამოქვეყნებები კი, პირიქით, ციტირების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. რა თქმა უნდა, საკამათოა ერთი საერთაშორისო მონაცემთა ბაზის გამოქვეყნებების ციტირების მაჩვენებელი არის თუ არა წარმატების და კვლევის შედეგების ხარისხის ექვივალენტური. მიუხედავად ამისა, იმ გაგებით, რომ ხარისხი რაოდენობაზე მნიშვნელოვანია, ეს მონაცემები მაინც ასახავს კვლევის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზომს. **კვლევაში ავტორი ცხადად მიუთითებს, რომ ინტერნაციონალიზაციას აქვს გავლენა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე.** „ორივე ქვეყანამ თითქმის ერთსა და იმავე დროს განავითარა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი პოლიტიკა ინტერნაციონალიზაციის საპასუხოდ. ფინეთისა და ტაივანის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შედარებითმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა შეისწავლოს ინეტრნაციონალიზაციის ცვალებადი საგანამანათლებლო

ფენომენები და ის სტრატეგიები, რაც არსებობს დღეისათვის ამ მიზნის მისაღწევად“ (Liu, 2008).

ჰოლანდიის მაგალითზე მუშაობდა მკვლევართა ჯგუფი ტვენტეს უნივერსიტეტიდან, მათ აღწერეს ევროპულ უმაღლეს განათლებაში ის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხებოდნენ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დროს ხარისხის უზრუნველყოფას და ინსტრუმენტები, რომლებიც ზომავნდნენ ამ პროცესს - ესენია სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და კვლევის ინსტრუმენტები (benneworth, et.Al. 2011). ეს ერთობლივი კვლევა ჩაატარა მკვლევართა ჯგუფმა (ბენევორტი, ვესტერჰეიდენი და სხვ. 2011). კვლევაში საუბარია თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებზე, რომელიც ეხება საზოგადოებებს, სამთავრობო პოლიტიკას, ბიზნესს, განათლებას. აღნიშნულია, რომ გაიზარდა ერთობლივი კვლევების ჩატარების შესაძლებლობა, რასაც მოჰყვა ახალი გამოწვევა, უნივერსიტეტების თანამშრომლობა. ცოდნის წარმოებას ხელი შეუწყო მზარდმა ეკონომიკურმა ცხოვრებამ, უნივერსიტეტებმაც განიცადეს მოდერნიზაცია, უნივერსიტეტების მისია განისაზღვრა, როგორც სოციალური, სამეწარმეო, ინოვაციური საქმიანობა, რომელიც საზოგადოებისათვის დამატებით სარგებელს ქმნის. ანუ, უმაღლეს განათლებას აქვს ე.წ. „მესამე მისია“, კომერციალიზაციის მისია, რაც, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომკურ განვითარებას.

მკვლევარმა დირკ ვან დამემ იკვლია ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი. მან აღწერა და შეისწავლა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის განზომილებათა ინტეგრაცია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და პრაქტიკის ადაპტირება მზარდ საერთაშორისო გარემოში. სხვადასხვა გამოწვევებისა და ბოლოდროინდელი მიღწევების გაანალიზების საშუალებით, ავტორს სურდა პასუხი გაეცა შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ინტერნაციონალიზაციის და ხარისხის უზრუნველყოფის ინტეგრირება. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას და პრაქტიკას აკლია ხარისხის უზრუნველყოფის განზომილება, რადგან, ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომები უფრო ეროვნულ კონტექსტზეა მორგებული. საინტერესოა კითხვა, შეუძლია თუ არა ხარისხის უზრუნველყოფას უპასუხოს

ინტერნაციონალიზაციის გამოწვევებს და/ან, პირიქით, შეუძლია თუ არა ინტერნაცონალიზაციას ახალი გზები შესთვაზოს ხარისხის უზრუნველყოფას. ვან დამეს ნაშრომი მიმოიხილავს აკრედიტაციის სხვადასხვა კონცეფციას და მსოფლიოში ერთიანი აკრედიტაციის კავშირის შექმნის შესაძლებლობას (Damme, 2000). ავტორი გვთავაზობს ოთხ პოტენციურ გზას, რითაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები შესაძლოა განვითარდეს. ეს გზებია: 1) არსებული ეროვნული სააგენტოების გაძლიერება; 2) საზღვრის მიღმა არსებულ პროექტებში ჩართულობა და საერთაშორისო თანამშრომლობა; 3) ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების გარე აკრედიტაციის სტანდარტებისთვის ჩარჩოს შექმნა; და 4) ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სქემების შემუშავება (Damme 2000).

**ინტერნაციონალიზაციის და ხარისხის უზრუნველყოფის/შეფასების შემადგენელი ნაწილების ჩამონათვალი და მათი შედარება:**

| ინტერნაციონალიზაცია | შეფასება |
|---|---|
| სასწავლო კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები, საერთაშორისო მობილობა:<br>უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა<br>სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა<br>საერთაშორისო კურიკულუმი<br>ან უცხოელი კოლეგების ჩართვა, მაგ: ლექციის წაკითხვა, სტუდენტის ხელმძღვანელობა | ამ პროგრამების შეფასება - რამდენადაა კურიკულუმები ინტერნაციონალიზებული?<br>ერთობლივია ეს პროგრამა, ჩართულები თუ არიან უცხოელი კოლეგები? ორმხრივია ეს პროცესი? - რომელ დოკუმენტებშია ასახული ეს?<br>თუ დოქტორანტს ყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი უცხოელი? |
| კვლევის ინტერნაციონალიზაცია | სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო რანჟირების მქონე გამოცემებში - გარე შეფასება - |

| | |
|---|---|
| | რაოდენობრივიც და თვისებრივიც. მაგ იმპაქტ ფაქტორი....<br>შეფასებას აკეთებენ როგორც ადგილობრივი, ისე, უცხოელი ექსპერტები<br>ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და/ან ნებისმიერი უფლებამოსილი სააგენტოების მიერ შეფასების გაკეთება |
| ინტერნაციონალიზაციის სათანადო სტრატეგიების არსებობა? | შემფასებლებმა უნდა მოიძიონ პოლიტიკის დოკუმენტებში, მისიაში, სტრატეგიაში |
| სტუდენტთა მობილობა / უცხოელი სტუდენტების მიღება | სტუდენტთა შეფასება საზღვარგარეთის დაწესებულებებში - ჩვენ ავიღოთ ინდიკატორად დოქტორანტების ქულები და უცხოელი სტუდენტის უკუკავშირი, პროფესორის შეფასებაუცხოელი სტუდენტი ჩამოდის სასწავლად , ანუ ირჩევს ჩემს უნის, ჩემს პროგრამას - ესეც გარე შეფასებაა |
| აკადემიური პერსონალის მობილობა | უცხოელი პროფესორი ჩამოდის კვლევის მიზნით, რადგან ჩვენი პროფესორი კარგი მკვლვარია<br>როცა ჩვენი პროფესორი მიდის საზღვარგარეთ - გარე შეფასებაა |
| სტუდენტური მზაობის გაუმჯობესება გლობალური ეპოქისთვის | კურსდამთავრებული დასაქმდა საზღვარგარეთ |

| | |
|---|---|
| დისტანციური სწავლება - ონლაინ კურსები საერთაშორისო სტუდენტებისათვის | გარე ექსპერტების მიერ კურსის შეფასება<br>საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა |

**ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ განხორციელებასთან** მიმართებაში არსებობს ე.წ. მარინგის უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები, ესენია: 1) უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა; 2) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა; 3) სწავლება და თანამშრომლობა საზღვარგარეთ, ანუ ერთობლივი პროგრამები; 4) კვლევის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა; 5) კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია (იწყება მცირედი შინაარსობრივი ცვლილებით და ვრცელდება მიზნების, სწავლების მეთოდების და შეფასების ფუნდამენტურ ასპექტებამდე (Maringe, 2010).

ინტერნაციონალიზაციას, რასაკვირველია, შეუძლია დაგვეხმაროს საერთაშორისო და ინტერკულტურული ცოდნის, უნარების და ღირებულებები შეძენაში სხვადასხვა მეთოდით: საერთაშორისო მობილობით, საერთაშორისო კურიკულუმით. ეს ინიციატივები შეიძლება ვარირებდეს ტრადიციული მოტივებიდან, (სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, სასწავლო კურიკულუმის ცვლილება, საერთაშორისო ინსტიტუციური კავშირები, რომელიც მიმართულია სწავლებისა და კვლევისთვის).

# II თავი. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე

საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე და ამ პერიოდიდან ჩვენი ქვეყნის საგანანმანათლებლო სფერო ხელმძღვანელობს ბოლონიის დოკუმენტების, რეგულაციების მიხედვით. ბოლონიის პროცესმა საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში შემოიტანა შემდეგი ცვლილებები: რეფორმების შედეგად მოხდა საკონონმდებლო ბაზის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება (სამსაფეხურიანი განათლების სისტემა, კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლა, სწავლების მოქნილი გზები, კვალიფიკაციების აღიარება, მობილობა, ავტორიზაცია, აკრედიტაცია), კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), დიპლომის ახლებური დანართი (ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელი), სწავლების ყველა საფეხურზე თანამედროვე სახის სილაბუსები და კურიკულუმები, შეფასების ერთიანი სისტემა და სხვ. 2005 წლის უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდა ცვლილება და კანონის 15-ე მუხლში ჩაიწერა, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მუხლი 15.2). კანონში აღნიშნულია, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს: უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ავტორიზაციას და აკრედიტაციას, უსდ განათლების ხარისხის გაუმჯობესების (შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს), სწავლებისა და კვლევების მაღალი დონის უზრუნველყოფას, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, უსდ თანამშრომლობას საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის წარდგენას და ა.შ.

საქართველოში ბოლონიის პორცესის განსახროციელებლად შედგა ტვინინგის პროგრამა (2005 წ.), რომლის მიზანი იყო ბოლონიის პროცესის რეფორმების ეფექტური განხორციელება შესაბამის ინსტიტუციებში და საქართველოს ჩართვა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (EHEA). 2014 წელს კი დაარსდა Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი (NEO), რომელიც წარმოადგენს ტემპუსის ეროვნული ოფისის (NTO) მემკვიდრეს. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის მანდატი მოიცავს ყველა მხარდამჭერ, საინფორმაციო და მონიტორინგის აქტივობას, რომელიც Erasmus+ პროგრამის უმაღლესი განათლების სფეროს ეხება და დაშვებულია ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში.

საქართველოს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე, როგორც საერთო სივრცის ნაწილი, მრავალი გამოწვევის წინაშე დგება: ხორციელდება არაერთი საერთაშორისო პროექტი განათლებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად განახლებადია საგანანმანათლებლო პროგრამები. საქართველო, როგორც ბოლონიის წევრი ქვეყანა, ინტენსიურად მონაწილეობის ოფიციალურ შეხვედრებში, ხდება უცხოური გამოცდილების გაზიარება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება არ უარყოფს ჩვენი ქვეყნის ღირებულებებს, მენტალიტეტს. საკუთრივ ბოლონიის რეგულაციებიც ცხადად მიუთითებენ ინსტიტუციური ავტონომიის აუცილებლობის შესახებ. ბოლონიის წევრმა ქვეყანამ ეს პროცესი უნდა მიიღოს ნაციონალური კულტურის და ტრადიციების გათვალისწინებით. ყველა დოკუმენტს ახლავს ეს შემოთავაზება. ცხადია, როდესაც პროცესი ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შენდება, უფრო ადვილად და წარმატებით მიმდინარეობს.

საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს გაცვლით პროგრამებს, სტიპენდიებს, გრანტებს სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. ჩემი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მოპოვებული და დამუშავებული მონაცემები შეეხება მხოლოდ სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს.

Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი (NEO) ხელს უწყობს ევროკომისიას, აღმასრულებელ სააგენტოს (EACEA) და შესაბამის ეროვნულ სამსახურებს Erasmus+ პროგრამის განხორციელებაში. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის მანდატი მოიცავს ყველა მხარდამჭერ, საინფორმაციო და მონიტორინგის აქტივობას, რომელიც Erasmus+ პროგრამის უმაღლესი განათლების სფეროს ეხება და დაშვებულია ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. NEO საქართველოში დაარსდა 2014 წელს და წარმოადგენს ტემპუსის ეროვნული ოფისის (NTO) მემკვიდრეს.

განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა საქართველოში 2014 წელს. მისი ახალი სტრატეგიული მიმართულება ხელს შეუწყობს საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასა და შესაბამისად, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უკეთ ინტეგრირებას. განათლების საერთაშორისო ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს დოქტორანტებისათვის:

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები – პროგრამის ამოცანებია, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. აგრეთვე, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებისთვის კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური მოღვაწეობის მიზნით.

საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა – სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისა და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება კონკურსის წესით და საზღვარგარეთ აიმაღლონ კვალიფიკაცია დაკავებული თანამდებობით დაკისრებული საქმიანობის შესაბამისი შინაარსის პროგრამაზე.

საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები – გულისხმობს საქართველოს მოქალაქეებისათვის პრიორიტეტულად გამოცხადებულ

საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების შესაბამის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის დაფინანსებას კონკურსის წესით. სახელოვნებო პროგრამა განათლების საერთაშორისო ცენტრმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით გამოაცხადა.

სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში (Stipendium Hungaricum) – პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორები არიან: უნგრეთის მხრიდან - ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდი და საქართველოს მხრიდან – სსიპ-განათლების საერთაშორისო ცენტრი. პროგრამა მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტის დაფინანსებას უნგრეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უნივერსიტეტები და უმაღლესი სკოლები) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ინტეგრირებული ხუთწლიანი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად შემდეგ მიმართულებებზე: STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა), სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, სამედიცინო, სპორტისა და ხელოვნების დარგები.

სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის – 2017 წლის 6 თებერვალს ხელი მოეწერა საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამას 2017-2020 წლებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნგრეთის მთავრობის ადამიანური რესურსების სამინისტროს შორის. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნგრეთის 10 მოქალაქის დაფინანსებას საქართველოში, სწავლება-სწავლის სრული ან არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე სამაგისტრო ან სადოქტორო, მათ შორის ინგლისურენოვან პროგრამებზე/კურსებზე სწავლის, ასევე საზაფხულო სკოლებსა და კვლევებში მონაწილეობის მიღების მიზნით. სტიპენდიატები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან უზრუნველყოფილნი არიან: უფასო სასწავლო კურსით, სამედიცინო დაზღვევითა და სტიპენდიით 800 ლარის ოდენობით.

მცირე საგრანტო პროგრამა ცენტრის სტიპენდიანტებისთვის, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის გამოყენებას ქვეყნის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში.

აკადემიური პროგრამები სან–დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში – სასტიპენდიო პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს საქართველოს მოქალაქეებს, ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის და/ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს აშშ-ში, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერისტეტის ქიმიის/ბიოქიმიის ბაკალავრის შემდგომ საფეხურზე სწავლის შედეგად მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აკადემიური პროგრამები იტალიაში – სასტიპენდიო პროგრამის საფუძველია სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრსა და იტალიის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფას იტალიის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მიზნით. თითოეული სტუდენტის სტიპენდია ერთობლივად დაფინანსდება საქართველოს მხრიდან სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ და იტალიის მხრიდან თითოეული მონაწილე იტალიური უნივერსიტეტის მიერ.

2021 წლის 25 მარტს საქართველოს აუდიტის სამსახურმა საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამის 2016-2019 წლების ეფექტიანობის აუდიტი ჩაატარა. აუდიტის შედეგების მიხედვით, სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის 2016-2019 წლებში ქვეპროგრამის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შეადგინა 27 085 000 ლარი, ხოლო 2020 წელს ბიუჯეტი განსაზღვრულია 6 980 000 ლარით. აუდიტის განცხადებით, ცენტრის მიერ დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებები არ ეფუძნება სისტემურ კვლევას, ამასთანავე, განათლების და მეცნიერების სამინისტრო არ

მონაწილეობს აღნიშნული მიმართულებების ფორმირებაში. აქვე, ხაზგასმულია, რომ განათლების სისტემაში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით.

აუდიტი აღნიშნავს, რომ ცენტრი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში არ ეყრდნობოდა არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017 წელს განხორციელებულ შრომის ბაზრის ანალიზს და არც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, ცენტრს არ აქვს შემუშავებული სტუდენტთა საზღვარგარეთ საჭირო საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია.

აუდიტის დასკვნაში ასევე, ნათქვამია, რომ განსხვავებულია ერთსა და იმავე ქვეყანასა და პერიოდში სხვადასხვა სტუდენტზე ამ მიზნით გაცემული დაფინანსება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის საერთაშორისო ცენტრები, რომლებიც საკუთარი მისიის მიხედვით, ხელს უნდა უწყობდნენ ადგილობრივი სტუდენტების საზღვარგარეთ განათლების მიღებას, ხარისხის ამაღლებსა და ინტერნაციონალზიაციას, უნდა ითვალისწინებდნენ რამდენიმე აუცილებელ ფაქტორს: ქვეყნისათვის საჭირო პროფესიების, დარგების და შესაბამისი უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფას შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (Shota Rustaveli National Science Foundation – SRNSFG) წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას.
ფონდის სტრატეგიული ხედვა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამას „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა (2018-2020)“ და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის

განვითარების მიმართულებით. ფონდის მიზანია ინოვაციური სამეცნიერო კვლევების ხარისხის, მნიშვნელობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის უზრუნველყოფით ქვეყანაში მკვლევართა ახალი თაობების მომზადება, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისა და სამეცნიერო საზოგადოების კვლევითი პოტენციალის ზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერთა ინტეგრირების ხელშეწყობა. ფონდს ჰყავს საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრები არიან წამყვანი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ერთობლივ ინიციატივებში. SRNSFG ადმინისტრირებას უწევს 20-ზე მეტ საკონკურსო ეროვნულ და საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამას. ასევე, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებულ 2 პროექტს (EaP PLUS, EuGeNes). 2016 წლიდან ფონდი არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში (H2020) შემავალი ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნული საკონტაქტო პირი საქართველოში.

საუკეთესო, გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერი ს უზრუნველყოფა საქართველოში – ფონდი აფინანსებს საერთაშორისო სამეცნიერო პოტენციალის მქონე და ინოვაციურ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევით პროექტებს მეცნიერების ყველა მიმართულებით. ფონდი ხელს უწყობს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა კვლევით პროექტებში მონაწილეობას და რეპატრიაციას ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებას. საქართველოს მეცნიერთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ახალგაზრდა მკ ვლევართა შესაძლებლობების განვითარება – ფონდი ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა: პოსტ-დოქტორანტების, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და რეზიდენტურის სტუდენტების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებას და სამეცნიერო პროექტებში მათ აქტიურ ინტეგრირებას. ფონდი აგრეთვე მხარს უჭერს საერთაშორისო სამეცნიერო

სივრცეში საქართველოს მეცნიერთა აქტიურ ჩართულობას, მათი საერთაშორისო მობილობის, საქართველოში განხორციელებული აქტუალური და ინოვაციური კვლევების შედეგების საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენისა და ქვეყანაში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სეზონური სკოლების ორგანიზების გზით.

## 2.1. საქართველოში განხორციელებული კვლევები სადოქტორო საფეხურის შესახებ

საქართველოში განხორციელებული სადოქტორო საფეხურის კვლევები და უპირველესად, მინდა მიმოვიხილო მკვლევარ ელენე ჯიბლაძის დისერტაცია - „უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესები ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოში“, სადაც გამოკვლეულია უმაღლესი განათლების სისტემის ცვლილება პოსტსაბჭოურ გარდამავალ ეტაპზე. ყურადღება გამახვილებულია რეფორმებზე, ინსტიტუციონალურიდან ეროვნულ კონტექსტში გადასვლის პერიოდში. მეორე, საინტერესო ნაშრომი გახლავთ ხატია ვაჭარაძის სამაგისტრო თემა - „საქართველოს უსდ-ებში ინეტრნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართება ხარისხის უზრუნველყოფასთან“, რომელიც შესრულებულია 2018 წელს ელენე ჯიბლაძის ხელმძღვანელობით. ნაშრომის დასაწყისშივე ავტორი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა სწავლა/სწავლების სფეროს ეფექტურად წარმართვისთვის, აქტუალური საკითხია, გლობალიზაციის პროცესის, კომერციალიზაციის თუ სხვა მიზეზთა გამო. მესამე, საყურადღებო კვლვაა ონისე ალფენიძის სადისერტაციო ნაშრომი – „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი და მისი სრულყოფის მიმართულებები საქართველოში“, რომელიც დაცულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2014 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ განათლების ინეტრნაციონალიზაცია სცდება წმინდა საგანამანთლებლო მიზნებს და დღეისათვის ის განიხილება როგორც სტრატეგიული პროცესი, რომელიც ახლოს დგას ბიზნეს პროცესის სტრატეგიულ მენეჯმენტთან, უნივერისტეტის სტრატეგიული მენეჯმენტი კი გულისმობს ინტერნაციონალიზაციის მკაფიო მიზნების ჩამოყალიბებას. ასევე მნიშვნელოვანი სტატიაა ვახტანგ სართანიას „ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში“ (სართანია, 2016), სადაც მიუთითებს, რომ ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანი განხორცილებისათვის აუცილებელია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება,

ერთობლივი კვლევების ჩატარება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა და სხვა.

2012 წელს საქართველოში ტემპუსის ეროვნული ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა **„სადოქტორო განათლება საქართველოში"** (კვლევის ხელმძღვანელი პროფ. ნინო ჯავახიშვილი, ილიაუნი), სადაც მოცემულია იმ პერიოდის საქართველოში სადოქტორო განათლების მდგომარეობის აღწერა და ანალიზი. კვლევის შედეგებიდან საინტერესოა სამეცნიერო გამოქვეყნებების შესახებ ქვეთავი. კვლევაში აღნიშნულია, რომ დისერტაცის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა გამოქვეყნებული სტატიები საკვლევ თემასთან დაკავშირებით, თუმცა, უნივერსიტეტები სხვადასხვა პირობებს სთავაზობენ დოქტორანტებს როგორც გამოსაქვეყნებელი სტატიების რაოდენობის, ისე, იმ ჟურნალების მიხედვითაც, რომლებშიც ეს სტატიები შეიძლება გამოქვეყნდეს. კვლევის მიხედვით, განსხვავებულია ამ მოთხოვნის ფორმატი: უნივერსიტეტების დიდ ნაწილში მკაცრად ფასდება სტატიის ხარისხი და მოთხოვნილია სტატიის რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება; უნივერსიტეტების ნაწილი ითხოვს სტატიის გამოქვეყნებას მხოლოდ საერთაშორისო რეფერირებად ან იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, ხოლო უნივერსიტეტების ნაწილი იღებს იმ სამეცნიერო სტატიასაც, რომელიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში, უნივერსიტეტების ნაწილი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების აქტივობას ანაცვლებს სხვა აქტივობით: გამოქვეყნებით საერთაშორისო კონფერენციის მასალებში, უცხოელი პროფესორის რეცენზიით, ან მონოგრაფიის გამოცემით. კვლევაში რეკომენდაცია იყო კვლევის ხარისხის უზრუნველყოფაზე, სტატიების რეფერირებად და იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებაზე, რამდენადაც „უნივერსიტეტის მიზანია ხარისხიანი სადოქტორო პროგრამის განხორციელება. უნივერსიტეტები, რომლებიც საკუთარ ჟურნალს უშვებენ, თუმცა არა საერთაშორისო დონის, და ასევე, უნივერსიტეტები, რომლებიც პუბლიკაციებს - მონოგრაფიას ან წიგნს ითხოვენ სტატიის ნაცვლად, ვერ უზრუნველყოფენ საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დოქტორის ხარისხის მინიჭებას" (ჯავახიშვილი, 2012, გვ. 42).

მეორე და მნიშვნელოვანი კვლევა სადოქტორო საფეხურის შესახებ **„სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში“** ჩატარდა 2014 წელს (ჯგუფის ხელმძღვანელი, ქეთევან გურჩიანი, ილიაუნი). აღნიშნულ კვლევაში მოცემულია საქართველოში უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურზე არსებული გამოწვევები, ხარვეზები და ძლიერი მხარეები. კვლევის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ მიღწევად შეიძლება ჩავთვალოთ კვლევებისა და სწავლების დაკავშირება, კვლევითი ინტერესების მქონე ახალგაზრდების მოზიდვა აკადემიურ სივრცეში, თუმცა, აქვე ჩნდებიან პრობლემები აკადემიური და ფინანსური რესურსების კუთხით.

კვლევაში ერთ-ერთი რეკომენდაცია საუნივერსიტეტო თანამშრომლობის შექმნის შესახებ. მწირი რესურსების გათვალისწინებით სადოქტორო საფეხურის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობის განვითარებას, კურსების გადანაწილებას სადოქტორო საფეხურზე, რაც ფართოდაა დანერგილი ევროპულ და ამერიკულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ხელშემწყობი იქნებოდა მცირე აკადემიური რიცხოვნების მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვისამ პრინციპის ამოქმედების შედეგად უსდ-ებს ექნებოდათ შესაძლებლობა, უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ საკუთარი მწირი აკადემიური რესურსი. საერთო რეკომენდაციად, კვლევების ჯგუფს ხაზგასმული აქვს არსებული რეგულაციების თუ მოდელების მიღება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ იყოს გააზრებული, რადგან „ამგვარი მიდგომით დაინერგება ხარისხის კულტურა და საერთო სივრცეში ჩართულ უნივერსიტეტებს არ ექნებათ განცდა, რომ მოდელი თავსმოხვეულია, პირიქით, ამა თუ იმ სქემის მნიშვნელობა უკეთ ექნებათ გააზრებული“ (გურჩიანი, 2014, გვ. 32).

მესამე საინტერესო კვლევაა **„საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი“**, პოლიტიკის დოკუმენტი GRASS, რომელიც ჩატარდა 2014 წელს. კვლევაში განხილულია სოციალურ მეცნიერბებში კვლევის ხელშეწყობის პირობები, აღნიშნულია, რომ მიუხედავად მრავალი რეფორმისა, ქართულ უნივერსიტეტებში ზევრი მიმართულება, როგორიცაა მაგალითად,

კვლევა სოციალურ მეცნიერებებში, ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. არსებული ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია კვლევების ხელშესაწყობად სტრატეგიული რეკომენდაციები. კვლევის მთავარი მიგნებები ავტორთა ჯგუფს გაყოფილი აქვს ორ ნაწილად: სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობას საქართველოს აკადემიურ გარემოში, და ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც ინდივიდუალური მკვლევარების წარმატებას განაპირობებენ მოცემულ გარემოში. ავტორების აზრით, პროფესორების პუბლიკაციების ხარსხი გასაუმჯობესებელია – არსებობს დრამატული შეუსაბამობა პროფესორების მიერ პუბლიკაციების დასახელებულ რაოდენობასა და იმ პუბლიკაციებს შორის, რომლებსაც რეალურად აქვთ სამეცნიერო ღირებულება. ანალიზის შედეგად, განისაზღვრა ოთხი ტიპის სტრუქტურული ფაქტორი, რასაც არსებითი გავლენა აქვს საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევის პროდუქტიულობასა და ხარისხზე: დაფინანსების ნაკლებობა, ინსტიტუციური ფაქტორები, ცოდნის ლოკალიზება და საბჭოთა მემკვიდრეობა. კვლევის რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, პროფესორების სასწავლო დატვირთვა (შემცირება სურვილის მიხედვით), აკადემიური პოზიცია და კვლევითი პროდუქტი (აკადემიური პერსონალის ერთი დონიდან მეორეზე გადაყვანა დაკავშირებული უნდა იყოს დროს პროფესორის კვლევით პროდუქტიულობასთან), კვლევისთვის მიზნობრივი დაფინანსების გაზრდა, საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა, გაცვლითი პროგრამები სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური ტრადიციების გასაცნობად, მეთოდოლოგიური ტრენინგი (კვლევითი ასისტენტობა სტუდენტებისთვის, მათ შორის დოქტორანტებისათვის), აკადემიური გარემო (მნიშვნელოვანია, მოხდეს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების და უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა, რაც გაამარტივებს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და იდეების გაცვლა-გამოცვლას), ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა (კვლევითი პროდუქტიულობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტები უნდა ზრუნავდნენ ერთმანეთთან

თანამშრომლობის გაზრდაზე). სამთავრობო დონეზე ეროვნული წამახალისებელი სისტემის შექმნა, უფრო მეტი დაფინანსება, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შესაბამისი ადამიანური რესურსი (სამინისტროს დონეზე შემუშავდეს პროგრამა, რომელიც ა) ხელს შეუწყობს დასავლეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდა მეცნიერებს, დაბრუნდნენ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბ) ხელს შეუწყობს ახალგაზრდა უცხოელი პროფესორების მოზიდვას, რომლებმაც ახლახან მიიღეს დოქტორის ხარისხი დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებში).

## 2.2. განათლების სადოქტორო საფეხური საქართველოში

საერთაშორისო რეგულაციებიდან, 2005 წლის ბერგენის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სადოქტორო პროგრამების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით და განსაზღვრულია დოქტორანტურის საფეხურთან დაკავშირებული ცალკეული დეტალი:

1. სადოქტორო პროგრამის მოცულობა ნორმალური სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეესაბამებოდეს 3-4 წელიწადს;

2. მინისტრებმა მოუწოდეს, რომ სადოქტორო პროგრამებში უზრუნველყოფილი იქნას ინტერდისციპლინარული მიდგომა და იმ უნარების განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

3. სადოქტორო პროგრამების დეტალური რეგულირება არ არის მიზანშეწონილი;

4. სადოქტორო პროგრამის მონაწილე წარმოადგენს როგორც სტუდენტს, ასევე მკვლევარს კარიერის ადრეულ ეტაპზე.

ბუნებრივია, 2005 წლიდან საქართველოს ბოლონიის პროცესებში გაწევრიანების შემდეგ, რეფორმირდა უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხური ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით. სადოქტორო საფეხურზე პროგრამების განხორციელების უფლება აქვს ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს აღნიშნული სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ. სადოქტორო პროგრამებისათვის ზოგადი მოთხოვნებია:

- სადოქტორო პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 180 კრედიტს;
- სადოქტორო პროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც კვლევით, ასევე სასწავლო კომპონენტს;
- რომელიმე კონკრეტული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისა და განხორციელების საკითხები შესაბამისი დარგის დარგობრივი სტანდარტებით განისაზღვრება.

საყურადღებოა, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დინამიკა 2005 წლიდან დღემდე. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, რაზეც ამ თავში იქნება საუბარი, შეეხება მხოლოდ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს, სასწავლო და კვლევით კომპონენტს, სადოქტორო ხარისხის მინიჭების პროცედურებს, წესებს და სხვ. საქართველოს საგანამანათლებლო სივრცეში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს – სადოქტორო სწავლებას არეგულირებს:

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- სადოქტორო პროგრამების საკანონმდებლო ჩარჩო (კრედიტებით გაანგარიშების წესი)
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

2005 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოს საგანამანათლებლო სივრცე შეურთდა ბოლონიის პროცესს, შესაბამისმა საკანონმდებლო ბაზამ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. რეფორმების მიზანი იყო საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ძალაში შევიდა 2005 წლის 10 იანვარს; სადოქტორო პროგრამების საკანონმდებლო ჩარჩო შეიქმნა – 2007 წლის 5 იანვარს, ბრძანება N3, საქართველოს კანონით განათლების ხარისხის განვითარების შესახებ შეიქმნა – 2010 წლის 1 სექტემბერს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა 2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით №120/ნ. აღნიშნული დოკუმენტი ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავდა ლონდონის კომუნიკეს (2007 წელი) მოთხოვნის შესაბამისად დუბლინის დესკრიპტორზე[1] დაყრდნობით. სადოქტორო პროგრამების მიმართულებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო იმეორებს უმაღლესი განათლების შესახებ

[1] დუბლინის დესკრიპტორი არის სახელმძღვანელო ჩარჩო, რომლიც აღწერს სწავლის შედეგებს. დუბლინის დესკრიპტორით განსაზღვრულია 5 ძირითადი ელემენტი: ცოდნა/გაცნობიერება, პრაქტიკული უნარები, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი.

საქართველოს კანონის მოთხოვნებს, პროგრამის მოცულობის მინიმუმის, მისი ფუნქციონირებისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი შეიძლება დაზუსტდეს შესაბამისი დარგობრივი სტანდარტით.

2008 წლის 10 დეკემბერის ბრძანებით კანონში შევიდა ცვლილება, რომ 2009-2010 წლისათვის უნდა განსაზღვრულიყო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მიღების პირობები, პროგრამებზე მიღების სისტემა ყოფილიყო გამართული, დეტალურად გაწერილი, ნათელი და მკაფიო. 2009 წლის 10 აგვისტოს კანონში შევიდა ძირითადი ცვლილებები, რომლის თანახმადაც, დოქტორის აკადემიური ხარისხს უთანაბრდება 2004 წლამდე მინიჭებული დოცენტის ან პროფესორის აკადემიური წოდება (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 101).

საქართველოში სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის გაგება და ინდიკატორები სხვადასხვანაირად ესმოდათ წლების მანძილზე. თუმცა ქვეყნის საგანანმანათლებლო სივრცე ბევრჯერ რეფორმირდა და ცვლილებებმაც უფრო დახვეწილი სადოქტორო პროგრამები და მიღების წინაპირობები მოგვცა. წინა წლების რეგულაციების გაცნობით, აღმოჩნდა ინეტრნაციონალიზაციაც და ხარისხის უზრუნველყოფაც ყოველთვის არსებობდა, მხოლოდ სხვა მასშტაბით და სხვა სიმკვეთრით. აღსანიშნავია, სადოქტორო საფეხურზე მიღების წინაპირობად ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურება, დაცვამდე გამოქვეყენებული სადისერტაციო ნაშრომთან დაკაშირებული სტატიები და ზოგჯერ უცხოელი პროფესორის რეცენზია, ეს ყოველივე შეიძლება ჩაითვალოს როგორც ხარისხის უზრუნველყოფად, ასევე ინტერნაციონალზიაციად. 2012 წლამდე უმაღლესი განათლების საკანონმდებლო სივრცე ამგვარად ახორციელებდა საგანამანათლებლო პროგრამებს მესამე საფეხურზე:

- საქართველოში არსებულ უსდ-ს უმეტესობას ჰქონდა დოქტორანტურაში ჩაბარების წინაპირობად უცხო ენის ჩაბარება;
- უსდ-ების რეგულაციის მიხედვით, სავალდებულო იყო დაცვამდე გამოქვეყნების/გამოქვეყნებების წარმოდგენა. მოთხოვნა იყო არაერთგვაროვანი, ზოგი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ითხოვდა საზღვარგარეთ

საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას და ზოგიც - ადგილობრივად, თუმცა, გამოქვეყნების მოთხოვნა ყველგან იყო;

- რამდენიმე უსდ-ს რეგულაციის შესაბამისად, დოქტორანტებს გამოქვეყნება შეეძლოთ ჩაენაცვლებინათ დასავლეთის ქვეყნის უნივერსიტეტის პროფესორის რეცენზიით.
- 2012 წლიდან განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რომლის მიხედვითაც:
- უკვე საქართველოში არსებულ ყველა უმაღლეს სასაწავლო დაწესებულებას ჰქონდა დოქტორანტურაში ჩაბარების წინაპირობად ერთ-ერთი ევროპული ენის ჩაბარება;
- უმაღლესი სასაწავლო დაწესებულებების რეგულაციის მიხედვით, დოქტორანტებს ევალებოდათ დაცვამდე სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული გამოქვეყნებების წარმოდგენა და უმაღლეს სასაწავლო დაწესებულებები ითხოვდნენ საზღვარგარეთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას, თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული უცხოური გამოქვეყნებების ბაზები;
- რამდენიმე უსდ-ს რეგულაციის შესაბამისად, დოქტორანტებს ინტერნაციონალიზაციის დადასტურება შეეძლოთ უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობით;
- ზოგ უსდ-ს რეგულაციის შესაბამისად, დოქტორანტს, რომელიც მუშაობდა ქართველოლოგიურ თემატიკაზე, სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნება შეეძლო ადგილობრივ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულია უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ის სავალდებულო საქმიანობები, რომელიც უნდა დაადასტუროს საჯარო თუ კერძო უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ. საინტერესოა, თვითშეფასების ანგარიშის 3.4 პუნქტი, რომლის მიხედვითც უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს, რომ იგი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სწორედ ეს სავალდებულო მოთხოვნებია ასახული ყველა მოქმედი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისისებსა და სტარტეგიებში.

2016 წლის 29 იანვარს №07/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც (მუხლი 2.1-ს 5-ე ქვეპუნქტი) დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს, შესაბამისად, შეიცვალა ა) უსდ-ში დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დოქტორანტისათვის სავალდებულო კვლევით კომპონენტებს აღარ მიენიჭათ ცალკე კრედიტი და ის შევიდა დისერტაციიის კრედიტში; ბ) საქართველოს განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 5 აგვისტოს №158/ნ ბრძანებით დამტკიცდა დიპლომების ახლებური დანართი, მოხდა კუსრდამთავრებულის მიერ მიღწეული შედეგების (4-ე პუნქტი) სამ კომპონენტზე გაწერა. კვალიფიკაციათა ჩარჩო - EQF–LLL-ის (კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის) შემადგენელი ელემენტებია: ცოდნა/გაცნობიერება, უნარები (კოგნიტური, პრაქტიკული და კომპტენციები (ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა) გ) ამავე კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების, ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით. დ) უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებით, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიებებით სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლებისათვის,

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ცვლილებით დოქტორანტებისათვის სავალდებულო გახდა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი პუბლიკაცების წარდგენა, რომლებიც გამოქვეყნებული უნდა იყოს Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალში. მნიშვნელოვანია, თუ როგორ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტები სადოქტორო პროგრამების ხარისხს. უახლესი კანონმდებლობის შესაბამისად (უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი), უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები განსაზღვრავენ ინეტრნაციონალიზაციის მნიშვნელობას და საჭიროებას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცისათვის. ამის დასტურია დოქტორანტურაში მიღების წინაპირობად ერთ-ერთი ევროპული უცხო ენის დადასტურება (B2 ან C1 დონეზე); ასევე, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა კვლევასთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

საკანონმდებლო ბაზის ცვლილებებით ჩანს, რომ სადოქტორო საფეხურზე ჩაბარების წინაპირობების მოთხოვნები გაიზარდა, გამკაცრდა, მოხდა ყველა ინფორმაციის და შესაბამისი პროცედურების დეტალური გაწერა, სავალდებულო გახდა პუბლიკაციებით ინტერნაციონალზიაციის დადასტურება, განხორციელდა განსაღვრული მოთხოვნების მკაცრი დაცვა. მოცემული ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კარგი დინამიკაა. რასაკვირველია, მეცნიერება გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნას, საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ–ერთი ფორმაა. სამეცნიერო კვლევების დროს ბუნებრივია ხდება ცოდნის გაცვლა, კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა, მუდმივად ახლდება და მკვიდრდება მეცნიერული ეთიკისა და კვლევის მაღალი სტანდარტები, ანუ მეცნიერება თავისთავად მოიაზრებს საერთაშორისოობას,  ეს ბუნებრივია ხებოდეს სადოქტორო საფეხურზე, რომელიც სადისერტაციო ნაშრომით გვაძლევს სამეცნიერო სიახლეს.

## 2.3. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეს, ცხადია, აქვს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურისთვის დადგენილი აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები, რასაც მონიტორინგს უწევს საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო - **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** (შემდგომში - ცენტრი), რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ - აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა. ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ის მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე; აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

საქართველოს საგანამანთლებლო სივრცეში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურებით. ორივე პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს და

ვრცელდება განათლების სამივე დონეზე (http://eqe.gov.ge/geo/static/517/HE-QA/): ზოგადზე, პროფესიულსა და უმაღლესზე. ავტორიზაცია არის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს დაწესებულების თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისათვის. აკრედიტაცია არის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან პროგრამების შესაბამისობის დადასტურება. აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

## 2.4. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში

მნიშვნელოვანია თუ როგორ ესმის ინტერნაციონალიზაცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. ქართულ კანონმდებლობაში პირდაპირი, ცალსახა განმარტება ინეტრნაციონალიზაციისა, არ არის. თუმცა არის ირიბი მინიშნებები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონშიც, პარლამენტის დადგენილებაში და საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეგულაციებშიც. საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ მესამე მუხლის გ ქვეპუნქტში ხაზგასმულია, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მაზანია „თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის“ (3-ე მუხლი, პუნქტი გ); ასევე, მეორე დოკუმენტშიც, ეს არის საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ, მეოთხე მუხლში არის ინტრნაციონალიზაციის მინიშნებები, „გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლება საერთაშორისო ხასიათს იძენს. აუცილებელია, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე საერთო ევროპული განათლების სისტემის სივრცეში მოექცეს“ (2002 წლის 1 მარტი, №1324–IIს). საქართველოს კანონში ჩამოყალიბებული უმაღლესი განათლების მიზანი, რომ ქვეყანამ უნდა მოამზადოს კადრი თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, რომელიც წარმატებით დასაქმება როგორც შიდა და ასევე საგარეო შრომის ბაზარზე, თავისთავად გულისხმობს უმაღლესი სასწავლებელის მისიისა და სტრატეგიით, ასევე საგანამანათლებელო კურიკულუმებით ამ მიზნის უზრუნველყოფას. კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს მიღებული კომპეტენციით წარმატებით დასაქმდეს ქვეყნის

გარეთ შრომის ბაზარზეც, აუცილებლობით წინაპირობად გულისხმობს შესაბამისი, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამისა და შესაბამისი მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის არსებობას.

ზოგადად, საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებში განათლების პოლიტიკა მიმართულია განათლების მიღების ინტერნაციოანლიზაციის ჩართვისკენ.

დოკუმენტი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა (2016-2020), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს მეცნიერებისა და განათლების განვითარებას, რომელიც მოიცავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის პრინციპის დანერგვას, განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესებას, შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფას, ინტერნაციონალიზაციას განათლების ყველა საფეხურზე. ხაზგასმულია, რომ განათლების ინტერნაციონალიზაცია უპირობო პრიორიტეტულობაა, რომ სწორედ „ინტერნაციონალიზაცია უწყობს ხელს განათლების ხარისხის განვითარებას“ (სტარტეგიული გეგმა 2016-2020, გვ. 5). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, **რომ ინტერნაციონალიზაცია უნდა შეფასდეს ხარისხის მიერ და ამავე დროს, ინტერნაციონალიზაცია განათლების ხარისხის ზრდას უნდა იწვევდეს,** ინტერნაციონალიზაცია უწყობს ხელს საერთაშორისო მობილობას, საერთაშორისო აღიარებასა და ნდობის განმტკიცებას და  ქართული განათლების სისტემის მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან და საქართველოს მიერ დასახული ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული მიზნის რეალიზაციას.

ჩემ მიერ განხილული ცვლილებებით მინდოდა მეჩვენებინა დინამიკა, თუ როგორ იხვეწებოდა სწავლებისა და კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია საკანონმდებლო დონეზეც და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისიებსა და სტრატეგიებში. ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა საკანონმდებლო დონეზე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაზღვრულია უმაღლესი განათლების მიზნებში 2002 წლის საქართველოს პარლამენტი დადგენილებაში, ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი სასწავლო დაწესბულებების თვითშეფასების კითხვარში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიულ გეგმებში, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისიებსა და დსტრატეგიებში.

ბოლონიის პროცესების შესაბამისად, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2006 წლიდან წარმოადგენს წლიურ ანაგრიშებს ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული საქმიანობის შესახებ: საქართველოს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 წლების პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგები; 2004-2005 წლების აკრედიტაციის კრიტერიუმები; უსდ თვითშეფასება; სააკრედიტაციო ვიზიტები, პროცედურები. 2014 წლის ანგარიში პირველი დოკუმენტია, სადაც ერთი ქვეთავი არის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა შესაძლოა მოიცავდეს **„საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ადგილობრივ აქტივობებსა და პროცედურებში, ... თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან) უცხო ქვეყნებში, საერთაშორისო ფორმატებში / პროცესებში საქართველოს მონაწილეობას / ჩართვას / წარმოჩინებას, საერთაშორისო რესურსების /ექსპერტიზის გამოყენებას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობას სანდო და საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვალიფიკაციების უზრუნველყოფით და სხვ.** (ანგარიში, გვ. 6-7).

აღნიშნული ქვეთავი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი (BFUG), განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი (Mahatma), სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მათემატიკის კურიკულუმების მომზადება სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (MathGeAr), ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და საჭიროების აუცილებლობის აღიარება სომხეთსა და საქართველოში (QA_TNE). ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი (BFUG) არის სტრუქტურული რეფორმების სამუშაო ჯგუფი, სადაც ქართულ მხარეს 2013 წლიდან წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრი. 2014 წლის 10-11 მარტს ვატიკანში გაიმართა სტრუქტურული რეფორმების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილებოდა კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის და სოციალური პასუხისმგებლობის სისტემის განვითარების საკითხი.

პროექტი „Mahatma" განხორციელდა „ტემპუსის" პროგრამის ფარგლებში და პროექტში ჩართული იყო თსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროექტის მიზანი იყო საქართველოსა და სომხეთის პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის ერთიანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. პროექტში ევროპიდან ჩართული იყვნენ საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხოლო პროექტის კოორდინატორი იყო ზაარლანდის უნივერსიტეტი. ასევე მეორე პროექტის „MathGeAr" მიზანი იყო სამხრეთ კავკასიის უნივერსტეტებში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კურიკულების მოდერნიზაცია ამ პროექტში ჩართული იყვნენ საქართველოს, სომხეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები. მესამე პროექტი „QA_TNE" – ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და საჭიროების აუცილებლობის აღიარება სომხეთსა და საქართველოში, მიზანი იყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება OECD / UNESCO გაიდლაინების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს ხარისხსი ზრდას, შესაბამისი რეგულაციების ამოქმედებას და ტრანსნაციონალური განათლების მიწოდებას საქართველოსა და სომეთში. პროექტში ჩართული იყვნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, საქართველო და სომხეთი. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა უსდ და ხარისხის განვითარების თანამშრომლების გადამზადებისათვის ტრენინგის სახელმძღვანელოს შემუშავება, OECD / UNESCO გაიდლაინების გათვალისწინებით TNE-ს ხარისხის განვითარების ჩარჩოს შემუშავება და აღნიშნულზე დაყრდნობით სააგენტოების მიერ პროგრამების საპილოტე აკრედტიაციის ჩატარება (რაც განხორციელდა კიდეც 2018 წელს).

2015 წლის ანგარიშში კიდევ უფრო გამახვილდა ყურადღება ინტერნაციონალიზაციაზე და საგანგებოდ აღინიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი გახდა. 2015 წლის 23 ოქტომბერს ცენტრმა მოიპოვა ასოციაციის აფილირებული წევრის სტატუსი. ანგარიშში ხაზგასმულია ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში წევრობის უპირატესობები: ა) უნივერსიტეტთა სახელით ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ევროპის პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენა; ბ) კავშირების დამყარება მნიშვნელოვან ევროპულ დაინტერესებულ მხარეებთან; გ) ევროპულ უნივერსიტეტთა ინეტრესების წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე და გლობალურ ღონისძიებებში; დ) წევრი ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. ყველა ამ აქტივობით ცენტრი მუდმივად ისწრაფვის საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა ევროულ სტანდარტებთან დაახლობისა და თავსებადობისაკენ, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დახვეწისაკენ და საქართველოს სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებისაკენ საერთაშორისო დონეზე.

2017 წლის ანგარიშშიც ცენტრის სტრატეგიულ მიზნებში ნაშრომის საკვლევი კითხვებისათვის რელევანტურია შემდეგი: არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა და ე) საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. მოკლედ მიმოვიხილავ რამდენიმე საინტერესო აქტივობას, განხორციელებულ პროექტებსა თუ კონფერენციებიც, რომლებიც ჩატარდა საქართველოში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. პროექტის – „უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია“ ფარგლებში ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაგეგმა და განახორციელა ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი 21 ინგლისურენოვანი პროგრამის შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მონაწილეობა. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა 10 რეგულირებადი საგანმანათლებლო

პროგრამის განმავითარებელი შეფასება და ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, შპს კავკასიის უნივერსიტეტთან და ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტთან. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და ცენტრის მხარდაჭერით, 27-28 სექტემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – "უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სარეიტინგო სისტემები", სადაც მონაწილეობდნენ სამინისტროს მიერ მოწვეული უნივერსიტეტების საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლები და იმ სააგენტოების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო სტუდენტების მოწვევაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით 2017 წლის 14-15 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა, შედეგები და შემდეგი ნაბიჯები". ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის პირველი ეტაპის შეჯამებას, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების განახლებას და მათ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებთან (ESG 2015) შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, რეფორმა მიზნად ისახავს განვითარებაზე და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებას, რაც ასევე ხაზგასმულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმების 2017-2020 წლების დღის წესრიგში.

კონფერენციაზე მოწვეულები იყვნენ განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები, პარტნიორი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო პარტნიორები, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული

მხარეები“. კონფერენციაზე განხილული ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების მიხედვით ჩატარებული ინსტიტუციური და პროგრამული შეფასებების შედეგები, რეფორმის განხორციელების შემდეგი ნაბიჯები და შესაძლებლობები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მიმართული იყო სწორედ უმაღლესი განათლების მთავარი მიზნისაკენ, რომ საქართველოს საგანამანთლებლო სივრცე დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს (2017 წლის წლიური ანგარიში).

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტის მიხედვით, საყურადღებო იყო საქართველოს წარმომადგენლობის ანგარიში ასოცირების განხორციელების შესახებ (6.2.2020), რადგან აქ დიდი ადგილი ეთმობა განათლების თემას ანგარიში ასახავს ევროკავშირსა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ მდგომარეობას. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი საქართველოს თვლის რეგიონის მთავარ პარტნიორად და სრულად უჭერს მხარს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში. საქართველო კვლავაც ერთგულად მუშაობს და აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივ არქიტექტურაში. საქართველომ მონაწილეობა მიიღო სამომავლო ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაში: ქვეყნის შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, გამოსვლებზე, მთავრობის საპასუხო რეაქციებზე, თავისუფალი რეჟიმის ამოქმედების შედეგებზე და ხაზგასმულია, რომ მიუხედავად ადგილობრივი ფინანსური ბაზრის არამდგრადობისა, ქვეყანა მაინც განაგრძნობს სწრაფვას ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე მუდმივად ჩართულია ორმხრივი კონსულტაციების რეჟიმში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მობილობის პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. საქართველოში პროგრესია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრი და შევიდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპის რეესტრში. საქართველო აგრძელებს წარმატებული Erasmus + მონაწილეობას უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროებში. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტიპენდიანტების რიცხვით, ის 141 მონაწილე ქვეყანიდან მე–6 ადგილზეა.

კვლევისა და ინოვაციის მიმართულებითაც წინსვლაა, საქართველომ დაიწყო Horizon 2020 პოლიტიკის რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება. აქცენტები გაკეთდა: პრიორიტეტებიზე/იდენტიფიცირების პერსპექტიული კვლევის სფეროების განსაზღვრაზე; სამეცნიერო-ბიზნესის კავშირების დამყარებაზე; ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავებაზე. საქართველომ გადადგა ნაბიჯები საკუთარი სამეცნიერო სექტორის ინტერნაციონალიზაციისათვის და სექტემბერში გახდა EURAXESS კვლევითი ქსელის წევრი. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საგანამანათლებლო სივრცის ინტეგრაციას ევროპულ კვლევის სფეროში.

ანაგრიშის დასასრულს, კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველო ერთგულია ასოცირების ხელშეკრულებისა და პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. 2020 წელი კი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის, რათა გააგრძელოს რეფორმების შესრულება, რაც გადამწყვეტია მისი ევროპულ გზაზე შემდგომი წინსვლისთვის.

საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2018 განხორცილებული საპილოტე აკრედიტაცია უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ადასტურებს სწორედ ქვეყნის განათლების პოლიტიკის ძირითად მისწრაფებას – საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან. რაც 2019 წელს განხორციელდა კიდეც. საყურადღებოა, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის მუშაობის შედეგები ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმასთან მიმართებით. ანგარიშში განსაკუთრებით ხაზგასმულია უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების გარე შეფასებისთვის ავტორიზაცია აკრედიტაციის პროცესების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება, კვლევაში მობილობის ძირითად პრობლემად დასახელებულია ის, რომ უნივერსიტეტებს არ აქვთ სისტემური, სტრატეგიული მიდგომა ამ საკითხისადმი და, შესაბამისად, ხარისხის სამსახურები სათანადოდ ვერ აფასებენ ამ პროცესების დადებით და უარყოფით მხარეებს.

რაც შეეხება მობილობის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტების უმეტესობაში არ იქმნება წერილობითი ანგარიში კონკრეტული მობილობის შესახებ. შესაბამისად, არ იქმნება დოკუმენტური მასალა შედეგების შემდგომი გადახედვისა და დაგეგმვისთვის. ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ზეპისიტყვიერი ანგარიში ფაკულტეტის/დაპარტამენტის ან აკადემიური საბჭოს წინაშე. კვლევაში ხაზგასმულია, რომ მობილობის საუნივერსიტეტო პოლიტიკა მნიშვნელოვანია თანამედროვე უსდ-ებისათვის, მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უჭირთ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული მობილობების ჯამური შედეგის შეფასება მთლიანად ორგანიზაციისთვის.

## 2.5. კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის კითხვები

**კვლევის მიზანია** უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის მიმართების შესწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

კვლევის ამოცანებია:

- ამოცანა 1. თეორიული კვლევა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს რელევანტური ლიტერატურის (არსებული კვლევების, თეორიების) განხილვას შემდეგ საკითხებზე:
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია სადოქტორო საფეხურზე, მათ შორის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში
- ინტერნაციონალიზაციის თეორიები; სისტემური მიდგომა ინტერნაციონალიზაციისადმი
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სადოქტორო საფეხურის განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, მათ შორის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში
- ხარისხის უზრუნველყოფისადმი სისტემური მიდგომა
- ამოცანა 2. ემპირიული კვლევა - რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. მათ შორის:
- უსდ სადოქტორო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება
- ჩაღრმავებული ინტერვიუები უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგარეო ურთიერთობების სამსახურთან და დოქტორანტებთან.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:

- უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინეტრნაციოანლიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და მათი მიმართების ანალიზი
- სახელმძღვანელო დოკუმენტის შედგენა / პრაქტიკული რეკომენდაციები.

კვლევის კითხვები

საერთაშორისო ლიტერატურის განხილვის, უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლიანი შესწავლის, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეგულაციებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტრატეგიებისა და მისიების შესწავლის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში მცირეა კვლევები უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის და ხარისხის უზრნველყოფის კვეთის შესახებ, ხოლო საქართველოში ასეთი საერთოდ არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს კვლევები, რომლებიც ამ საკითხს სადოქტორო საფეხურზე შეისწავლიდა, ამგვარად, წინამდებარე ნაშრომი ამ ღიობის ამოვსებას ისახავს მიზნად და შემდეგ კითხვებს მოიცავს:

1.1. რა არის უნივერსიტეტებისთვის ინტერნაციონალიზაციის პროცესი/ორგანიზაციული მიდგომა? რატომ სურთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინტერნაციონალიზაციის დანერგვა და განხორციელება? თუ განსხვავდება ინტერნაციონალზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

1.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში – შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციულ მიდგომას?

1.3. დემინგის (Deming 2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება ინტერნაციონალიზაცია?

2.1. როგორ ესმით უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე? რატომ სურთ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელება? განსხვავდება თუ არა ხარისხის შეფასება მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

2.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სადოქტორო საფეხურზე შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციული მიდგომა?

2.3. დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა?

3.1. თუ დევს ინტერნაციონალიზაცია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში? ექვემდებარება ინტერნაციონალიზაცია ხარისხის უზრუნველყოფას?

3.2. დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეააფსე და განავითარე) რომელ ეტაპზე ხდება ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება?

3.3. ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის შეფასების დაკავშირებისას თუ ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტები ნაითის ზოგადი სისტემური მოდელით (შენატანი, პროცესი, ამონაგები)?

3.4. თუ არის საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი? ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცი თუ ხდება?

ევროპული სივრცეში უმაღლესი განათლების ინტერნციონალიზაციის შეფასებისას უნივერსიტეტები ხელმძღვანელობენ ნაითის ზოგადი სისტემური მოდელით. ჩემი საკვლევი თემისათვის, ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართებაზე მსჯელობისას გამოვიყენე ორივე მოდელის კომბინაცია, როგორც დემინგის მოდელის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე), ასევე ნაითის ზოგადი სისტემური მოდელისა (პროცესი, ორგანიზაციული მიდგომა).

ორივე კომბინირებული მოდელი ცხრილის სახით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

| ნაითი | დემინგი |
|---|---|
| დაგეგმვა - <br>*უნივერსიტეტის მიერ დასახული საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ინტერნაციონალიზაციის განზომილების* | დაგეგმე - <br>*მიმართულებებისა და მიზნების განსაზღვრა, მართვის სტრატეგიის განვითარება, დაგეგმოს ამოცანები,* |

| | |
|---|---|
| *უნივერსიტეტის მირითად ფუნქციებში გაერთიანება, ჩართულობა, პოლიტიკა* | *ხელმისაწვდომ რესურსების სისტემატურ ანალიზზე დააფუძნოს აქტივობები, ანუ უპასუხოს კითხვას - რისი მიღწევა სურთ და როგორ შეასრულებს მას* |
| საქმიანობა / ქმედებები - <br> *საქმიანობის მიდგომა აღწერს ინტერნაციონალიზაციას ისეთი კატეგორიების ან საქმიანობის გაგებით, როგორიცაა სასწავლო გეგმა, მეცნიერთა / სტუდენტთა გაცვლა და ტექნიკური თანამშრომლობა* | განახორციელე - <br> *დასახული აქტივობების განხორციელება* |
| კომპეტენციები <br> (ანუ შედეგები) <br> *იგულისხმება ახალი უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნის შემუშავება სტუდენტებში, პროფესორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალში. აქცენტი კეთდება ადამიანურ რესურსზე და არა აკადემიურ საქმიანობასა და ორგანიზაციულ საკითხებზე* | შეაფასე - <br> *განხორციელებული ქმედებების შეფასება, შედეგების გაზომვა, კრიტიკულად ასახვა და დასახულ მიზნებთან შედარება* |
| ორგანიზაციული მიდგომა - <br> *ყურადღების გამახვილება უნივერსიტეტში ეთიკის ან კულტურის შემუშავებაზე, რაც მხარს უჭერს კულტურათშორის და საერთაშორისო პერსპექტივებს და ინიციატივებს. მიდგომა მჭიდრო კავშირშია პროცესის მიდგომასთან* | განავითარე - <br> *განვითარების საფეხურების ფორმულირება, გეგმების მოდიფიცირება საჭიროების შემთხვევაში და/ან მიზნების წინასწარ ფორმულირება, მიზნების მიღწევის შემდეგ მნიშვნელოვანია პოლიტიკის შენარჩუნება და გაუმჯობესება* |

## 2.6. კვლევის მეთოდი

კვლევისათვის შერჩეული და გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის კითხვების უმეტესობა ისეთია, რომ მათზე პასუხის მისაღებად ინტერვიუს ჩატარებაა საჭირო, რაც, მონაცემების შეგროვების თვისებრივი მეთოდია. ამავე დროს, კვლევის პირველ ეტაპზე საჭირო გახდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სადოქტორო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება, რაც მონაცემების შეგროვების რაოდენობრივი მეთოდია.

სამიზნე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისგან ინფორმაციის მიღება მოხდა ორი გზით: ერთი, მათი ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია, როგორიცაა მისია, სტრატეგია. მეორე, ინფორმაცია, რომელიც ღიად მისაწვდომი არაა, ამიტომ, ოფიციალური წერილებით მივმართე სხვადასხვა სამსახურს და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფაკულტეტებს, რათა გამერკვია, მაგალითად, რა რაოდენობის კანდიდატი აბარებს ყოველწლიურად უნივერსიტეტებში და რა რაოდენობის კანდიდატი იცავს ყოველწლიურად სადოქტორო ხარისხს; რა საერთაშორისო მემორანდუმები და თანამშრომლობა აქვთ უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად; ასევე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოელ ექსპერტთა ჩატარებულ ჩართულობით რამდენმა საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია.

შესაბამისად, კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შეგროვდა რაოდენობრივი მოანცემები, ხოლო მეორე ეტაპზე – თვისებრივი. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა როგორც სამიზნე უმაღლესი სასწაული დაწესებულებებისგან, ისე საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან, რადგან, კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაციის ნაწილს მხოლოდ ეს ორგანიზაცია ფლობს. ასეთია ინფორმაცია აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. ამიტომ, 2019 წლის აპრილში საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მივმართე წერილით, სადაც მოთხოვნილი იყო ინფორმაცია იმ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, რომლებიც ჩაერთნენ უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით

განხორციელებულ აკრედიტაციაში. 2019 წლის აპრილში განცხადებით მივმართე ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხოელ ექსპერთა მონაწილეობით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ოფიციალური მონაცემების შესახებ. ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით (MES 6 19 00435997 16/04/2019) , უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით საარედიტაციო პროცესში ჩაერთო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების 44 საგამანათლებლო პროგრამა, მათგან უარი ეთქვა სამს, პირობითი აკრედიტაცია მიიღო ოთხმა, ხოლო დანარჩენებმა მიიღეს აკრედიტაცია. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგი შედეგია.

ასევე, ოფიციალური წერილებით მივმართე სამიზნე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სხვადასხვა სამსახურებს (სასწავლო პროცესების მართვის, კარიერული დასაქმებისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურები) და ფაკულტეტებს. მაინტერესებდა შემდეგი ინფორმაცია: სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, სადოქტორო საფეხურზე გაცვლითი პროგრამების შესახებ, უცხოელ სტუდენტთა მოწვევის შესახებ, უნივერსიტეტში უცხოელ პროფესორთა მოწვევის შესახებ და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის შესახებ (იხ. დანართი 1).

კვლევის მეორე ეტაპზე ჩავატარე ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუ სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან (ინტერვიუების ჩამონათვალი იხ. დანართი 2, 3, 4). კითხვარები გაკეთდა თემების მიხედვით: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისთვის, უმაღლესი სასწავლო დაწესებეულებების საგარეო ურთიერთობათა სამსახურებისთვის და დოქტორატნებისთვის. შესაბამისად, თემატურად აგებული კითხვებიდან მივიღეთ ინფორმაცია: სადოქტორო საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფა, უსდ-ების მოტივაცია ხარისხის უზრუნველყოფისა, სადოქტორო პროგრამების შეფასება, დოქტორანტის გამოქვეყნებები, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, უსდ-ში

ინტერნაციონალიზაციის შეფასება, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის პოლიტიკა, საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი.

მონაცემები დავამუშავე თემატური ანალიზით.

## 2.7. შერჩევა

კვლევის პოპულაციას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლებსაც განათლების სადოქტორო საფეხური აქვთ. ამჟამად, საქართველოში 56 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა. მათგან, უნივერსიტეტია 31, სასწავლოა 21, კოლეჯია 4; გარდა ამისა, არის 8 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 13 არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელთაგან 8 უნივერსიტეტი არის თბილისში; 5 უნივერსიტეტია რეგიონებში: ახალციხე – 1, თელავი - 1, ბათუმი – 1, ქუთაისი – 2.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, სახელწიფო უნივერსიტეტებში არ მოიაზრება ერთსპეციალობიანი უნივერსიტეტები: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შესაბამისად, პოპულაცია შეადგენს 9 უნივერსიტეტს, მათგან 4 თბილისიდანაა და 5 რეგიონებიდან. სტუდენტების რაოდენობის მიხედვით რეგიონის 5 უნივერსიტეტში სულ 16 714 სტუდენტია, მაშინ როცა, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 548 სტუდენტია, ხოლო თბილისის 4 უნივერსიტეტში ერთად 64 732 სტუდენტია. ცხრილში წარმოდგენილია ეს მონაცემები და დამატებით, დოქტორანტი სტუდენტების რაოდენობა:

ცხრილი #1

| № | სსიპ | დოქტორანტების რაოდენობა | სტუდენტთა საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | **თბილისის უნივერსიტეტები** | | |
| 1 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 919 | 22548 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1270 | 21622 |
| 3 | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 183 | 17344 |
| 4 | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 109 | 3218 |
| | **რეგიონების უნივერსიტეტები** | | |
| 1 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 118 | 6702 |
| 2 | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 101 | 8136 |
| 3 | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 | 1726 |
| 4 | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | 1638 |
| 5 | ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი | 0 | 238 |

უნივერსიტეტები შევარჩიე შემდეგი პრინციპების მიხედვით: ა) მხოლოდ დიდი ზომის (სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, მაგ. 2000-ზე მეტი სტუდენტი); ბ) გეოგრაფიული პრინციპი: უნივერსიტეტები დედაქალაქში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), და გ) რეგიონის უნივერსიტეტები (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კვლევის პროცესში გამიზნული იყო კვლევას მოეცვა არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ქვეყნის რეგიონები (დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი). სულ 6 უნივერსიტეტი, **თბილისის უნივერსიტეტების 80% შევარჩიე, ხოლო რეგიონების უნივერსიტეტების - 70%.**

ჩემ მიერ შერჩეული უნივერსიტეტები წარმოდგენილია რუკაზე:



- ბათუმი (აჭარა)
- ქუთაისი (იმერეთი)
- ახალციხე (სამცხე-ჯავახეთი)
- თბილისი
- კახეთი

მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის პრინციპის გამოყენებით, პირველ საფეხურზე შერჩევაში შევიდა დიდი რაოდენობით სტუდენტების მქონე 3 უნივერსიტეტი თბილისიდან და 3 უნივერსიტეტი რეგიონიდან (იხ. ცხრილი # 2).

რეგიონების უნივერსიტეტების შერჩევისას მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიის გათვალისწინება, რომ შერჩევაში მოხვედრილიყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და ისე სამხრეთ საქართველო, რადგან, ეს რეგიონები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან უმაღლესი განათლების და კვლევის ტრადიციით, უცხო ენის ცოდნის დონით და სხვ. რეგიონების უნივერსიტეტებიდან რიგით პირველი უნივერსიტეტი სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით არის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თუმცა გათვალისწინებულია, რომ დასავლეთში არსებული უნივერსიტეტებიდან არჩეულია ბათუმის უნივერსიტეტი, მისი რეგიონალური მნიშვნელობის გამო, სამხრეთში – ერთი და აღმოსავლეთში ერთი უნივერსიტეტი.

ცხრილი #2

| № | სსიპ | დოქტორანტების რაოდენობა | სტუდენტთა საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | **თბილისის უნივერსიტეტები** | | |
| 1 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 919 | 22548 |
| 2 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1270 | 21622 |
| 3 | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 183 | 17344 |
| | **რეგიონების უნივერსიტეტები** | | |
| 1 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 118 | 6702 |
| 2 | სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 | 1726 |
| 3 | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | 1638 |

ამრიგად, მრავალსაფეხურიანი კლასტრეული შერჩევის პირველ საფეხურზე დარჩა სულ 6 უნივერსიტეტი. მეორე საფეხურზე შევარჩიე ფაკულტეტები და პროგრამები. ცხრილ 3 -ში წარმოდგენილია 6 უნივერსიტეტის ფაკულტეტები და პროგრამები სრულად, ხოლო **ცხრილ 4-ში** შერჩეული ფაკულტეტები და პროგრამები.

**ცხრილი #3**

| უსდ | ფაკულტეტები | პროგრამები |
|---|---|---|
| თსუ | ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 11 |
| | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 10 |

| | | |
|---|---|---|
| | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 8 |
| | ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი | 10 |
| | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 9 |
| | მედიცინის ფაკულტეტი | 2 |
| | იურიდიული ფაკულტეტი | 2 |
| სულ | | 52 |
| სტუ | ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი | 5 |
| | სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი | 5 |
| | ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი | 4 |
| | სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი | 3 |
| | არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი | 2 |
| | სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი | 1 |
| | ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი | 2 |
| | საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 5 |
| | ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი | 5 |
| სულ | | 32 |
| ილიაუნი | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | 6 |
| | ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი | 3 |
| | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი | 5 |

| | | |
|---|---|---|
| სულ | | 14 |
| ბსუ | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 1 |
| | ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი | 2 |
| | საბუნებისმეტველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის | 2 |
| | ტექნოლოგიური ფაკულტეტი | 1 |
| | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 4 |
| სულ | | 10 |
| სჯსუ | ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი | 1 |
| | ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 2 |
| სულ | | 3 |
| თესაუ | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 2 |
| | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი | 1 |
| | აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 1 |
| სულ | | 4 |

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ფაკულტეტები არ ფუნქციონირებენ ერთნაირი პრინციპით. მაგალითად, ილიას უნივერსიტეტში ერთ-ერთი ფაკულტეტია ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი, მაშინ როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში – განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ცალკეა, ხოლო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მეცნიერებები გაერთიანებულია ზუსტ მეცნიერებებთან ერთად. შესაბამისად, შევეცადე ჩემი პოპულაციიდან ისე ამერჩია ფაკულტეტები, რომ შევხებოდი თითქმის ყველა დარგის სადოქტორო პროგრამას.

არჩეული ფაკულტეტები **ცხრილი #4**

| უსდ | ფაკულტეტები | პროგრამები |
|---|---|---|
| თსუ | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 10 |
| | იურიდიული ფაკულტეტი | 2 |
| სტუ | ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი | 4 |
| | არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი | 2 |
| ილიაუნი | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | 6 |
| | ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი | 3 |
| ბსუ | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 1 |
| | საბუნებისმეტველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი | 2 |
| სჯსუ | ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 2 |
| თესაუ | აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 1 |

ფაკულტეტები – თითო უნივერსიტეტიდან არჩეულია ორი (2) ფაკულტეტი, გარდა თესაუ და სჯსუ, სადაც თითო ფაკულტეტია არჩეული, სულ არის 10 ფაკულტეტი. ფაკულტეტებზე მოქმედი სადოქტორო პროგრამების რაოდენობების მიხედვით განისაზღვრა კვლევისათვის პროგრამების რაოდენობები. ჯამურად გამოვიდა 14 პროგრამა და შესაბამისად, 14 დოქტორანტი, ანუ ჯამში 14 დოქტორანტი.

| უსდ | ფაკულტეტები | დოქტორანტები |
|---|---|---|
| თსუ | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 3 |
| | იურიდიული ფაკულტეტი | 1 |

| | | |
|---|---|---|
| სტუ | ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი | 2 |
| | არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი | 1 |
| ილიაუნი | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | 2 |
| | ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი | 1 |
| ბსუ | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 1 |
| | საბუნებისმეტველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი | 1 |
| სჯსუ | ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 1 |
| თესაუ | აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 1 |

2.8. კვლევის ინსტრუმენტებად გამოყენებულია: რაოდენობრივი კვლევისათვის კითხვარები და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

# III თავი. კვლევის შედეგები

## 3.1. რაოდენობრივი კვლევა

უპირველესად, წარმოგიდგენთ კვლევისათვის შერჩეული უნივერსიტეტების მოკლე ისტორიას. შემდეგ კი განვიხილავ თანმიმდევრულად კვლევის პირველ და მეორე ეტაპებს.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** დაარსდა 1918 წელს, ის არის კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საქართველოს ერთ–ერთი უპირველესი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებაა, ყოველწლიურად აქ 200–მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მასშტაბით ერთ–ერთი უდიდესია საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და მოიპოვონ ორმაგი აკადემიური ხარისხი.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის სულ შვიდი ფაკულტეტი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათ ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და იურიდიული ფაულტეტი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 22 548 სტუდენტი.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** დაარსდა 1922 წლის 16 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახით, რომელსაც 1928 წელს შეუერთდა (1917 წელს დაარსებული) თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგში, 1936 წლიდან — როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1948 წლიდან — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წლის 6 იანვრიდან — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციებისა, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი უნივერსიტეტია, რომლის მიზანია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხედვა დაფუძნებულია ქართულ და დასავლურ საუნივერსიტეტო კონცეპტუალიზებაზე, რომელიც ეყრდნობა ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საერთაშორისო გამოცდილების არა

მარტო პასიური გაზიარება, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა. უნივერსიტეტმა დღევანდელ საუნივერსიტეტო სივრცეში დაიმკვიდრა საკუთარი უნიკალური ადგილი, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჰუმანურობის ეტოსის ჰიბრიდულ მოდელზე.

ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედებს 10 ფაკულტეტი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი და დიზაინის საერთაშორისო სკოლა.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 21622 სტუდენტი.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** დაფუძნდა 2006 წელს განსხვავებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე 6 ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს – მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. ეს პრინციპები გამომდინარეობს ერთმანეთისაგან და განაპირობებს ერთმანეთს: სტუდენტები, მასწავლებლები, მკვლევრები და პროფესორები თავისუფალნი არიან, აირჩიონ კვლევისა და შესწავლის სფეროები, მიმართულებები, აგრეთვე თანამშრომლები და ხელმძღვანელები; არავის აქვს უფლება, პოლიტიკური ან მორალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, აუკრძალოს სტუდენტებს, პროფესორებს, მასწავლებლებს და

მკვლევრებს რაიმეს შესწავლა და სამეცნიერო დასკვნების გამოქვეყნება. სტუდენტები და პროფესორები თავისუფალნი არიან, აირჩიონ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც, მათი აზრით, საუკეთესოდ შეესატყვისება მათი კავშირის - უნივერსიტეტის - საერთო მიზნებს და ამოცანებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არის სულ ოთხი ფაკულტეტი: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი და სამართლის ფაკულტეტი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 17344 სტუდენტი.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს. მის მშენებლობას საფუძველი 1893 წლიდან ჩაეყარა. 1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. სამეცნიერო კადრებით უზრუნველყოფისათვის სასწავლებელს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საქართველოს სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა, უპირველესად - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იმ დროისათვის - სამასწავლებლო ინსტიტუტში) მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერების გამორჩეული წარმომადგენლები და მათი დამსახურებაცაა, რომ ახლად დაარსებული უმაღლესი სკოლა მალე ჩამოყალიბდა როგორც სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სისტემა.

1935 წლის ივლისში შეიქმნა მოსამზადებელი კურსები, რამაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან აბიტურიენტთა მოზიდვას. 1945 წლის ივნისში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პედაგოგიური ინსტიტუტი. საბჭოთა იმპერიის რღვევისა და დამოუკიდებლობისათვის საქართველოს ბრძოლის შედეგად რეალობად იქცა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება: „საქართველოში თუ იქნება მეორე უნივერსიტეტი, ის ბათუმში უნდა გაიხსნას“. საქართველოს მინისტრთა

კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბრის №453 დადგენილებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის სულ შვიდი ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათ ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 6702 სტუდენტი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წელს დაარსდა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, თავიდანვე ფართო გეგმებს ისახავდა მიზნად. მისი შექმნა განაპირობა აღმავალი ეროვნული მოძრაობის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა საერთო საზოგადოებრივმა აზრმა.

სხვადასხვა დროს თსუ ახლციხის ფილიალს ერქვა მესხეთის ფილიალი, ახალციხის ინსტიტუტი, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი და 2014 წლიდან გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განვლილი პერიოდის განმავლობაში ახალციხეში საუნივერსიტეტო ცხოვრება სამხრეთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქცა, ამიტომ უდავოა, რომ უნივერსიტეტის განვითარება პრინციპულია რეგიონისათვის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნისათვის.

მეოცე საუკუნის ბოლოს თსუ ახალციხის ფილიალში 3 000-მდე სტუდენტი სწავლობდა, მათ შორის იყვნენ სტუდენტები ჯავახეთიდან. ფილიალი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობას. 1995 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა, რომ გახსნილიყო ქართული უმაღლესი სასწავლებელი ჯავახეთში. დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ახალქალაქისა და ნინოწმინდის ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებასთან, რომლის საფუძველზე 2002 წელს

თსუ-ს დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თსუ ჯავახეთის ფილიალი, რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო ქართულ-სომხური პედაგოგიური კადრების მომზადება და ეკონომიკური განათლება. იყო პერსპექტივა სოფლის მეურნეობის მიმართულებით განვითარებისა, ამასთანვე იგი უნდა ქცეულიყო ბილინგვური სწავლების მომზადებისა და განვითარების ცენტრად.

2014 წელს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტმა შეიცვალა სტატუსი, გახდა სამსაფეხურიანი უმაღლესი დაწესებულება და იქცა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად.

დღეს სამხრეთ საქართველოში არსებულ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ერთიანი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონული უნივერსიტეტია. მაღალია საზოგადოების მოლოდინი უნივერსიტეტის მიმართ. მას ენდობა მხარის მულტიეთნიკური მოსახლეობა. მისი დანიშნულებაა საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა.

დღეისათვის უნიევრსიტეტში არსებობს 4 ფაკულტეტი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 1726 სტუდენტი.

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (თესაუ) ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო ცენტრია. უნივერსიტეტი ღირსეული გამგრძელებელია იყალთოს აკადემიის (XII საუკუნე), თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სასწავლებლის (1758-1782), სასულიერო სემინარიის (1782-1801), სასულიერო სასწავლებლის (1818-1918), სამასწავლებლო ტექნიკუმის (1924-1939), სამასწავლებლო ინსტიტუტის (1939-

1951) და პედაგოგიური ინსტიტუტის (1951-1999) მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციებისა. 1939 წლიდან იგი ატარებს დიდი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელს. დაარსებიდან 60 წლისთავზე, 1999 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი. უნივერსიტეტი ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს განახლებული პროგრამებით და იგი სამსაფეხურიანია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო. უნივერსიტეტში მუშაობს აგრეთვე პროფესიული განათლების საფეხური.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის სულ ხუთი ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტი, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულეტეტი, განათლების მეცნიერებათ ფაკულტეტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათ ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 1638 სტუდენტი.

ოთხივე შერჩეული უნივერსიტეტი დოქტორანურის საფეხურის სტუდენტებს სთავაზობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ერაზმუს+ გაცვლით პროგრამებს. სტუდენტები ყოველსემესტრულად მიდიან საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სასწავლო ან კვლევითი მიზნით.

გარდა ამისა, ოთხივე უნივერსიტეტი ამავე პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, რითაც ხელს უწყობენ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სტანდარტულად ყველა წელს იღებენ სტუდენტებს სადოქტორო საფეხურზე. დოქტორანტების რაოდენობას განსაზღვრავს კონკრეტული პროგრამა და ფაკულტეტი, ანუ, რაც უფრო დიდია ფაკულტეტი და ჰყავს მეტი აკადემიური თანამშრომელი, მეტ დოქტორანტს იღებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ძალიან დიდი სხვაობაა კონკრეტულ წელს მიღებულ დოქტორანებსა და სადოქტორო ხარისხის დაცულ კანდიდატებს შორის, ანუ, უსდ იღებს გაცილებით დიდი

რაოდენობის დოქტორანტს და დადგენილ ვადებში იცავს გაცილებით ნაკლები რაოდენობა. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, მიღებულ სტუდენტთა რა პროცენტი ასრულებს სწავლას დროულად, ან თუნდაც, დაგვიანებით, ნაშრომში წარმოდგენილი არაა იმ მიზეზის გამო, რომ უნივერსიტეტებმა ეს მონაცემები ვერ მომაწოდეს. ამგვარ აღირცხვას ისინი არ აწარმოებენ და ჩემი მიმართვის საფუძველზე ამ შრომატევადი სამუშაოს ჩატარება არცერთ უნივერსიტეტს არ მოუნდომებია. მეტიც, ილიას უნივერსიტეტმა ის მონაცემებიც კი ვერ მომაწოდა, რომელიც სხვა უნივერსიტეტებს აქვთ. ქვემოთ მომყავს უნივერსიტეტებისგან მიღებული მონაცემები:

**ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მონაცემები არის 2011 წლიდან. გრაფიკებში წარმოდგენილია ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი მიიღო უნივერსიტეტმა ფაკულტეტების მიხედვით და ასევე, ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი იცავს სადისერტაციო ნაშრომს.

გრაფიკი #1: დოქტორანტთა მიღება წლების მიხედვით, თსუ




გრაფიკი #2: დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულება წლების მიხედვით, თსუ




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გრაფიკი # 3 დოქტორანტთა მიღება წლების მიხედვით, სტუ




**გრაფიკი # 4 რაც შეეხება** დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულებას წლების მიხედვით, სტუ-დან მოპოვებული ინფორმაციით, დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულების ზუსტი სტატისტიკა არ არის, თუმცა პრაქტიკიდან გამომდინარე 60-70% ფარგლებში მერყეობს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წლების მიხედვით დოქტორანტთა მიღებისა და დასრულების მონაცემები, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვე. ოფიციალური მიმართვის საფუძველზე მაცნობეს, რომ პანდემიის პირობებში ასეთი დეტალური მასალის გაცემა ვერ მოხერხდება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2011 წელს დოქტორანტურაში მიღება არ უწარმოებიათ. გვაქვს 2012-2014 წლებში სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტების მიღებისა და მათგან დასრულების მხოლოდ ჯამური მონაცემები. გვაქვს 2015-2017 წლებში ფაკულტეტების მიხედვით ჩარიცხული დოქტორანტები, თუმცა არ არის ფაკულტეტების მიხედვით დაცული დოქტორების რაოდენობა, არის მხოლოდ ჯამური მონაცემები, შესაბამისად, გადატანილია წლების მიხედვით უნივერსიტეტი რა რაოდენობის დოქტორანტს იღების და ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი იცავს სადისერტაციო ნაშრომს.

გრაფიკი #7: დოქტორანტთა მიღება წლების მიხედვით, ბსუ




გრაფიკი #8: დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულება წლების მიხედვით




ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: რა არის ამის მიზეზი, რა დაბრკოლებები ხვდებათ დოქტორანტებს სადოქტორო საფეხურზე სწავლებისა და კვლევის პროცესში, რა განაპირობებს სადოქტორო საფეხურზე მათ ინეტრესს კვლევისათვის, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლებისა და კვლევის პროცესში და ა.შ. და ამ კითხვებზე პასუხებს მივიღებ თვისებრივი კვლევის დასრულებისას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გრაფიკებში წარმოდგენილია ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი მიიღო უნივერსიტეტმა ფაკულტეტების მიხედვით და ასევე, ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი იცავს სადისერტაციო ნაშრომს.

გრაფიკი # 9 დოქტორანტთა მიღება წლების მიხედვით, სჯსუ




გრაფიკი# 10 დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულება წლების მიხედვით, სჯსუ




**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გრაფიკებში წარმოდგენილია ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი მიიღო უნივერსიტეტმა ფაკულტეტების მიხედვით და ასევე, ყოველწლიურად რა რაოდენობის დოქტორანტი იცავს სადისერტაციო ნაშრომს.

გრაფიკი #11: დოქტორანტთა მიღება წლების მიხედვით, თესაუ




გრაფიკი #12: დოქტორანტთა მიერ სწავლის დასრულება წლების მიხედვით, თესაუ




**მობილობა**

შემდეგი მონაცემები ეხება დოქტორანტთა, პროფესორთა, უცხოელ სტუდენტთა, უცხოელ პროფესორთა მობილობასა და უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობას. ყველა სამიზნე უნივერსიტეტი ახორციელებს ერაზმუს+ გაცვლით პროგრამას. Erasmus+ საქართველოს

ეროვნული ოფისი (NEO) ხელს უწყობს ევროკომისიას, აღმასრულებელ სააგენტოს (EACEA) და შესაბამის ეროვნულ სამსახურებს Erasmus+ პროგრამის განხორციელებაში. NEO ფუნქციონირებს აღმასრულებელ სააგენტოსა და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია UNI.GE –ს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის მანდატი მოიცავს ყველა მხარდამჭერ, საინფორმაციო და მონიტორინგის აქტივობას, რომელიც Erasmus+ პროგრამის უმაღლესი განათლების სფეროს ეხება და დაშვებულია ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. NEO საქართველოში დაარსდა 2014 წელს და წარმოადგენს ტემპუსის ეროვნული ოფისის (NTO) მემკვიდრეს.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** მონაცემების მიხედვით, დოქტორატთა სასწავლო მობილობის ხანგრძლივობა 3 თვიდან 12 თვემდეა. თსუ ერაზმუს პლიუსის ფარგლებში თანამშრომლობს 26 ქვეყნის სხავდასხვა უნივერსიტეტთან: ფინეთი, ირლანდია, ლუქსემბრუგი, ნორვეგია, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, ესპანეთი, სლოვაკეთი, ლიეტუვა. საზღვარგარეთ გაგზავნილი დოქტორანტების რაოდენობაში სპეციალობების მიხედვით არ არის დიდი სხვაობა, რიცხვები, ძირითადად, დამოკიდებულია ფაკულტეტებზე სტუდენტთა რაოდენობაზე.

დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების მობილობის ძირითადი მიზანია კვლევა. თსუ მონაცემების მიხედვით, საზღვარგარეთ სასწავლებლად ყოველწლიურად მიდის საშუალოდ 19 დოქტორანტი. ბოლო 5 წლის განმავლობაში, დეტალური მონაცემი ასეთია:

გრაფიკი #13:




ყოველ სემესტრში თსუ მასპინძლობს 30-მდე უცხოელ გაცვლით სტუდენტს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ორმხრივი თანამშრომლობისა და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში. სასწავლებლად ჩამოდიან სამივე საფეხურის სტუდენტები შემდეგი აკადემიური მიმართულებებით: სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ეკონომიკა, იურიდიული, განათლების მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები. უცხოელი სტუდენტები ჩამოდიან როგორც სასწავლო, ასევე კვლევის გაკეთების მიზნით. ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თსუ ხშირად მასპინძლობს მოწვეულ პროფესორებს. უცხოელი პროფესორების მობილობის ძირითადი მიზანია სალექციო კურსების წაკითხვა თსუ-ს სტუდენტებისთვის. სალექციო კურსები ძირითადად მოკლევადიანია, რომელიც მოიცავს 1 ან 2 კვირას.

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აკადემიურ მობილობასთან ერთად, ასევე ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის მობილობაც.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით,** უნივერსიტეტში არის ფაქტობრივად იმდენი გაცვლითი პროგრამა, რამდენ უნივერსიტეტთანაც გაფორმებულია მემორანდუმი. თუმცა, სტუდენტები ამ ტიპის გაცვლითი პროგრამებით იშვიათად სარგებლობენ, ვინაიდან სტიპენდიის გარეშე უჭირთ საზღვარგარეთ ცხოვრება. ყველაზე კარგად

მუშაობს ერზმუს+ გაცვლითი პროექტი (სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის). გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესაძლებელია სხვადასხვა ევროპული ქვეყნისა თუ კონკრეტული უნივერსიტეტის სტიპენდიების მოპოვება, მაგალითად, უნგრეთის, იტალიის (ფოჯას უნივერსიტეტი), ჩეხეთის (ჰრადეც კრალოვის უნივერსიტეტი) და სხვ.

ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოური გაცვლითი პროგრამებით ისარგებლა დაახლოებით 30-მა დოქტორანტმა.

ერაზმუს+ და სხვა გაცვლითი პროექტები, ძირითადად, ერთსემესტრიანია. თუმცა, არის 2 და 3-თვიანი სტიპენდიებიც. ქვეყნების ჩამონათვალი ვრცელია: დანია, ირლანდია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, ხორვატია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვენია, ისლანდია, თურქეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ლიეტუვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, მაკედონია.

გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობენ ყველა სპეციალობის დოქტორანტები, განსაკუთრებით აქტიურობენ ჰუმანიტარები. თუმცა, უნივერსიტეტის პროფილიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი შანსი ამ მხრივ ტექნიკური ფაკულტეტების სტუდენტებს აქვთ (ვინაიდან მიმღები უნივერსიტეტი სტიპენდიას სწორედ ტექნიკური მიმართულების სტუდენტებისთვის გამოყოფს).
დოქტორანტების უმეტესობა მიდის კვლევის კომპონენტის შესასრულებლად, თუმცა, სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, გადიან სალექციო კურსებსაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტით დაინტერესებულები არიან უცხოელი სტუდენტებიც, თუმცა, ძირითადად, ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამებით. უცხოელი სტუდენტები, ძირითადად, სასწავლო მიზნით ჩამოდიან, თუმცა ყავდათ რამდენიმე დოქტორანტიც.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სხვადასხვა ფაკულტეტზე სხვადასხვა დროს იწვევს უცხოელ პროფესორებს. ისინი, ძირითადად,

ლექციებს კითხულობენ. უფრო ხშირია ვიზიტები მოკლე კურსის ჩასატარებლად (8 აკადემიური საათი), თუმცა იყო სრული სემეტრული კურსებიც. ლექციები მოიცავს თითქმის ყველა დარგს.

უნივერსიტეტში არის ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის სხვადასხვა პროგრამა, თუმცა ყველაზე ხშირი, ისევ და ისევ დაფინანსების ფაქტორიდან გამომდინარე, არის ერაზმუს+.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით,** დოქტორანურის საფეხურის სტუდენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს Erasmus+ ევროკომისიის დაფინანსებულ პროგრამას. დოქტორანტების მობილობის ხანგრძლივობა მერყეობს 3 თვიდან 6 თვემდე. ისინი ძირითადად მიდიან შემდეგ უნივერსიტეტებში: ბელგია, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, გერმანია, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია, დიუსელდორფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი, გლაზგოს უნივერსიტეტი, ესპანეთი, ჟირონას უნივერსიტეტი, ესპანეთი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი, ვალიადოლიდის უნივერსიტეტი, ესტონეთი, ტალინის უნივერსიტეტი, თურქეთი, ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტი, ირლანდია, ლიმერიკის უნივერსიტეტი, რუმინეთი, იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, საფრანგეთი, ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ II ფინეთი, ტამპერეს უნივერსიტეტი.

სპეციალობების მიხედვით არ არის დიდი სხვაობა, ძირითადად ციფრები დამოკიდებულია კონკრეტული ფაკულტეტების სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე.

ყველა დოქტორანტი მიდის კვლევის ჩატარების მიზნით, თუმცა ზოგიერთი მათგანი, სასწავლო კომპონენტში კრედიტის შევსების მიზნით, ესწრება ხოლმე სადოქტორო ან კვლევით სემინარს (მიბმულია კვლევასთან, თუმცა გადიან როგორც საგანს და ჩამოაქვთ შესაბამისი შეფასება/კრედიტი, რომელსაც უნივერსიტეტი უღიარებს კურიკულუმის ფარგლებში). საზღვარგარეთ სასწავლებლად ყოველწლიურად მიდის საშუალოდ 7 დოქტორანტი. ბოლო 5 წლის განმავლობაში, დეტალური მონაცემი ასეთია:

გრაფიკი #14:




ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უცხოელ სტუდენტებს მასპინძლობს 2015 წლიდან- სამივე საფეხურზე, სხვადასხვა დარგში (სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, მეტყველება, კულტურის კვლევები, სოციოლოგია, ასტროფიზიკა, პოლიტიკის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ისტორია, არქიტექტურა, ეკოლოგია, ბიოლოგია, განათლება, გერმანისტიკა). დაახლოებით 6-7 სტუდენტია სემესტრულად. ბაკალავრები და მაგისტრანტები სასწავლო მიზნით ჩამოდიან, დოქტორანტები – კვლევის მიზნით. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პირველად იყო ბოლო სემესტრის მაგისტრანტი, რომელიც საგნების გავლის პარალელურად მუშაობდა კვლევაზე უნივერსიტეტის პროფესორის თანახელმძღვანელობით.

უნივერსიტეტი ყოველ წელს იწვევს უცხოელ პროფესორებს, მათი უმრავლესობა ლექციებს კითხულობს. რამდენიმე კვლევაზეც მუშაობს პარალელურად ადგილობრივ პროფესორებთან ერთად. მათი ნაწილი საჯარო ლექციებს ატარებს, უმრავლესობა არსებული კურიკულუმის ფარგლებში კითხულობს ლექციებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, ადმინისტრაციული პერსონალის მობილობასაც ახორციელებს.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში** დღესდღეობით მოქმედებს ერაზმუს+ გაცვლით პროგრამა, მევლანას გაცვლითი პროგრამა, და სხვადასხვა პარტნიორ უნივერისტეტებთან მემორანდუმის ფარგლებში გაცვლითი პროგრამა. 2015-2016 წლიდან ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ისარგებლა მობილობით 4-მა დოქტორანტმა. დოქტორანტების მობილობის ხანგრძლივობა მერყეობს 3 თვიდან 6 თვემდე. დოქტორანტები ძირითადად მიდიან შემდეგ უნივერსიტეტებში: სილეზიის უნივერსიტეტი, ალკალას უნივერსიტეტი, იენას უნივერსიტეტი, ცენოვის ეკონომიკის აკადემია.

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ ყველა სპეციალობის მიმართულებით, ეკონომიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით. მობილობის სიხშირე დამოკიდებულია ბათუმის სახელმწიფო უნიევრსიტეტის თანამშრომლობაზე და მოპოვებულ ფინანსური მხარდაჭერაზე პარტნიორ უნივერსიტეტთან. დოქტორანტები მობილობის ფარგლებში მიდიან სწავლისა და კვლევის ჩატარების მიზნით. იმის მიხედვით, თუ რომელი კურსის სტუდენტია დოქტორანტი.

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ წლებია მასპინძლობს ეკონომიკის, ტურიზმის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით სტუდენტებს საბაკალავრო, სამაგისტრო და მათ შორის, სადოქტორო პროგრამაზე. ასევე, ერაზმუს+ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ჩამოდიან ბსუ-ს პარტნიორ დაწესებულებებთან სტაჟირების გასავლელად; ასევე მემორანდუმის ფარგლებში 2013 წლიდან უნივერსიტეტი მასპინძლობს სტუდენტებს სასწავლო მიზნით ჰუმანიტარული მიმართულებით პარტნიორი უნივერსიტეტიდან, ხოლო პრაქტიკის გავლის მიზნით, 1 თვით, იურიდიული მიმართულებით სტუდენტებს.

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ათობით უცხოელ პროფესორს მასპინძლობს უნივერსიტეტი ერთკვირიანი ვიზიტით,

რომლებიც ლექციებს ატარებენ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს, ასევე გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. უცხოელი პროფესორის მიერ ლექციების ჩატარება გათვალისწინებული საგანამანთლებლო პროგრამით. სალექციო კურსები 1 კვირიანია ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ტურიზმი, ეკონომიკა, იურიდიული მიმართულებით.

უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას.

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში** აქტიურად ხორციელდება ერასმუს+, მევლანა და პირდაპირი მობილობა. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული დოქტორანტების რაოდენობა სხვადასხვაა, მომდევნო (2020-21 გაზაფხულის) სემესტრში ერთი დოქტორანტი მიდის მობილობის ფარგლებში. გაცვლით პროგრამებში უმეტესად ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტები მონაწილეობენ. დოქტორანტები მიდიან როგორც სასწავლო, ასევე კვლევის მიზნით.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ისინი არ იწვევენ უცხოელ სტუდენტებს, რადგან არ აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები. უნივერსიტეტი წელიწადში ორჯერ, ერასმუს+ ფარგლებში, ახორციელებს უცხოელ პროფესორთა მოწვევას. უცხოელი პროფესორები უნივერსიტეტში ძირითადად ლექციებს კითხულობენ და ეს არის მოკლევადიანი კურსები, ძირითადად ხანგრძლივობა ერთი კვირაა.

რაც შეეხება, ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტი ადმინისტაციისთვის ახორციელებს საერთაშორისო მობილობებს ერასმუს+ ფარგლებში

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში** აქტიურად ხორციელდება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ ინტერინსტიტუციური გაცვლითი პროგრამები.

დოქტორანტების მხრიდან დაინტერესება ძალიან მცირეა, რასაც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოამდგენლები ხსნიან იმით, რომ უმეტესი მათგანი სწავლასთან ერთად დასაქმებულია. შესაბამისად, გამოცხადებული კონკურსების შემთხვევაში თუ ვერ აითვისეს დოქტორანტის ადგილი, მას

ცვლიან სხვა საფეხურის პროგრამის სტუდენტით მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ბოლო 5 წლის მანძილზე მხოლოდ 1 მობილობა განხორციელდა სადოქტორო საფეხურზე. 1 სასწავლო სემესტრით, საბერძნეთში არისტოტელეს უნივერსიტეტში (აგრარული მეცნიერებების მიმართულებით).

რაც შეეხება, უცხოელი სტუდენტებს, ერაზმუს+ ის პროგრამის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტში სტუდენტები მოდიან ყველა მიმართულებით. უცხოელი სტუდენტები ძირითდად მოდიან პრაქტიკის განსახორციელებლად.

უცხოელი პროფესორები ხშირად სტუმრობენ უნივერსიტეტს. ყოველწლიურად 10-20 პროფესორი. ისინი ძირითადად ლექციებს კითხულობენ. უცხოელი პროფესორების ჩამოსვლა ზოგჯერ ერთჯერადია, ერასმუს +ის ფარგლებში, ზოგი მათგანი კი მთლიანი კურსსაც კითხულობს, როგორც პროგრამის განმახორცილებელი პროფესორები.

თელავის უნივერსიტეტს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში აქვს ადმინისტრაციული პერსონალის მობილობაც.

**კურსამთავრებულთა დასაქმება**

დასაქმების მხრივ, ძირითდ შემთხვევებში უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ ასეთი მონაცემები, გვაქვს მხოლოდ თსუ-ს მონაცემი, თუმცა მაინც არაზუსტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით, უცხოეთში უშუალოდ დასაქმების მაჩვენებელი არ არის, თუმცა, არის გარკვეული ინფორმაცია, რომ თსუ კურსდამთავრებულები მუშაობენ უცხოურ (საერთაშორისო) ორგანიზაციებში, რომელთა შრომის ბაზარი არ განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. დასაქმებულები არიან საერთაშორისო ორგანიზაციებში ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის, IT მიმართულებების, მათემატიკურ მონაცემთა ანალიზის, გეგრაფია გეოლოგიის, ქიმია-ბიოქიმიის მიმართულებით. ზუსტი სტატისტიკის პრობლემაა, რადგან დამსაქმებელს ან კურსდამთავრებულს არ აქვს უკუკავშირი არა მხოლოდ კარიერულ ცენტრთან, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კანდიდატის რეკომენდატორები არიან. ძირითადი საერთაშორისო დამსაქმებლები არიან:

Nextia TA (ფინანსები აუდიტი), BDO (ფინანსები, აუდიტი, მონაცემთა ანალიზი, მათემატიკა); UGT (კომპიუტერები, დიდი მონაცემების ანალიზი).

ამ მონაცემთა საფუძველზე, თვისებრივი კვლევისათვის განსაზღვრულია ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩატარება კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისათვის, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის წარმომადგენელისათვის, დოქტორანტებისა და კურსდამთვრებულებისათვის.

საბოლოო კვლევამ მოგვცა საფუძვლიანი დასკვნები და პრობლემის გადაჭრისათვის კონკრეტულ რეკომენდაციები.

## 3.2. თვისებრივი კვლევა

### ნაწილი 1. ინტერნაციონალიზაცია სადოქტორო საფეხურზე

1.1 რა არის უნივერსიტეტებისთვის ინტერნაციონალიზაციის პროცესი/ორგანიზაციული მიდგომა? რატომ სურთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინტერნაციონალიზაციის დანერგვა და განხორციელება? თუ განსხვავდება ინტერნაციონალზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თსუ) აღნიშნა, რომ დოქტორანტებს აქვთ ხელშეწყობა ბევრი და მრავალფეროვანი საერთაშორისო პროექტის შეთავაზებით, ხორციელდება ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამები, მიზნობრივი გრანტები, ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტები, საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკა და გეგმავენ მათ კიდევ გაფართოებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე უცხოელი სტუდენტები ინტენსიურად ჩამოდიან სამედიცინო პრაქტიკის მიზნით, მაგ. გერმანიის ცნობილი უნივერსიტეტებიდან. მათ რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტში შეუძლიათ პრაქტიკის გავლა და უნივერსიტეტის სასიხარულოდ, ისინი პრაქტიკის გავლისთვის ირჩევენ თსუ-ს და ეს არის მუდმივი პროცესი.

თსუ საგარეო ურთიერთობების სამსახურის აზრით, ინტერნაციონალიზაცია საუნივერსიტეტო დონეზე არის ყველა ის მცდელობა, რასაც თსუ ახორციელებს გლობალურ მეცნიერებაში უნივერსიტეტის წვლილის შესატანად. ინტენსიურად ხორციელდება სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა. რამდენადაც სადოქტორო საფეხური მეცნიერული კვლევის შექმნის საფეხურია, საერთაშორისო ღირებულებების მქონე პროდუქტისა, თსუ ცდილობს ჰქონდეს მრვალფეროვანი გაცვლითი პროგრამები, დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი ერთვებიან სხვადასხვა ინტერდისციპლინურ საერთაშორისო ღონისძიებებში: სემინარები, კონფერენციები, კვლევითი შედეგების განხილვა, ერთობლივი კვლევები და სხვ.

ასევე, აღნიშნეს, რომ თსუ-ს ყოველთვის ჰქონდა სწორი კურსი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რადგან ეს ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. არსებულ რეალობაში კი ღიად და მკაფიოდაა გამოხატული უნივერსიტეტის სტარტეგიული განვითარების გეგმაში, ანუ პოლიტიკის დოკუმენტის დონეზეც ინტერნაციონალიზაციის დადასტურების გზები და მიზნები გაწერილია და სრულდება.

**თსუ-ში** სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის დაფინანსების საკითხები მრავალფეროვანია, ზოგჯერ ნაწილობრივი დაფინანსებაა, ანუ სხვა უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში. თსუ ერთ-ერთი გამორჩეული უნივერსიტეტია გარე დაფინანსების მოპოვების კუთხით, რაც არის არა მხოლოდ სტუდენტის და პროფესორის, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისათვის დაფინანსებები. უნივერსიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მობილობა არის ორივე მიმართულებით, ანუ უცხოელ სტუდებსაც იღებენ ყველა საფეხურზე, რა თქმა უნდა, უცხოელთა (სტუდენტი, პროფესორი, ადმინისტრაციული პერსონალი) რიცხვი ნაკლებია, მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ არის.

**თსუ** ამბობს, რომ დარგებს შორის, ბუნებრივია, სხვაობა არის, თუმცა არ არის ფაკულტეტი, სადაც არ ჩამოდიან უცხოელები საერთაშორისო პრაქტიკის მიზნით, ეს პროცესი ინტენსიურია და მომავალშიც გაგრძელდება.

**საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (სტუ)** აღნიშნა, რომ გაცვლით პროგრამებს ძირითადად სთვაზობენ ერაზმუსი+ ის ეგიდით, უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკების შესანიშნავი წიგნადი ფონდი და სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან. უნივერსიტეტის აქვს ინტერნაციონალიზაციის ერთიანი პოლიტიკა.

**სტუ-ის** საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აზრით, ინტერნაციონალზიაცია ესაა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, მობილობა (სტუდენტების, პროფესორების), სამეცნიერო აქტივობების საერთაშორისო მასშტაბით განვრცობა და გაზიარება, მესამე საფეხურზე კი ესაა უფრო მაღალი მასშატაბები, აქ არის ბევრად მაღალი სტანდარტები ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით, ჩვენი სამეცნიერო მიღწევები, პუბლიკაციები, გატანილი საერთშორისო ასპარეზზე და, პირიქით, უცხოური გამოცდილების გაზიარება. მათ ინტერნაციონალიზაციად დაასახელეს აგრეთვე კურსდამთავრებულთა

კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე, როგორც ადგილობრივ ისე საერთშორისო დონეზე და აქედან გამომდინარე, დაასახელეს დასაქმების ბაზრისა და დამსაქმებლების ჩართულობის ფრიად პრობლემატური საკითხი: არც უნივერსიტეტი არის მზად დასაქმების ბაზრის ეფექტიანი კვლევისათვის და მათი მოთხოვნების თანმიმდევრული დაკმაყოფილებისათვის, და თავისი მხრივ, არც დამსაქმებლებია რეალურად ჩართული პროგრამების შედგენაში. ფორმალური ჩართულობაა, რეალურად დამსაქმებელი არ ამბობს, კონკრეტულად რა სჭირდება. აღსანიშნავია ამერიკული გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება დაინტერესდეს დამსაქმებელი და საგანამანთლებლო პროგრამებს მისცეს რეალური დაკვეთა. უნივერსიტეტისთვის პრობლემა ისაა, რომ დამსაქმებლებმა არ იციან, რამდენიმე წლის შემდეგ რა ტიპის, რა უნარების მქონე სპეციალისტი სჭირდებათ. ამერიკაში კი ამას უნივერსტეტები აღწევენ უკუკავშირის საშუალებით. უნივერსტეტი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს და ეს საკითხი ინტერნაციონალიზაციის პროცესშიც უნდა გახადოს ქმედითი და ეფექტიანი.

**სტუ** ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა აქვს საერთო, ხოლო დარგებს შორის სხვაობას არეგულირებენ ფაკულტეტები.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილიაუნი)** საზღვარგარეთთან ურთიერთობის ორი სამსახური აქვს, ერთი პასუხისმგებელია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობაზე, ხოლო მეორე - საერთაშორისო პროექტების მომზადებასა და განხორციელებაზე, შესაბამისად, ეს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაა. ილიაუნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საერთაშორისო თანამშრომლობა, მისი პროფესორების ნაწილი უცხოელია, ცდილობენ მოიზიდონ უცხოელი სტუდენტები, ხელი შეუწყონ საკუთარ სტუდენტებს და პროფესორებს მობილობაში და სხვ. სხვა სამსახურები, მართალია, უშუალოდ ინტერნაციონალიზაციაში არ მონაწილეობენ, თუმცა, მათი აქტივობების ნაწილი საერთაშორისოა, მაგალითად, თავად არიან ჩართული საერთაშორისო პროექტებში, ასეთია, მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური და სხვ.

ილიაუნის დოქტორანტებმა ინტერნაციონალიზაციის დადასტურებად დაასახელეს: მაღალი ხარისხის კვლევა, საერთაშორისო კვლევა, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც (ბსუ)** დაასახელა საერთაშორისო გაცვლით პროგრამები, სტანდარტულად. თუმცა, აღნიშნა, რომ ამან შედარებით ზედაპირულისახე მიიღო, თითქოს სტუდენტები ცდილობენ რაღაც დაადასტურონ ფორმალურად, დოკუმენტების დონეზე. აქვე აღნიშნეს, რომ აუცილებელია ერთობლივი კვლევისთვის არსებობდეს ორმხრივი ინტერესი, მაგ. მკვლევარი უფრო უკეთ და სხვა სიღრმით იკვლევს ისეთ საკითხს, რაც მის კულტურასთან ახლოსაა, რაც რაიმე ფორმით, რაღაც რაკურსით კავშირშია საკუთარ გარემოსთან. რთულია იკვლიო რაღაც შორეული საკითხი, რომელთანაც არ გაქვს კავშირი, შესაბამისია, მაგ. ჩვენი კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, ანუ ინტერკულტურულ ნაწილში, ან ფლორისა და ფაუნის ინტერესი, კავშირი შავ ზღვასთან და ა.შ.

**ბსუ-ის** სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის აზრით, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტერნაციონალიზაცია გულსხმობს ძირითადად მობილობას სტუდენტებისა და პროფესორებისას, ასევე ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთო კვლევით პროექტებს. ყველა უნივერსიტეტს აქვს და ცდილობს გახდეს საერთო სივრცის ნაწილი და ამ ფორმით აამაღლოს განათლების ხარისხი და იყოს კონკურენტუნარიანი. სადოქტორო საფეხურზე ეს უფრო კულტურათა შორის დიალოგია, უნივერსიტეტის ინტეგრირება მსოფლიოს უმაღლეს, გლობალურ საგანმანთლებლო სივრცეში, ცნობადობის გაზრდა, ჩართულობა საერთაშორისო და საუნივერსიტეტო ქსელებში. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტის სტრატეგიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიის 5-ე ნაწილი მთლიანად ინტერნაციონალიზაციას ეხება და უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად განახორციელოს თავისი გეგმები ზოგადი ცნობადობის ამაღლებისა და სწავლებისა და კვლევების მაღალი ხარისხისათვის, რაშიც ჩართულია ყველა სფერო. მეორე საკითხია, რამდენად გათავისებული აქვს ეს უნივერსიტეტს, რამდენად იაზრებს საკუთარ შესაძლებლობებს, თუ ეს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მოთხოვნების გამო ხორციელდება, ესაა მთავარი.

სხვა მხრივ, უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაცია აქვს ყველა საფეხურზე და ცდილობს, ყოველ შემთხვევაში, მის ეფექტიანად განხორციელებას. როგორც ესმით, როგორც შეუძლიათ, ისე ახორციელებენ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის პროცესი იყოს მატერიალიზებული და არა მხოლოდ დეკლარაციული, გულწრფელობაა მნიშვნელოვანი, მაგ. როდესაც უცხოელ პროფესორს, ან ექსპერტს რთავ ერთობლივ პროგრამაში, ან კვლევებში, ლომის წილი ადგილობრივ რესურსზე უნდა მოდიოდეს. ერთობლივი კურსებია ეს თუ პროგრამები, უნივერსიტეტის მისიიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს გარკვეული ნიშა, რომლის მიმართულებითაც გააგრძლებს განვითარებას. აქ ასევე დგას ლაბორატორიების მოწყობის საკითხი. ხშირად უნივერსიტეტების პარტნიორობა განპირობებულია ტერიტორიული განფენილობით ან ისტორიული წარსულით. მაგ. თუ არსებობს რაღაც მატერიალურ-კულტულური ძეგლი, ან უცხოელ ჰიდროლოგს აინტერესებს ადგილობრივი, შავი ზღვის რეგიონის, მდინარეების ჰიდროლოგიური კომპონენტი და არა ის, რომ ადგილობრივი ჰიდროლოგების გამოცდილება სჭრდებათ მაინცადამაინც. აუცილებელია პრობლემის გამოკვეთა. უნივერსიტეტმა გამოიყენა კლასიკური ბარტელის ტერმინი –„თუ გინდა შენმა სტუდენტმა ან პროფესორმა უცხოური მობილობით მიაღწიოს გარკევულ მიზანს, აქაც ადგილზე, ჩამოსულ სტუდენტსაც და პროფესორსაც უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა და კვლევის საშუალება, რომ მათაც მიაღწიონ თავიან მიზანს. ეს ალბათ არ არის ასე მარტივი, თუმცა უნივერსიტეტი ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული“. აქვე ახსენესქართული ენის ერთთწლიანიკურსი, რომელსაც სთავაზობენ უცხოელ სტუდენტებს და რომელიც უფრო მეტად ორიენტირებულია მეზობელ რეგიონებზე, ანუ იმ სტუდენტებზე, რომლებიც საუბრობენ ქართულად. ამ ერთწლიანი პროგრამით შესაძლებელია მათ მიიღონ ქართულ ენაზე განათლება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ერთადერთი სრულიად უცხოენოვანი პროგრამა ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და სიამაყით აღნიშნეს, რომ უცხოენოვანი სტუდენტების რაოდენობა წლიდან წლადმე იზრდება – „აუცილებელია შეეჭიდო იმას, რისი პოტენციალიც, შესაძლებლობაც გაქვს“.

ბსუ-ის აზრით, ინტერნაციონალიზაციის საუნივერსიტეტო პოლიტიკა ძირითადად ერთია, თუმცა, არის გარკვეული დარგი, მაგ. ზუსტი მეცნიერებებისა, რომელსაც უცხოენოვან კოლეგებთან ხშირად აქვთ ერთობლივი კვლევები. ყველა დარგი ცდილობს უცხოეთთან კონტაქტს, თუმცა, ზოგ დარგს, სავარაუდოდ, სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს უფრო ეფექტიანად გამოსდის.

ბსუ-ის დოქტორანტებმა ინეტრნაციონალიზაციის დადასტურებად დაასახელეს: უცხოელი პროფესორის რეცენზია, დოქტორანტის იმპაქტაფქტორიანი გამოქვეყნებები, უცხოელი თანახელმძღვანელი.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თესაუ) დაადასტურა, რომ ყველა მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის გაგება უნივერსიტეტს ერთი აქვს, თუმცა ფორმები, ან განხორციელების გზები შეიძლება იყოს სხვადასხვა. მათ ჰყავთ ძალიან კარგი პროფესურა, მათ შორის უცხოენოვანი სტუდენტებისათვისაც და ყველა პროგრამა ითვალისწინებს 25 კრედიტის ფარგლებში უცხოურ კურსებს და/ან პრაქტიკის შეთავაზებას.

თესაუ-ის საგარეო ურთიერთობების სამსახურის აზრით, ინტერნაციონალიზაცია ესაა რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო პროგრამა, პროექტი, სტუდენტი, პროფესორი, კონფერენცია, კვლევა, სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში და ა.შ. ესაა საშუალება, რითაც კონკრეტული უნივერსიტეტი შეიძლება დაუკავშირდეს მსოფლიოს სამეცნიერო მიმოქცევას, ეს გაზრდის ადგილობრივი უნივერსიტეტის ცნობადობას, კონკურენტუნარიანობას, ადგილობრივ და გლობალურ დონეზე. უნივერსიტეტი, ამ გაგებით, სიამაყით აღნიშნავს, რომ აქვს 12 მიმდინარე განვითარების პროექტი, სადაც ჩართულია არა მხოლოდ ევროპის, ამერიკის, არამედ ლათინური ამერიკის და აზიის ქვეყნები. უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიებული პოლიტიკა, თუ როგორ საზღვრავს ამ მიმართულებით გეგმებს. თუმცა, სადოქტორო საფეხური არის მტკივნეული სფერო იმ გაგებით, რომ არაა სწორი გაგება დოქტორანტების მხრიდან. სამწუხაროდ, ისინი არ იჩენენ ინიციატივას, არ უნდათ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მაქსიმალურად, პროგრამების განხორციელებაში ჩართული არიან უცხოელი პროფესორები, რომლებიც ეხმარებიან დოქტორანტებს კვლევაში, ანუ დოქტორანტს თავისუფლად შეუძლია ჰყავდეს უცხოელი

თანახელმძღვანელი (მაგ. გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში), რაც საუკეთესო შეთავაზებაა. მობილობის პროგრამებში მონაწილეობით, სამწუხაროდ, დოქტორანტები არ ინტერესდებიან ოჯახური პრობლემების, სამსახურის და ა.შ. მიზეზების გამო. ზოგი (მამაკაცი დოქტორანტი) ჯარის გამო აზარებს დოქტორანტურაში... უნივერსიტეტმა გამოთქვა სინანული დოქტორანტების დაბალ აქტივობაზე საერთაშორისო პროგრამების კუთხით, რადგან საერთაშორისო პროგრამებში იდება წინადადება, თუ რომელ საფეხურზე და რომელ პროგრამებზე სურთ სტუდენტთა გაცვლა და რამდენჯერაც იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოითხოვა სადოქტორო საფეხური, იშვიათად მიიღეს მონაწილეობა დოქტორანტებმა. შესაბამისად, ეს მოთხოვნილი ადგილები რჩება ვაკანტური და შემდეგ ჯერზე ვერც ითხოვენ. დოქტორანტებთან ბევრია სამუშაო ამ მიმართულებით, თუმცა, კონკრეტულად რომელმა სამსახურმა უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით, ეს არ იციან, გამოთქვეს ვარაუდი, რომ „პროგრამაში უნდა ჩაიდოს სავალდებულო მოთხოვნად საზღვარგარეთ სტაჟირება, ან კვლევის რაღაც ნაწილის იქ გაკეთება, რომ სტუდენტმა მიიღოს უცხოური გამოცდილება, ან რამე მსგავსი“. უნივერსიტეტი სტატიების გამოქვეყნებაში ხელს უწყობს დოქტორანტებს, სტატიები მოწმდება უნივერსიტეტის მხრიდან და შემდეგ იბეჭდება.

**თესაუ** ამბობს, რომ უნივერსიტეტს ინტერნაციონალზიაციის საერთო პოლიტიკა და ხედვა აქვს, განხორციელების გზები შეიძლება იყოს სხვადასხვა და აღნიშნეს, რომ ამას ფაკულტეტები აფასებენ თავიანთი სპეციფიკის გათვალისწინებით.

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (სჯსუ)** აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს მცირე რაოდენობის სტუდენტები და მით უფრო დოქტორანტები, შესაბამისად, ინფორმაციის გაზიარებისა და მიწოდების გარდა (გავრცელება უნივერსიტეტის გვერდზე, ფბ-ზე, ელ-ფოსტაზე), საგარეო ურთიერთობების სამსახური მათ პირადადაც ეკონტაქტება, ანუ მაქსიმალური ჩართულობაა უნივერსიტეტის მხრიდან. ადგილობრივი რესურსების ფარგლებში ხდება გზის დაფინანსებაც (თუ ამის საჭიროებაა), ასევე, საგარეო ურთიერთობათა სამსახური ეხმარება საპროექტო წინანდების შედგენის ტექნიკურ მხარეში, რეკომენდაციებში, ბილეთის დაჯავშნა და ა.შ. ასევე, თუ საკონფერენციო ნაშრომს

დაბეჭდავს, ხდება საჭირო თანხის ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსება უნივერსიტეტის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტები გაცვლით პროგრამებში მონაწილების დაბალი აქტივობით გამოირჩევიან, უნივერსიტეტი, თავის მხრივ, მაქსიმალურად ხელს უწყობს მათ. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, ეს უნივერსიტეტს ყველა დარგისთვის ერთნაირი აქვს.

სჯსუ-ც ადასტურებს, რომ ინტერნაციონალიზაციის საუნივერსიტეტო პოლიტიკა ყველა დარგისთვის არის საერთო.

სჯსუ-თვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პლაგიატის ლიცენზირებული პროგრამის შეძენასამეცნიერო კეთილსინდისიერების პროექტის ფარგლებში (ერაზმუს+), რადგან კვლევები უნდა იყოს ნამდვილი, ახალი მეცნიერული სიახლის მომტანი და არა გადაკოპირებული. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მჭიდრო კოლეგიალურ და მეგობრულ ურთიერთობებშია ქვეყნის სხვა რეგიონალურ უნივერსიტეტებთან, არის მჭიდრო კონტაქტები, აზრების, გამოცდილების გაცვლა, ერთმანეთს რთავენ საერთო პროგრამებში, გეგმავენ საერთო საქმეებს, შეხვედრებს და ა.შ.

შეჯამება:

უნივერსიტეტებს აქვთ ინტერნაციონალიზაციის ერთიანი პოლიტიკა, თუმცა, დარგების მიხედვით სიტუაცია განსხვავებულია, უფრო მეტად ხორციელდება ინტერნაციონალიზაცია სამედიცინო და ზუსტი მეცნიერებების სფეროებში, არის უფრო მეტი კონტაქტი პროფესორებს შორის, მეტი ერთობლივი პროექტები, სამედიცინო პრაქტიკა, ხოლო ნაკლებად - ჰუმანიტარულ სფეროში.

ინტერნაციონალიზაციის ფორმებიდან რესპონდენტებმა ჩამოთვალეს:

- საერთაშორისო პროგრამა, ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამები
- ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები
- უცხოენოვანი სტუდენტებისათვის გათვალისწინებული კურსები და/ან პრაქტიკა, საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკა (მაგ. მედიცინის მიმართულებით)

- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების და პროფესორების ორმხრივი მობილობა
- საერთაშორისო ხილვადობის კვლევები, ერთობლივი საერთაშორისი კვლევები
- საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება კვლევაში
- დოქტორანტის იმპაქტაფქტორიანი გამოქვეყნებები / სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში
- საერთაშორისო კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი
- უცხოელი პროფესორის რეცენზია, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება
- უცხოელი პროფესორის ჩართვა საგანამანთლებლო პროგრამებში, ლექციების მოკლე და/ან გრძელი კურსების ჩატარება
- დოქტორანტის უცხოელი თანახელმძღვანელი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტები მაქსიმალურად მუშაობენ სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლების მიმართულებით, საერთაშორისო ცნობადობის მიმართულებით და ინეტრნაციონალიზაციასაც ამ მიზნით ახორციელებენ, თუმცა აქვე დასძინეს, რომ აკეთებენ ისე, როგორც ესმით, ისე როგორც შეუძლიათ. თუმცა, აქვე ხაზი გაუსვეს, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური. ინტერნაციონალიზაცია ესაა საუკეთესო საშუალება, რითაც კონკრეტული უნივერსიტეტი შეიძლება დაუკავშირდეს მსოფლიოს სამეცნიერო მიმოქცევას, ეს ზრდის ადგილობრივი უნივერსიტეტის ცნობადობასა და კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის განხორცილების ფორმების შესახებ აქვთ საკმაო ინფორმაცია, თუმცა ორგანიზაციული მიდგომის ნაწილში ქაოტური, არასისტემური დამოკიდებულებაა, ინეტრნაციონალიზაციის ცნების სიღრმისეული ვერგაგების გამო, შესრულების ნაწილი ზოგჯერ გაუაზრებლად ხორციელდება. რაც შეეხება დარგებს შორის სხვაობას, სახელდება ზუსტი მეცნიერებები და მედიცინა, სადაც მეტად ახერხებენ დარგის წარმომადგენლები საერთაშორისო კვლევებს და/ან პრაქტიკას. უნივერსიტეტები ამბობობენ, რომ მაქსიმალურად ცდილობენ

უნივერსიტეტის ინტეგრირებას მსოფლიოს უმაღლეს, გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში, თუმცა კონკრეტულ გზებს, გეგმებს ვერ ასახელებენ.

**1.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში – შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციულ მიდგომას?**

ამ შეკითხვაზე მათგან პასუხი ვერ მივიღეთ, რამდენადაც არ უდგებიან საკითხს ამ კუთხით.

**1.3. დემინგის (Deming 2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება ინტერნაციონალიზაცია?**

**თსუ** საგარეო ურთიერთობების სამსახურის აზრით, ინტერნაციონალიზაცია არის პროცესი და ხორციელდება ერთობლივად, დემინგის ტერმინით დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-განვითარება

**სტუ-მაც** დაადასტურა, რომ ინტერნაციონალიზაცია სისტემური პროცესია, დაგეგმვით, განხორციელებით, შეფასებით.

**ილიაუნის აზრით, ინტერნაციონალიზაცია** ოთხივე ეტაპზე ხდება, რადგან ოთხივე აუცილებელია.

**ბსუ-მ** აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაგეგმვა და შეფასება, ბუნებრივია, შედეგიც მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ ეტაპისთვის აქტივობებს მიანიჭეს უფრო დიდი მნიშვნელობა.

**თესაუ-ის** აზრითაც, მეტი მნიშვნელობა ინტერნაციონალიზაციის აქტივობას ენიჭება.

**სჯსუ-ის** აზრით, ინტერნაციონალიზაცია პროცესია თუმცა, მეტი აქცენტი კეთდება აქტივობაზე. ყველა საქმეში შედეგი მნიშვნელოვანია, ასევე, შეფასების გარეშე, არ არსებობს ნებისმიერი პროცესი, თუმცა, აქტივობას აქვს მეტი მნიშვნელობა. სჯსუ-თვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შესაბამის აღჭურვილობას, რაც წინაპირობაა ხელი შეუწყონ დოქტორანტებს

კვლევების წარმოებაში, თამამად მოიწვიონ უცხოელი პროფესორები ერთობლივი კვლევების ადგილზე ჩასატარებლად და ა.შ. აქვე აღნიშნეს, რომ საუნივერსიტეტო შესანიშნავად აღჭურვილი ლაბორატორიები, უახლესი ტექნიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უნივერსიტეტში უკვე განხორციელებული საერთაშორისო პროექტების შედეგია. ასევეა, დატრეინინგებული ადამიანები (სტუდენტი, პროფესორი, ადმინისტრაცია).

შეჯამება:

**საერთო შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას,** უნივერსიტეტები ადასტურებენ, რომ ინტერნაციონალიზაცია არის პროცესი, რომელშიც მოიაზრება დაგეგმვა, განხორციელება და შემოწმება-შეფასება. რეგიონული უნივერსიტეტები შედარებით მეტად აღიარებენ, რომ ინტერნაციონალიზაციის აქტივობებზე უფრო აკეთებენ აქცენტს, ვიდრე შედეგებზე. უნივერსიტეტებმა აღნიშნეს, რომ აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნის მიხედვით, უნივერსიტეტების სტრატეგიებსა და მისიებში, ასევე, სადოქტორო პროგრამებში გაწერილია ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობით დადასტურება, ხოლო შესრულებით ნაწილში ასრულებენ შეძლებისდაგვარად. ამის ძირითად მიზეზად დასახელდა ცნების სიახლე, ინტერნაციონალიზაციის, როგორც პროცესის არასიღრმისეული გაგება და გამოიკვეთა უნივერსიტეტების ინიციატივების ნაკლებობა. შესაბამისად, დემინგის მოდელის მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება დაგეგმვის ნაწილში - რამდენადაც უნივერსიტეტების სტრატეგიებში, მისიებსა და სადოქტორო პროგრამებში გაწერილია, განხორციელების ნაწილშიც (შეძლებისდაგვარად, მაგრამ მაინც) - პუბლიკაციები, მობილობაში მონაწილეობა, უცხოელი თანახელმძღვანელი და/ან რეცენზენტი, შეფასების ნაწილში - პუბლიკაციები იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, თუმცა განვითარების ნაწილში - ნაკლებად, რამდენადაც, როგორც თავად ამბობენ, „ასრულებენ ისე როგორც ესმით და როგორც შეუძლიათ“.

**ნაწილი 2 ხარისხის უზრუნველყოფა სადოქტორო საფეხურზე**

**2.1. როგორ ესმით უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე? რატომ სურთ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელება? განსხვავდება თუ არა ხარისხის შეფასება მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?**

**თსუ** სადოქტორო საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფაში რამდენიმე ზოგად მიმართებას მოიაზრებს. მესამე საფეხური უფრო მეტად მეცნიერებაა, ვიდრე აკადემიური პროგრამები, თუმცა, სასწავლო კომპონენტს ხარისხის უზრუნველყოფის იგივე მახასიათებლები აქვს, რაც პირველ ორ საფეხურს, განსხვავებულია შეფასება, მეთოდები, კონტენტი. სამეცნიერო კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფა ეს იგივეა, რაც კვლევის ხარისხი. თსუ ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სტანდარტებით არ მიჯნავს განათლების საფეხურებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, მხოლოდ მეორე და მესამე სტანდარტშია სპეციფიკურობა, სუპერვიზირების გაგებით და კვლევის ხელშეწყობის გაგებით.

თსუ ამბობს, რომ რაც არსებობს უნივერსიტეტი, ყოველთვის არსებობს ხარისხი. შემდეგ განათლების ხარისხმა მიიღო დეკლარაციული სახე, ხოლო დღეისათვის ხარისხის გარეშე წარმოუდგენელია არსებობდეს ნებისმიერ პროდუქტი. განათლებაში, ეს სავარაუდოდ, გამკვეთრდა მასიფიკაციის გამო.

თსუ-ში ფასდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები, აკადემიური პერსონალი ვალდებულია სამუშაოს 50% დაუთმოს კვლევას. შეფასების ახალი სისტემა ძალაში შევიდა მიმდინარე (2021) წლის აპრილიდან და გულისხმობს თსუ აკადემიური პერსონალის ვალდებულებას, გამოაქვეყნონ პუბლიკაცია კონკრეტულ სამეცნიერო ბაზებში. დარგებს შორის, ბუნებრივია არის სხვაობა, მაგ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სრულად განსხვავებულ იმპაქტფაქტორს ითოხვენ, ვიდრე, მაგ. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

**სტუ** ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, არასრულყოფილადაა გაგებული, ეს არის სრულიად სისტემის ეფექტიანი მუშაობა: პირველი პირიდან დაწყებული ბოლო თანამშრომლით დამთავრებული. ამ ძირითადი მიზნებით უნდა იმუშაოს ყველა რგოლმა: სერვისები, აკადემიური თუ ადმინსტრაციული პერსონალი, მონიტორინგის სამსახური და ა.შ. სადოქტორო საფეხური გამორჩეულია, რადგან მოაქვს (ან უნდა მოიტანოს) ახალი ცოდნა, სადოქტორო პროგრამა ზრდის მეცნიერს და მასწავლებელს ერთდორულად.

სტუ ამბობს, რომ საგანამანთლებლო პროგრამები მოწმდება სტანდარტულად, თუმცა, კონკრეტულ დარგებს აქვს თავისი სპეციფიკა, რომელმაც შეიძლება საჭირო გახადოს შეფასების დამატებითი ინსტრუმენტის შემოღება.

**ილიაუნის** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები თვლიან, რომ მთავარია დოქტორატნმა დაიცვას ხარისხიანი დისერტაცია, მისი ნაშრომი აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამისათვის კი, სადოქტორო ნაშრომის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო პუბლიკაცია. ეს არის ხარისხის გარე უზრუნველყოფა და ნაშრომის ხარისხის გარანტი. ამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მკაცრად აკონტროლებს.

**ბსუ-ს** აზრით, თანამედროვე ცოდნა და განათლება წარმოუდგენელია ხარისხის გარეშე, შესაბამისად, უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლებასა და კვლევაზე და არა ბიზნესზე. ბსუ-თვის კონკურენტულ გარემოში ყოფნა ნიშნავს სწავლებისა და კვლევების მაღალ ხარისხს. მესამე საფეხურზე მეტი ყურადღება ექცევა სამეცნიერო მიმართულებას, ხოლო ინსტიტუტცია ხელი უწყობს დოქტორანტებს მაქსიმალურად (გულისხმობენ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებას).

**ბსუ** აღნიშნავს, რომ სხვადასხვაა არა შეფასების ძირითადი ნაწილი, არამედ კითხვარების შინაარსი დარგების სპეციფიკების გათვალისწინებით. მიღებული შედეგები ჯერ განიხილება ფაკულტეტებზე, დეპარტამენტებში და შემდეგ ეს წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

**თესაუ** -ის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე ნიშნავს მთავარი აქცენტის გაკეთებას კვლევის თანამედროვე მეთოდების რელევანტურ გამოყენებაზე. გამოკვეთეს სადოქტორო საფეხურის გარკვეულ სფეციფიკები - კვლევის მეთოდების ფოკუსირება იმ თემატიკაზე, რაზეც კონკრეტული დოქტორანტი მუშაობს. აქვე წამოსწიეს შესაბამისი აკადემიური პერსონალის რელევანტურობის საკითხი, მათი კომპეტენტურობა კონკრეტული დოქტორანტის კვლევის საკითხში. ასევე, დაასახელეს კვლევების კომერციალიზაცია, რომ უნდა კეთდებოდეს კვლევა, რომელიც უნდა იყოს პრაქტიკაში გამოყენებადი, კვლევები უნდა იყოს წარმოებაში დანერგილი.

თესაუ ამბობს, რომ ძირითადად ხარისხის უზრუნველყოფა სურთ უნივერსიტეტებს უპირველესად გარე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, ჩვენს სივრცეში ლიცენზიის მოპოვებისათვის, კანონმდებლობასთან თავსებადობისთვის და არა ხარისხისთვის. თესაუ აღნიშნავს, რომ იშვიათადაა ჩვენს ქვეყანაში უნივერსიტეტი (თავისუფალი უნი დაასახელა, რომელიც სტადარტს ზემოთ ცდილობს გავიდეს), სასურველია და ამისკენ უნდა ისწრაფვოდეს ყველა უნივერსიტეტი, რომ მათი კურსდამთვრებული, მათი საზოგადოება ბედნიერიც იყოს, დოვლათიანი და კონკურენტუნარიანი ლოკალურ და გლობალურ სივრცეში.

**თესაუ** აღნიშნავს, რომ დარგებისადმი მიდგომა განსხვავებული უნდა იყოს. მაგ, ბიოლოგი გაცილებით უფრო მარტივად აქვეყნებს სტატიებს მაღალრეიტინგულ გამოცემებში, ვიდრე მაგ. საქართველოს ისტორიის სპეციალისტი და მათ ერთნაირად ვერ შეფასებენ. ამის გამო, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო კვლევის სამი შიდა მოთხოვნა: სტატია, კონფერენცია და დოქტორანტის მომზადება, ხოლო ნებისმიერი სხვა სამეცნიერო აქტივობა არის სარეიტინგო, დამატებითი ქულების მომტანი პროფესორისათვის.

**სჯსუ** ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ზოგადად სენსიტიური თემაა და განსაკუთრებით მესამე საფეხურისათვის. ერთია, როგორ უნდა უნივერსიტეტის ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფა და მეორეა, როგორ გამოსდით ეს პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ფინანსები, კარგი ადამიანური რესურსი. აქვე, წუხილით აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები და აკრედიტაციის ექსპერტების დამოკიდებულებები ზოგჯერ განსხვავებულია (მაგ.სტანდარტის ზედმეტად მკაცრად გამოყენება და ექსპერტების მაკონტროლებელი დამოკიდებულება).

სჯსუ ამბობს, რომ უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფა სურს სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციისთვის, საერთაშორისო მიმოქცევაში ჩართვისთვის. და უნივერსიტეტს ცენტრალურ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ერთი აქვს.

შეჯამება:

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტების აზრით, დღეს ხარისხის გარეშე წარმოუდგენელია არსებობდეს ნებისმიერი პროდუქტი, მით უფრო განათლება და ამის სავარაუდოდ მიზეზად უმაღლესი განათლების გამკვეთრებული მასიფიკაცია დაასახელეს. ზოგი უნივერსიტეტისათვის სადოქტორო საფეხურზე ხარისხი ნიშნავს სწავლებისა და კვლევების მაღალ ხარისხს, ზოგის აზრით კი, ნიშნავს კვლევის თანამედროვე მეთოდების რელევანტურ გამოყენებას, კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, კვლევების კომერციალიზაციას. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება.

ასევე, შეიძლება დავადასტუროთ, რომ უნივერსიტეტები ინტენსიურად აფასებენ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს, კონკრეტულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, დოქტორანტების ხელმძღვანელობას. ყველა უნივერსიტეტმა აღიარა, რომ დარგებს შორის სხვაობა ბუნებრივია და ეს მათი სპეციფიკიდან გამომდინარეა. სხვა მხრივ, თქვეს, რომ სამეცნიერო აქტივობის და საერთაშორისი კონტაქტების დამყარების მცდელობა და პრაქტიკა აქვს აბსოლუტურად ყველა დარგს. თუმცა, ყველა ერთნაირი სიხშირითა და ეფექტით ვერ ახერხებს.

**2.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სადოქტორო საფეხურზე შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციული მიდგომა?**

**თსუ-ს** ხარისხის სამსახურის აზრით, სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება კვლევითი კომპონენტით, რაც განისაზღვრება ახალი, სასიკეთო ცვლილებებით, დოქტორანტურის მოქნილი მინიმალური სტანდარტით. ასევე, მნიშვნელოვანია დოქტორანტთა ჩარიცხვის სტატისტიკა, სტატუსის შეჩერების სტატისტიკა, პუბლიკაციების რაოდენობა, დასრულება და კურსდამთავრებულთა დასაქმება.

**თსუ-ს** ზოგი დოქტორანტის აზრით, სტატიის შეფასება აუცილებელია, რადგან როდესაც თანხა იხარჯება ინტერნაციონალიზაციის დადასტურებისათვის, უნივერსიტეტი უნდა ინტერესდებოდეს, თუ რაში იხარჯება ეს თანხა. სხვა დოქტორანტიც ამ აზრს ადასტურებს და ამატებს, რომ მნიშვნელოვანია, უცხოეთის რომელ უნიევრსიტეტს, ან რომელ პროფესორს აირჩევს დოქტორანტი. ასეთ დროს

იქაური, ადგილობრივი სტუდენტების რეკომენდაციებს უფრო ეყრდნობიან. დოქტორანტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ უცხოეთში წასვლა არაა სწორი, რადგან მნიშვნელოვანია კარგი კვალიფიკაციის მქონე პროფესორთან მუშაობა, რომ რელევანტური იყოს დოქტორანტის იქ ყოფნა. უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ „დოქტორანტის საბოლოო შეფასებას უნდა ახდენდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამეცნიერო სამსახურთან ერთად“. დოქტორანტის საბოლოო შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, ანქვეკრიტერიუმად დაასახელა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. ასევე, თქვა, რომ შეიძლება „უნივერსიტეტში არსებობდეს გარკვეული ბაზა, სადაც დასახელებული იქნება რამდენიმე უნივერსიტეტი, პროფესორი, რომელიც ინება აღიარებული, ვისთანაც გაივლიან პრაქტიკას, ან ვინც იქნება კარგი კონსულტანტი და დოქტორანტებს არ დასჭრიდებათ პირადი კონტაქტებით წონადი მეცნიერის პოვნა“. თსუ-ს ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ დოქტორანტის შეფასებისას უნდა არსებობდეს გარკვეული ზოგადი კრიტერიუმები ისე, რომ დოქტორანტის შეფასება არ გამოვიდეს ფორმალური. აუცილებლად უნდა შეფასდეს დოქტორანტების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში, შეფასდეს გამოქვეყნებები (იმპაქტფაქტორიანი), გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას თუ ჩაატარა კვლევა და ა.შ.

**სტუ-ს** ხარისხის სამსახურის აზრით, სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება შიდა და გარე შეფასების სისტემით, დოქტორის ხარისხის მინიჭებით, დაცვით და გამოქვეყნებებით. სად გამოაქვეყნა, ინდექსირებული, იმპაქტფაქტორი, რეიტინგული და სხვ.

**სტუ-ს** ზოგი დოქტორანტის ამბობს, რომ არის საგანი - „კვლევის მეთოდები“ სასწავლო კომპონენტში, მის შემთხვევაში დასახული მიზანი მიღწეულია. თვლის, რომ მესამე კურსელი დოქტორანტი უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს და საკვლევი თემის შეცვლა, რასაც აქვს ხოლმე ადგილი, არაა რელევანტური. სხვა ბარიერები არ დაასახელა, ერთადერთი ბარიერი მხოლოდ პანდემია დასახელდა, რადგან დიდი და მნიშვნელოვანი პროექტები და კონფერენციები გადაიდო, სტატიების გამოქვეყნებების ვადებმა გადაიწია, ფორმატი შეიცვლა. უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ „ასე კონკრეტულად საგანი „კვლევა როგორ ვაწარმოოთ“ არ არის, რომ შესაძლოა

ზედა კურსებზე არის კიდეც, თუმცა არ აქვს სრული ინფორმაცია". სხვა დოქტორანტმა დაასახელა რამდენიმე საგანი: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, სემინარები, პროსპექტუსები და კოლოკვიუმები. უნივერსიტეტში სემინარი და პროსპექტუსი დაახლოებით ერთი შინაარსისაა, ხოლო კოლოკვიუმი უშუალოდ კვლევის შედეგებზე ინფორმაციას ასახავს. ერთადერთ მტკივნეულ საკითხად დაასახელეს უნივერსიტეტის ლაბორატორიების სიძველე (ქიმიის მიმართულებით), რადგან რამდენიმე ცდის ჩატარებაა საჭირო შედეგების გადასამოწმებლად. ეს დოქტორანტი საკუთარი სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილია, რომელიც ყოველთვის ეხმარება ადგილობრივ და საერთშორისო გამოცემებში სტატიის გამოქვეყნებისათვის. უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი შეთავაზებული კურსებით კმაყოფილია, განსაკუთრებით აღნიშნა აკადემიური წერა, რადგან თავისი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ნამდვილად დაეხმარა დისერტაციის წერის, გაფორმების, ციტირებების მითითების ნაწილში და ა.შ. ამ დოქტორანტმა თქვა, რომ მონაწილეობს ცერნის პროექტში, რაც ინტერნაციონალიზაციის ძლიერ მხარეს ნიშნავს და რაც არაა ჩვეულებრივი რეალობა, რადგან ეს არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა დოქტორანმა ერთმად დაასახელა ზოგადად სიახლეების საჭიროება.

**ბსუ-ს** დოქტორანტი ამბობს, რომ სამიზნე ჯგუფი ყველა პროგრამას გასხვავებული აქვს. სადოქტორო საფეუხრზე ნაშრომის საბოლოო დაცვა და შეფასებაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, არის მიმდინარე შეფასებები სემინარებისა და კოლოკვიუმებისა და დოქტორანტთა გამოკითხვები.

ბსუ-ს ზოგი დოქტორანტის მიხედვით, მათ პირველივე სემესტრში გაიარეს კვლევის კურსი, თუმცა, რაც სჭირდებოდა მის დარგს (ბიზნეს ადმინისტრირება) ასე არა. საგნის ლექტორი უფრო კონცენტრირებული იყო სოციოლოგიური მიმართულებით, რადგან ამ დარგის სპეციალისტი იყო და არა ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით და სურვილი გამოთქვა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა კვლევის მეთოდების შესწავლა დარგის გათვალისწინებით. ასევე, სურვილი გამოთქვა, რომ სადოქტორო საფეხურზე შემოთავაზებული კურსებიდან თეორიული ნაწილი უფრო ნაკლები იყოს და პრაქტიკის ნაწილი – მეტი, მაგ, რომ ლექციებზე

განიხილებოდეს ერთი რომელიმე კვლევის დიზაინის, ან მეთოდის და ა.შ. ანალიზი. დოქტორანტი ასახელებს თემის კონკრეტიზაციის პრობლემას, თუმცა აღნიშნა, რომ პარალელურად ორი სტატია უკვე გამოაქვეყნა, რომელიც იძებნება google scholar-ისა და scopus-ის ბაზებში. სხვა ბარიერები არ აქვთ. უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ მათთან არის კვლევითი კურსები დარგის მიმართულებით, არის პრაქტიკული სამუშაოები. ამ მხრივ, ნამდვილი ფუფუნება აქვთ, რადგან უნივერსიტეტში არის ქრომატოგრაფიული ცენტრი, რომელიც ერთადერთია დასავლეთ საქართველოში, ცენტრი აღჭურვილია უახლესი და ყველა საჭირო ინტვენტარით, რაც ცდების ჩატარებისთვის აუცილებელია. აქ ტარდება პრაქტიკული სამუშოები, პროფესორები დოქტორანტებს ასწავლიან კვლევას. პროგრამას ყველა აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი ჩართული ჰყავს საგრანტო პროექტებში და ეწევიან აქტიურ სამეცნიერო მუშაობას. ერთადერთი სურვილი გამოთქვეს უცხო ენის კურსის დამატება ენის ცოდნის დონის, კომპეტენციის ამაღლებისთვის. დოქტორანტებმა ასევე დაასახელეს უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.apa.bsu.edu.ge/ , სადაც დოქტორანტები და პროფესორები ათავსებენ ხოლმე სამენციერო აქტივობებს.

**ბსუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამბობს, რომ მესამე საფეხურზე მეტი ყურადღება ექცევა სამეცნიერო მიმართულებას, ინსტიტუცია ხელსუწყობს დოქტორანტებს სტატიების გამოქვეყნებაში მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ცალკე არის პროგრამული უზრუნველყოფა.

**თესაუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე ნიშნავს მთავარი აქცენტის გაკეთებას კვლევის თანამედროვე მეთოდების რელევანტურ გამოყენებაზე, ანუ კონცენტირება კონკრეტულად იმაზე, რაზეც დოქტორანტი მუშაობს. ხშირად უნივერსიტეტებში ეს ზოგადი პრაქტიკაადა არ ითვალისწინებს გარკვეულ სპეციფიკებს. არებობს მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც ამას ასწავლის, თუმცა, ზოგადად, და უმჯობესია კონკრტული დარგის კვლევის მეთოდების შეთავაზება დოქტორანტებისათვის. მეორე საკითხია შესაბამისი ადამიანური რესურსი, აკადემიური პერსონალის რელევანტურობა, მათი კომპეტენტურობა კონკრეტული დოქტორანტისკვლევებში. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს, რომ ეს არის სერიოზული პრობლემა, პროფესორი

შეიძლება იყოს დარგის კარგი სპეციალისტი, თუმცა არა იმ კონკრეტული თემატიკისა, რაზეც მუშაობს დოქტორანტი. მესამე არის უნივერსიტეტის მიერ კვლევების მხარდაჭერა დაფინანსების ნაწილში. ჩვენს ქვეყანაში არ არის ასეთი საერთო სისტემა, რომელიც უნივერსიტეტებს დაეხმარება კვლევების დაფინანსებაში. უნივერსიტეტები დამოუკიდებლად მოიძიებენ ხოლმე გარკვეულ დონაციებს, მაგრამ ეს არაა სისტემური. ხარისხის უზრუნველყოფა ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციურ მიდგომებზე, რომლებიც აბსოლუტურად მხარდაჭერილი იქნება უნივერსიტეტების მხრიდან, ხოლო უნივერსიტეტებს ექნებათ კვლევების მხარდაჭრის შანსი, მათთვის საჭირო კადრის მომოზადების შანსი. აქვე აღნიშნეს კვლევების კომერციალიზაციის მნიშვნელობა. შეიძლება კეთდებოდეს კვლევა, რომელიც იყოს საინტერესო, შესაძლოა, იყოს სიახლეც (დარგს არ აქვს მნიშვნლობა) თუმცა, ეს სიახლე არ იყოს მატერიალური დოვლათის მომტანი, ანუ არ ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება. ჩვენს რეალობაში რატომღაც აქცენტი კეთდება მხოლოდ თეორიული ნაშრომის შექმნაზე და არა კვლევების კომერციალიზაციაზე.

თესაუ-ს დოქტორანტი ამბობს, რომ უნივერსიტეტში ასწავლიან კვლევის მეთოდებს და ასევე ატარებენ ექსპერიმენტებს საწარმოებში, ლაბორატორიებში. შემოთავაზებული კურსები მოსწონთ, თუმცა სურვილი გამოთქვა, რომ კვლევის თანამედროვე მეთოდები უფრო მეტად იყოს დაკავშირებული დარგთან(!) და წარმოდგენილი იყოს მეტი კონკრეტულობით. ნებისმიერ საფეხურზე სწავლებისას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ სამუშაოებს, ამისათვის საჭიროა უკეთესი აღჭურვილობა და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სხვა ქვეყნების დოქტორანტების საქართველოში ჩამოსვლაც (რაც გაცილებით ნაკლებადაა). სხვა ბარიერები არ აქვთ, სტატიების გამოქვეყნების პროცესში უნივერსიტეტისგან აქვთ სრული მხარდაჭერა, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურისგანაც ოპერატიულად იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა კონფერენციების, კონგრესის და ა.შ. შესახებ. მხარდაჭერა აქვთ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამომცემლობებში სტატიების გამოქვეყნებისას და არის არავითარი პრობლემა თანაავტორობის და/ან პირველი ავტორობისა.

სჯსუ აღნიშნავს, რომ სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით. უნივერსიტეტს აქვს სადისერტაციო ნაშრომების

წინასწარი დაცვა, ხოლო შემდეგ დაცვის ძირითადი პროცესია. უნივერსიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში ან შემფასებლად ხშირად ჰყავთ უცხოელი რეცენზენტები.

**სჯსუ-ის** დოქტორანტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ბაკალავრიატიდან განუვითარეს კვლევის უნარები, ნაშრომების, საკურსოების დაწერით, ხოლო სადოქტორო საფეხურზე საკმარისი იყო პროგრამულად კურსები, თუმცა, კვლევას ასე პირდაპირ არ ეხებოდა. დოქტორანტის აზრით, გამოასწორებდა: უნივერსიტეტის რესურსებს, რადგან სჯსუ, სამწუხაროდ, დამოკიდებულია სხვა უნივერსიტეტის რესურსებზე (მისი დარგის მიხედვით), მაგ. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო სხვა უნივერსიტეტის (აშშ, მისური) პროფესორი და მას შეეძლო იმ უნივერსიტეტის რესურსების გამოყენება (კვლევითი სიახლეებზე წვდომა), ხოლო როდესაც ხელმძღვანელი გადავიდა მისურის უნივერსიტეტიდან და დაიწყო კომერციული საქმიანობა, მას ამ ლაბორატორიებზე წვდომა აღარ მქონდა. მეორე პრობლემად დასახელდა სავალდებულო ასისტენტობის შესრულების შესაძლებელობა, არ იყო საგნები თავის დარგში და იძულებული გახდა ჩაეტარებინა სხვა საგნის ლექციები, შესაბამისად, თან ისწავლა ის საგანი და ლექციებს ატარებდა. ბუნებრივია, გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა თავისი დარგის საგანში ასისტირება მისთვისაც როგორც ახალგაზრდა მეცნიერისთვის და თვით უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტსაქვს ლაბორატორიები და რესურსები, რომელსაც სჭირდება შესაბამისი აღჭურვა, რადგან როდესაც უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამას, ის მზად უნდა იყოს სათადარიგო გეგმისთვისაც და არ დარჩეს რესუსების გარეშე. დოქტორანტმა დაასახელა პრობლემები, რატომ არ ასრულებენ დოქტორანტები კვლევებს დროულად: დოქტორანტურაში ჩაბარებისას სრულად მოცული იყო სურვილით ეკვლია და მეცნიერებაში ბოლომდე შესულიყო, თუმცა, დადგნენ რთული ეკონომიკური პრობლემების წინაშე, სწავლება არ ფინანსდება, კვლევები არ ფინანსდება და ბევრი საუკეთესო მეცნიერი წავიდა ან საზღვარგარეთ უნივერსიტეტში, ან დაიწყეს კომერციული საქმიანობა, შესაბამისად, კვლევა აღარ რჩება პრიორიტეტული. დოქტორანტი სინანულით აღნიშნავს, რომ თუ ადრე გამძაფრებული ჰქონდა კვლევისა და მეცნიერული სიახლეების წვდომის სურვილი, ახლა ყველაფერს უყურებს რეალისტურად, რომ აქ (საქართველოში) მეცნიერება არის სფერო, სადაც ხარ და არ

უნდა გყავდეს არავინ, ანუ მეცნიერი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას. ასევე პრობლემაა სავალდებულო 3 სტატია რეფერირებად ჟურნალებში, სადაც დაბეჭდვა სოლიდური თანხა ღირს (დოქტორანტის დაახლოებით 2 თვის ხელფასი). უნივერსიტეტი ამ ნაწილში მხარს უჭერს, თუმცა, დაასახელა ბიუროკრატიული პრობლემა, უნივერსიტეტი ითხოვს საბოლოო თანხმობას იმ გამოცემიდან და მერე აფინანსებს, ეს კი პრობლემაა, რადგან უცხოური გამომცელობა საბოლოო თანხმობას გაძლევს მას შემდეგ, რაც თანხას გადაიხდი. მიუხედავად ამისა, მან მაინც გამოაქვეყნა ორი სტატია საკუთარი სახსრებით.

სჯსუ-ში შეიძლება ითქვას, რომ დოქტორანტებს აქვთ კარგი შესაძლებლობები კვლევისათვის, კარგი ლაბორტორიებია, მაგ., ასტრონომიის მიმართულებით უნივერსიტეტის პროფესორები არიან ასევე აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლები, აქვთ მსოფლიო დონის მეცნიერებებთან მუდმივი კონტაქტები, შესაბამისად, ამ მიმართულებით სტუდენტებს ხვდებათ როგორც შესანიშნავი პროფესურა, ინფრასტრუქტურა (ობსერვატორია) ისე საერთაშორისო კონტაქტები. უნივერსიტეტი თავისი ნიშა მიმართულების მიხედვით კარგ მხარდაჭერას და შესაძებლობას სთავაზობს დოქტორანტებს. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ყველა დონეზე, იღებენ ყველა გამოწვევას, ახორციელებენ რეფორმებს და უნივერსტეტი მაქსიმალურად ცდილობს ეს იყოს პოლიტიკის დონეზე და ჩართული იყოს ყველა საფეხური.

შეჯამება:

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები ნაითის მოდელს ამ ტერმინით არც იცნობენ და არც იყენებენ. ნაითის მოდელის განმარტების საფუძველზე მიღებული პასუხებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტებისთვის სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება კვლევითი კომპონენტით, დოქტორანტთა ჩარიცხვის სტატისტიკით, სადოქტორო პროგრამების წინაპირობით, გამოქვეყნებული შრომებით, სადისერტაციო კვლევების დასრულებითა და კურსდამთავრებულთა დასაქმებით. შესაბამისად, ნაითის მოდელის მიხედვით უნივერსიტეტები აფასებენ შენატანსაც - სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული კანდიდატების შესაბამის კომპეტენციებს, პროცესსაც - სწავლებისა და კვლევის სრულ პროცესს ჩარიცხვიდან

დასრულებამდე (საერთაშორისო მობილობა, დოქტორანტების გამოქვეყნებები, დასრულებული კვლევები) და ამონაგებსაც - გრანტით დაფინანსებული დოქტორანტების კვლევის ხარისხის, კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილობრივ და/ან უცხოურ შრომით ბაზარზე, კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

თუმცა დოქტორანტებმა, ადმინისტრაციული წარმომადგენელებისგან განსხვავებით, გამოკვეთეს პრობლემები, რის მიხედვითაც ნაითის მოდელის საფეხურები ყველა დონეზე ხარვეზებით მიმდინარეობს. *შენატანის ნაწილში* - უცხო ენის კურსის დამატების აუცილებლობა ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაა უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე; უცხოეთის უნივერსიტეტებში მობილობით სარგებლობის შემთხვევაში საკუთარი ძალებით ადგილობრივი პროფესორის მოპოვების რეალობა, ამიტომ უნივერსიტეტში არსებობდეს გარკვეული ბაზა, დასახელებული უცხოეთის კონკრეტული უნივერსიტეტებით, პროფესორებით; დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას საბოლოო შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, ან ქვეკრიტერიუმად იყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის აუცილებლობა, და/ან საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა; *შესრულების ნაწილში* - სხვადასხვა ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების, ან გრანტის მოპოვების შემთხვევაში დასრულებული კვლევის შინაარსობრივი შემოწმების აუცილებლობა; უნივერსიტეტის რესურსების პრობლემა, ლაბორატორიების საჭირო რესურსებით აღჭურვა, რადგან ზოგჯერ უნივერსიტეტი დამოკიდებულია სხვა უნივერსიტეტის რესურსებზე (გარკვეული დარგში) უნივერსიტეტის ლაბორატორიების სიძველე (გარკვეული მიმართულებით), რაც ხელს უშლის მათ ცდების ჩატარებაში, სწორი შედეგების მიღებაში, რის გამოც რთულდება ხარისხიანი კვლევის შესრულება; სავალდებულო ასისტენტობის შესრულებისას სხვა დარგის საგნის ლექციების წაკითხვის პრაქტიკა და არა თავისი დარგის საგნისა, რაც მართლაც დაეხმარებოდა ახალგაზრდა მეცნიერსაც და თვით უნივერსიტეტსაც; საუნივერსიტეტო ბიუროკრატია დაფინანსების კუთხით; ჩვენს ქვეყნის რეალობაში მეცნიერება არის სფერო, სადაც აუცილებელია გყავდეს ვინმე ვისი მფარველობის ქვეშაც ახალგაზრდა მეცნიერი მოიაზრება. აქ ნაგულისხმებია ის პრაქტიკა, როდესაც დოქტორანტს აქვს შესაძლებელობა ჩაერთოს ბევრ საერთაშორისო

პროექტში, თუ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელია ჩართული და მისი პირადი კონტაქტებია, იგივე პროგრამის სხვა დოქტორანტისთვის კი ეს ასეთივე დონეზე არაა შესაძლებელი. აქ იკვეთება სამეცნიერო ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი როლი დოქტორანტის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის წინსვლაში. დოქტორანტებმა აქვე დაასახელეს  რიგი პროგრამა, სადაც აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტები ზოგიერთ პროფესორს მუდმივად ჩართული ჰყავს საერთაშორისო საგრანტო პროექტებში; *ამონაგების ნაწილში* - მობილობაში მონაწილეობის შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სამეცნიერო სამსახურთან ერთად უნდა მიიღოს დოქტორანტებისგან სრულყოფილი უკუკავშირი; კვლევების კომერციალიზაცია ნაკლებია, რაც სასურველია გაიზარდოს; ბევრი საუკეთესო მეცნიერის წასვლა საზღვარგარეთის უნივერსიტეტში, საქართველოში მეცნიერი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას, შესაბამისად, იძულებულია დაკავდეს სხვადასხვა საქმიანობით, და არა მხოლოდ სამეცნიერო მიმართულებით. ეს, თავის მხრივ, ართულებს მაღალი რანგის კვლევების წარმოებას, საერთაშორისო დონეზე საკუთარი კვლევის გაზიარებს დარგის უცხოელი სპეციალისტებისთვის და ა.შ. შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის დაფინანსება ხარისხიანი და საერთაშორისო რანგის კვლევის წარმოებისთვის აუცილებელია.

### 2.3 დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა?

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აზრით, სადოქტორო პროგრამა ფასდება სტანდარტულად, შიდა და გარე სტანდარტით. ევროპული სტანდარტების მიხედვით, მესამე საფეხური განსხვავებულად ფასდება, თუმცა საქართველოში (თსუ-ში) ეს ჯერჯერობით ასე არაა. სასწავლო კომპონენტი ფასდება სტუდენტების გამოკითხვით, პროფესორების თვითშეფასების კითხვარით. თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფა არის უნივერსტეტის პოლიტიკა  და დემინგის ციკლის ოთხივე საფეხურზე ხორციელდება შეძლებისდაგვარად. „ჩვენი ქვეყნის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტი არ მიჯნავს განათლების საფეხურებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. თუმცა არის მეორე

და მესამე სტანდარტში ხაზგასმა, მესამე საფეხურის სპეციფიკურობისა სუპერვიზირებისა და კვლევის ხელშეწყობის გაგებით“.

თსუ-ის დოქტორანტების აზრი სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ეტაპების შესახებ განსხვავებულია. ზოგის აზრით, სადოქტორო საფეხურზე არ ხდება კვლევების სწავლება და მხოლოდ საკუთარი ძალით ცდილობს დოქტორანტი კომპეტენციის ამაღლებას ამ მიმართულებით. ზოგის აზრით, პროგრამის ფარგლებში პირველ და მეორე წელს სავალდებულოა სემინარის გაკეთება პარტნიორ უნივერსიტეტში, სადაც არის საერთშორისო ჟიური, დოქტორანტს აძლევენ რჩევებს კვლევის აგებასთან, ჩატარებასა და მეთოლოგიასთან დაკავშირებით, ლიტერატურის მითითებასთან, დასკვნებთან დაკავშირებით და ა.შ. ამ სემინარების საფუძველზე დოქტორანტი თავის კვლევას დაგეგმილად აკეთებს. ასევე, უნივერსიტეტში გაიარეს მეცნიერების მენეჯმენტის კურსი, სადაც ისწავლეს გრანტებზე ინფორმაციის მოძიება, ბიუჯეტის დაგეგმვა და სხვ. თუმცა, საგანი კვლევის შესახებ არ გაუვლიათ. დოქტორანტი აღნიშნავს, რომ ძირითადი ბარიერია სამეცნიერო ხელმძღვანელის ნაკლები ჩართულობა, კვლევის მასალების ხელმისაწვდომობის სიმცირე, რადგანაც ძირითადი სავალდებულო მასალა ფასიანია, არც ფასდაკლებაა დოქტორანტებისთვის. უნივერსიტეტი დოქტორანტს ვერ სთავაზობს სამუშაოს, რომ ფინანსურად უზრუნველყოს კვლევის ჩატარება. გამოქვეყნებებთან ნაკლები პრობლემაა. ზოგის აზრით, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არის სწავლების მეთოდები და აკადემიური წერა, ორივე ეხმარება მათ კვლევის პროცესში. თუმცა, კარგი იქნება ისწავლებოდეს მეთოდოლოგია დარგების გათვალისწინებით, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა, როგორია თანამედროვე სტანდარტები. სხვადასხვა ფაკულტეტზე ალბათ განსხვავებული მიდგომა უნდა იყოს. დოქტორანტმა, ასევე, დაასახელა ფინანსური პრობლემები, საზღვარგარეთ ერთ-ერთი სტაჟირებისას (ბოლონიაში) გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი და საკუთარი თანხის დამატება გახდა საჭირო. ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ პროფესურაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით ამომწურავად მიიღო ინფორმაცია, რასაც ხსნის თავისი დარგის (არქეოლოგია) სპეციფიკით, ისინი ინტენსიურად მუშაობენ როგორც ველზე, ასევე, სულ აქვთ საერთშორისო გრანტები. ზოგი დოტორანტი ამბობს, რომ სასწავლო კომპონენტი გადაჭარბებულიც იყო, რადგან საგნებს ირჩევდა მხოლოდ 60 კრედიტის შესავსებად.

**სტუ** აქცენტს აკეთებს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ღირებულებაზე, სამეცნიერო პროდუქტზე, დამდგარ შედეგზე. აღნიშნეს, რომ დოქტორანტურის პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა რთულია, სპეციფიკური, მაგრამ აუცილებელი და კარგი იქნებოდა ამის მიღწევა. რამდენადაც სადოქტორო საფეხური არის ახალი მეცნიერული ცოდნის მიღების, ახალი პრაქტიკის დანერგვის საფეხური, ის აუცილებლად უნდა იყოს საერთაშორისოდ ცნობადი, აღიარებული და სადოქტორო კვლევა და დოქტორიც აუცილებლად უნდა იყოს კონკურენტუნარიანი ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. ამისათვის მთავარია, შესაბამისი რესურსები (მატერიალურიც და არამატერიალურიც), უნივერსიტეტი ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა დემინგის ციკლის ყველა საფეხურზე აქვთ და ეფექტიანადაც ხორციელდება, რადგან ამის გარეშე უნიერსიტეტი ვერავითარ შედეგზე ვერ გავა.

**სტუ-თვის** ხარისხის უზრუნველყოფა ნიშნავს ამ პროცესში ყველა თანამშრომლის მონაწილეობას – პირველი პირიდან დაწყებული ბოლო თანამშრომლით დამთავრებული. „ეს ნიშნავს, რომ 1) ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, სტანდარტებთან იყოს თავსებადი და 2) თავის საქმეში გაითვალისწინოს სამი წერტილი: პროგრამა, სტუდენტი, პროფესორი, ეს არის მამოძრავებელი უნივერსიტეტისა და არ შეიძლება გამოკლდეს რომელიმე კომპონენტი“. ამ ძირითადი მიზნებიდან უნდა იმუშაოს ყველა რგოლმა: სერვისები, სამეცნიერო ხელმძღვანელი, მონიტორინგის სამსახური.

**ილიაუნი-ს** ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერიდანვე სწავლობენ კვლევას და სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტის სემინარი ეხმარებათ. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ყველა კურსი მისთვის მისაღებია. სხვა ბარიერს სტატიების გამოქვეყნებასთან ან სხვა საკითხთან დაკავშირებით არ ასახელებს. ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ დოქტორანტურაში არის რამდენიმე საგანი, არჩევითიც და სავალდებულოც კვლევის მიმართულებით, ყველა კურსი დამაკმაყოფილებელია და ფარავს თავის შინაარსს, თუმცა, სურვილი გამოთქვა მეტი არჩევითი საგანის არსებობის. ძირითად ბარიერად დაასახალა საკუთარი სამსახური, რასაც დროის უდიდესი ნაწილი მიაქვს და ხელს უშლის აქტიურ სამეცნიერო მუშაობას.

**ბსუ-მ** აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურზე მნიშვნელოვანია კითხვარების სპეციფიკა (დოქტორანტების ყოველსემესტრული გამოკითხვა), სხვა მხრივ, მეთოდი

ძირითადად ყველა საფეხურზე ერთნაირია. შეფასება მუდმივი პროცესია და აუცილებელია.

**თესაუ-მ** აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონკრეტულად ამოწმებს გარე სტანდარტების შესრულებას, პერმანენტულად ამოწმებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობას, სტუდენტის კმაყოფილების დონეს და კურსდამთავრებულებთანაც არის კარგი კომუნიკაცია (პატარა უნივერსიტეტია და ეს მოსახერხებელია). თუმცა, აქვე აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულების უკუკავშირი, რაც ხარისხის შესაფასებლად საუკეთესო ინდიკატორია, არ იძლევა რეალურ სურათს, რადგან, როდესაც ეკითხებიან დაასახელონ, რა დააკლდათ მათ უნივერსიტეტისგან მეტი კონკურენტუარიანობისათვის, რას ისურვებდნენ, რის გამოსწორებას, ისინი მხოლოდ ყველაფრით კმაყოფილებას გამოხატავენ და უნივერსიტეტიამას მიიჩნევს ძირითად პრობლემად. აქვე დაასახელეს შემთხვევები, როდესაც დოქტორის ხარისხი ადამიანებს სჭირდებათ კონკრეტული სამუშაოსათვის, საჯარო სკოლის ან უმაღლესი სკოლის გარკვეულ საფეხურზე მაღალი ხელფასისათვის, რაც არასწორი მიდგომაა. მოტივაცია ეს, ზოგადად, სახელმწიფოს არასწორი მიდგომა (იგულისხმება სამინისტროს მოთხოვნები სკოლის მასწავლებელის ან უსდ პროფესურის კონკურსების მოთხოვნების ნაწილი). კურსდამთავრებულთა უკუკავშირი, შექმნილი პროდუქტი რეალურად უნივერსიტეტს აქვს, მაგრამ მხოლოდ დადებითი, ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ კურსდამთავრებულები თავიანთ უნივერსიტეტს არ ეხმარებიან. ამჟამად უნივერსიტეტს სულ 2 მოქმედი სადოქტორო პროგრამა აქვს: განათლებისა და სასურსათო მიმართულებით. უნივერსიტეტისნებისმიერი საქმიანობა ფასდება სტანდარტულად, იგეგმება, ხორციელდება და შემდეგ მოწმდება.

**სჯსუ-ში** არსებობს სადოქტორო საბჭო, რომელსაც აქვს თავისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე სადოქტორო პროგრამას აქვთ თავიანთი შეფასების კრიტერიუმები, შეფასება ხდება ასევე ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე პროცედურების გავლისას და დაცვის დროს, რომელსაც აგვარებს სადოქტორო საბჭო. უნივერსიტეტი ამბობს, რომ აქტიურად და ეფექტიანად იყენებს დემინგის სრულ ციკლს.

შეჯამება:

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტები სადოქტორო პროგრამების შეფასებისას დემინგის მოდელს იყენებენ განათლების განვითარების ციკლის ოთხივე ეტაპზე(დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება). სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა სტანდარტულად ხორციელდება შიდა და გარე შეფასების მიხედვით, ხოლო აღმოჩენილ ნაკლოვანებებს ასწორებენ ინტენსიურად სადოქტორო დებულებების, სადოქტორო პროგრამების მიღების წინაპირობების განახლებით, ერთობლივი კვლევების დაგეგმვით, დოქტორანტების გამოკითხვით, აკადემიური პერონალის თვითშეფასების კითხვარებით და შედეგების საფუძველზე მაქსიმალურად ცდილობენ (უნივერსიტეტი, პროფესორი, ადმინისტრაცია) გამოასწორონ გამოკვეთილი ხარვეზები. **უნივერსიტეტების** სამსახურებისგან განსხვავებით, დოქტორანტებმა დაასახელეს რიგი პრობლემები, მაგ. კვლევის მეთოდების კურსის არარსებობა, რაც კარგი იქნებოდა შეეთავაზებინა უნივერსიტეტს და რომელიც ეფექტიანად დაეხმარებოდა მათ კვლევის წარმოებაში. ზოგმა დოქტორანტმა თქვა, რომ უნივერსიტეტში იყო ეს კურსი, თუმცა არა მისი დარგისათვის და შესაბამისად, ნაკლებად გამოიყენა. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ერთი უნივერსიტეტის ფარგლებში თუ ერთი სადოქტორო პროგრამის სტუდენტს ეფექტიანად ეხმარება სადოქტორო პროგრამაც, ხელმძღვანელიც, შეთავაზებული კურსები, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა და ა.შ. სასწავლო და კვლევით აქტივობებში, იმავე უნივერსიტეტის სხვა პროგრამის დოქტორანტს არც პროგრამულად აქვს კვლევის და/ან სხვა დამხმარე საგანი, არც შესაბამისი პრაქტიკა, ყველა აქტივობების სათანადოდ განხორციელება უწევს დამოუკიდებლად და არც სხვა ინფორმაციას ფლობს ალტერნატიული გზების შესახებ. დოქტორანტებმა ასევე დაასახელეს საერთშორისო პრაქტიკის დროს გამოყოფილი არასაკმარისი თანხა, შესაბამისად, მათი პასუხების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დემინგის ციკლი ირღვევა ყველა საფეხურზე (გარდა შემოწმებისა) - დაგეგმვის ნაწილში (არასაჭირო საგნების შეთავაზება და საჭირო საგნების არ/ვერ შეთავაზება), განხორციელების ნაწილში (დაგეგემილი მობილობისა თუ საერთაშორისო პრაქტიკის დროს არასაკმარისად გამოყოფილი თანხა, სამეცნიერო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა სადისერტაციო კვლევასთან) და განვითარების ნაწილში

(დოქტორანტები არ ავსებენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რადგან არავის არასდროს გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები).

**ნაწილი 3 ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართება**

**3.1. თუ დევს ინტერნაციონალიზაცია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში? ექვემდებარება ინტერნაციონალიზაცია ხარისხის უზრუნველყოფას?**

**თსუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფიქრობს, რომ ზოგადად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, მათ შორის სადოქტორო საფეხურზე, რამდენიმე ზოგად მიმართებას მოიცავს. მესამე საფეხურს კი აქვს თავისი სპეციფიკური მხარეები. სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფა იგივეა, რაც კვლევის ხარისხი.ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი არ მიჯნავს განათლების საფეხურებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. არის მეორე (საგანამანთლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) და მესამე სტანდარტში (სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა) ხაზგასმა, მესამე საფეხურის გამოხატული სპეციფიურობა სუპერვიზირებისა და კვლევის ხელშეწყობის გაგებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა არის გარე უზრუნველყოფის მსგავსი: სტუდენტების გამოკითხვა, თუ ჯგუფი დიდია, მაშინთსუ იყენებსშერჩევას, თუმცა, ეს არაა ხშირად.

უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის შეფასება ხდება სხვადასხვა დონეზე: გარე შეფასება, როგორც დამფინანსებელი ორგანიზაციების მიერ (ტექნიკურ ნაწილშიც და შინაარსობრივშიც). დამფინანსებელი, მაგ. ევროკავშირი, ყოველთვის ინტერესდება დაფინანსებული პროექტის პროდუქტით, ეს მოწმდება სხვადასხვა დონეზე: თუ დაასრულა დოქტორანტმა სადოქტორო პროგრამა, უნივერსიტეტებს შორის არსებული აკადემიური ურთიერთობები, კონტაქტები თუ გადაიზარდა უფრო დიდ და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონტაქტებში. თსუ აღნიშნავს, რომ უცხოური უნივერსიტეტი ხშირად დაინტერესებულია დოქტორანტის კვლევითი ნაშრომით, რაც სამეცნიერო კავშირების ჩამოყალიბებასა თუ გაძლიერებაში ეხმარება უნივერსიტეტს. სამსახურის წარმომადგენელმა დაასახელა უცხოეთის

რამდენიმე უნივერსიტეტის მიერ გამოხატული სურვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმების გაფორმების შესახებ. ეს გამოიწვია თსუ-ს რამდენიმე დოქტორანტმა, მათმა კვლევითმა პროექტებმა.

თსუ-მ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ცენტრალურ დონეზე არ ამოწმებს სადოქტორო პროგრამების ინეტრნაციონალიზაციას, ეს გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამებში, ფაკულტეტების დოქტორანტურის დებულებებით.

**სტუ** საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ინტერნაციონალზიაციას არ აფასებს ცენტრალურ დონეზე, რადგან თვლიან, რომ ის ფაკულტეტების პრეროგატივაა. აქვე აღნიშნეს, რომ რამდენადაც ახალი ტერმინია და ჯერ კარგი იქნებოდა გააზრება სიღრმისეულად. ჯერჯერობით რასაც ასრულებენ, ესაა მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ინეტრნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად თანამედროვე მოთხოვნები დააკმაყოფილოს, თუმცა, ეს რომ იყოს ეფექტიანი, უნდა არსებობდეს შეფასების ეროვნული მოდელი.

**ილიაუნი-ს** დოქტორანტები ამბობენ, რომ „უნივერსიტეტის სადოქტორო დებულებით ევალებათ სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგული ჟურნალებში, რაც ცოტა რთულია, თუმცა, ბარიერად არ დაასახელეს“. ვარაუდობენ (ვერ დაადასტურეს), რომ გამოქვეყნებებს უნდა ამოწმებდეს ფაკულტეტი. იმპაქტფაქტორიანი ჟურნალების მოძიების ნაწილში დოქტორანტებს ეხმარებიან სამეცნიერო ხელმძღვანელები.

**ბსუ-მ** აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურზე მნიშვნელოვანია კვლევის ხარისხი, დოქტორანტების გამოქვეყნების ხარისხი, რასაც ამოწმებენ თვითონ ფაკულტეტები.

**თესაუ-ს** აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ვალდებულება უნდა იყოს, შექმნას პრეცენდენტები, რომ კვლევები ან წარმოებაში დანერგოს, ან დასაქმების ბაზრის მიერ იყოს ათვისებული. განათლების მესამე საფეხურისიდეაც სწორედა ესაა. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა შეაფასოს კვლევების პრაქტიკაში გამოყენება, და არა მხოლოდ ციტირების ინდექსი, რაც რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა, ხშირად ჩვენს უნივერსიტეტში ბევრი მანკიერი მხარე გამოვლინდა – ხელოვნური ციტირებები და

სხვ. რეალობაა, რომ არსებობს ქართველოლოგური მეცნიერებების ნაკლები ინტერნაციონალიზაციის რეალობა, უნივერსიტეტებმა კი აიღეს საერთშორისო სამეცნიერო ბაზებში მოხვედრის კურსი, თუნდაც კონკრეტული ქართველოლოგიური კვლევა მაინც უნდა იყოს საერთაშორისო. რადგან ნებისმიერ ღირებულ (ქართველოლოგიურ) კვლევას მაინც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს როგორც ქართულ, ასევე ზოგად მეცნიერებაში. მთავარია, გაკეთდეს რეალური კვლევები.

**თესაუ-ს** საგარეო ურთიერთობების სამსახურის აზრით, ინტერნაციონალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანი გახდა ავტორიზაციის სტანდარტების გამო, შესაბამისად, უნივერსიტეტმა საკანონმდებლო დონეზე შექმნა ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს ყოველწლიურად სამეცნიერო აქტივობებს. „ეს არის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, როდესაც არის რაღაც, რაც არ/ვერ შესრულდა, უნივერსიტეტი იკვლევს ამის მიზეზებს და გეგმავს გამოსწორების გზებს“. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების პოლიტიკა ყველა მიმართულებითაა: რექტორატი, პროფესორები, ბიუჯეტი, კანონმდებლობა, სერვისები. უნივერსიტეტი პატარაა და ნებისმიერი პროექტი თანხმდება რექტორატთან და ყველა პროექტი რექტორატისგან მხარდაჭერილია. უნივერსიტეტს აქვს 3 მიმართულება: აგრარული, ტურიზმი და განათლება. რექტორატი ყველა ეფექტიან შემოთავაზებაზე თანახმაა უნივერსიტეტის პრესტიჟისა და ბრენდირების ხელშესაწყობად. ბიუჯეტში ეს გარე ფონდებითაა დაფინანსებული, ცხადია, პრიორიტეტული მიმართულებით: სტატიები ფინანსდება, კვლევები ფინანსდება, ცხადდება გრანტები კვლევების დაფინანსებისათვის და ა.შ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ბევრ საერთშორისო ბაზაშია ჩართული და ასევე, სულ ხორციელდება თანამედროვე კვლევების შესყიდვა, სამეცნიერო კეთილსინდისიერების პროექტის ფარგლებში ჩამოიტანეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (turnitin),რომელიც პლაგიატს ამოწმებს, აკადემიური წერის კურსები, ახალი წიგნები. ფინანსები ხმარდება, ასევე, ადამიანური რესურსის გადამზადებასაც. დღეისათვის უნივერსიტეტი მუშაობს ფსიქოლოგიური სერვისების ჩამოყალიბებაზე. გამოყვეს მეღვინეობის პროგრამა, რომელიც ინტერნაციონალიზაციას ახორციელებს უცხოელი (ბორდოს უნივერსიტეტიდან) პროფესორების ჩართულობით. უნივერსიტეტს აქვს კარგი ლაბოროტორია, თანამედროვე აღჭურვილობით და სულ ცდილობენ

ნებისმიერი პოექტის ფარგლებში პრიორიტეტული მიმართულებით ლაბორატორიული აღჭურვილობის შევსებას.

ასევე აღნიშნეს, რომ დოქტორანტურის დებულებაში გამოქვეყნებების საერთაშორისო რეფერირებასთან დაკავშირებული მოთხოვნა ახალი დამატებულია, რადგანაც ადრე იყო ისეთი გამოქვეყნებები, რომლებიც არც იძებნებოდა ბაზებში, უნივერსიტეტმა რეფორმების საფუძველზე განაახლა სადოქტორო პროგრამები, დოქტორანტურის დებულებები და დოქტორანტების გამოქვეყნებებს დაემატათ აღნიშნული მოთხოვნები. თესაუმ აღნიშნა, რომ ვიდრე მათი დოქტორანტები იმპაქტფაქტორიან გამოცემებში დააპირებენ სტატიების გამოქვეყნებას, ნაშრომი ადგილზე გადის რეცენზირებას. ეს უნივერსიტეტის მოთხოვნაა, სხვაგვარად ვერ დაბეჭდავენ.

სჯსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფა ზოგადად სენსიტიური თემაა და, განსაკუთრებით, მესამე საფეხურისათვის. ერთია, როგორ უნდა უნივერსიტეტის ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფა და მეორეა, როგორ გამოდის ეს პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ფინანსები, კარგი ადამიანური რესურსი, თანამშრომლები, სასურველია, იყვნენ აკადემიური განათლებითაც (მაგ. დაცული ჰქონდეს აკადემიური ხარისხი) სამსახურის შესაბამისი. ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები და აკრედიტაციის ექსპერტების დამოკიდებულებები ზოგჯერ განსხვავებულია, მაგ. ზედმეტად მკაცრად გამოყენება სტანდარტის და ექსპერტების მაკონტროლებელი დამოკიდებულება. ყველა უნივერსიტეტს აქვს სტრატეგია სამეცნიერო კუთხით, თუმცა, ეს სტრატეგიები ხშირად ზოგადია. კვლევები უნდა იყოს კარგად დაგეგმილი, რაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღავნელმა, ან სადოქტორო სკოლამ, რომ ხარისხის სამსახურმა შემდეგ მხოლოდ მონიტორინგი გაუწიოს, რადგან შინაარსში ხარისხის სამსახური არ/ვერ ჩავა.  ხშირია შემთხვევა, როცა დოქტორანტზე ხდება გარკვეული საკვლევი თემის თავსმოხვევა. ასევე, ხშირია, კანდიდატებს სურთ დოქტორანტის სტატუსის მოპოვება, ხოლო შემდეგ ხანგრძლივად, რამდენადაც კანონი აძლევთ საშუალებას, სტატუსის შეჩერება. მართალია, უნივერსიტეტი პატარაა, სადოქტორო პროგრამებიც და დოქტორანტებიც ცოტაა და, შესაბამისად, 90% ორიენტირებულია, დაიცვას სადოქტორო დისერტაცია.

ასევე, მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამების მიზნები, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასუნდა ჰქონდეს რაღაც ნიშა კვლევის მიმართულებით (გზამკვლევი, სტრატეგია ან რამე მსგავსი). ასევე, ე.წ. შიდა მონიტორინგი, მაგ. გარკვეულ დროში ამდენი ნაშრომი უნდა იყოს, ამდენი დაცული უნდა იყოს და ა.შ. მაგ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ იკვლიოს დოქტორანტმა მესხეთ-ჯავახეთის პრობლემატიკა, გაცილებით ეფექტიანად შეძლებს, ვიდრე თსუ-ს დოქტორანტმა. სამწუხაროდ, ხშირია ერთიდაიგივე თემებზედაცული დისერტაციები, შესაბამისად, ქვეყანა ზოგადად, სამინისტრო ჯერ და შემდეგ უნივერსიტეტებიც უნდა შეთანხმდნენ, რომ დასახონ თითეულის გამორჩეული ნიშა, რომ არ მოხდეს ერთიდაიგივე თემის სხვადასხვა ინსტიტუციაში კვლევა. ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში მაღალი ხარისხის კვლევებსაც და განავითარებდა რეგიონალურ უნივერსიტეტებსაც.

სჯსუ-ს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურმა აღნიშნა, რომ აქ მთავარია ტერმინის სწორი გაგება. როგორც ყველა ევროპული უნივერსიტეტისათვის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაციის გაგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიდრე მისი ჯერ განხორციელება და შემდეგ შედეგები. ამ ტერმინის ქვეშ მოქცეულია ბევრი რამ: ინტერნაციონალიზაცია არის ტერმინი მუდმივ განათლებაზე, როგორც განათლების მიღებაზე და ასევე მიწოდებაზეც. სადოქტორო საფეხურზე სტუდენტი უფრო ჩამოყალიბებულია, რამდენადაც მკლვევარია, უფრო იცის რა უნდა. უნივერსიტეტს არ აქვს მდიდარი გამოცდილება დოქტორანტების მობილობის პროგრამაში ხშირი მონაწილეობისა, რადგან დიდი შეფერხებაა მათი დასაქმების ადგილი. დოქტორანტი კვლევის ფარგლებში მინიმუმ 3 თვით უნდა წავიდეს, ხოლო ასეთ დროით ისინი ვერ ტოვებენ სამსახურებს. უწევთ დასაქმებაზე უარის თქმა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი, ამიტომ დოქტორანტები გაცვლით პროგრამებში ნაკლებად მონაწილეობენ. თუმცა, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს შესთავაზოს ბევრი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა: მაგ. ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ყველა საფეხურზე, ერაზმუსის პროგრამები და სხვ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია ჯერ ადგილობრივ დონეზე ფასდება, რაშიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაა ჩართული, მაშინ როდესაც უნივერსიტეტი

საზღვრავს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხოლო შემდეგ დაჯამებულად წარმოადგენს აკრედიტაციის პერიოდში. პროგრამული აკრდიტაციის ერთი კომპონენტია ინტერნაციონალიზაცია, პროგრამების ინტერნაციონალიზაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მისიებში, გაფორმებული მემორანდუმები, თანამშრომლობენ ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით ადგილობრივ და საერთშორისო დონეზე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ჩამოთვლილთაგან ყველა ნაწილში ხორციელდება. აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში ისედაც არსებობდა ინტერნაციონალიზაცია, თუმცა, არ იყო ასე საერთო დოკუმენტი. ხოლო აკრედიტაციის უახლესი სტანდარტების შედეგად შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და უნივერსიტეტი იყენებს ამისთვის ყველა საფეხურს და ყველა რესურსს, ადმინისტრაციულსა და აკადემიურს. უნივერსიტეტი პატარაა, რეგიონალურია და ხშირია პირადი კონტაქტების არსებობის საჭიროება. რეგიონის უნივერსიტეტებს თვითდამკვიდრებისა, სანდოობისა და ბრენდინგისათვის ძალიან დიდი ძალისხმევა და შრომა სჭირდებათ, თუნდაც ერთი გრანტის მოსაპოვებლად, რაც შეიძლება არ დასჭირდეს მაგ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ანუ საკუთარ აკადემიურ პერსონალს კი არ/ვერ ეხმარება უნივერსიტეტი, არამედ პირიქით, კონკრეტული პირი შეიძლება დაეხმაროს უნივერსიტეტს....). აქვე აღნიშნეს, რომ ძველი ტემპუსიდან მოპოვებული 18 საერთაშორისო პროექტია განხორციელებული სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითრების პროექტების ფარგლებში.

**სჯსუ-ში** სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას ამოწმებენ განსხვავებულად, დოქტორანტის მიერ სტატიის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნების წინაპირობაა, ადგილობრივად, უნივერსიტეტში შექმნილი კომისიის მიერ დადებითი შეფასება.

შეჯამება:

სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფა იგივეა, რაც კვლევის ხარისხი. აკრედიტაციის მეორე (საგანამანთლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) და მესამე სტანდარტში (სტუდენტთა

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა) ხაზგასმულია მესამე საფეხურის გამოხატული სპეციფიურობა სუპერვიზირებისა და კვლევის ხელშეწყობის გაგებით. შესაბამისად, უნივერსიტეტების ხარისხსი უზრუნველყოფის მექანიზმებში დევს ინტერნაციონალზიაცია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციის შეფასება ხდება სხვადასხვა დონეზე:

- გარე შეფასება, როგორც დამფინანსებელი ორგანიზაციების მიერ (ტექნიკურ ნაწილშიც და შინაარსობრივშიც)
- დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი
- უნივერსიტეტებს შორის არსებული აკადემიური ურთიერთობები, კონტაქტები
- უნივერსიტეტის სადოქტორო დებულებით გათვალისწინებული სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგული ჟურნალებში
- ციტირების ინდექსი, მიუხედავად იმისა, რომ არის ხელოვნური ციტირებების პრაქტიკა
- საერთშორისო სამეცნიერო ბაზებში მოხვედრის კურსი, თუნდაც სპეციფიკური (ქართველოლოგიური) მიმართულებისა, რადგან კვლევა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იყოს საერთაშორისო

საერთო დასკვნაა ის, რომ უნივერსიტეტები ცენტრალურ დონეზე ნაწილობრივ ამოწმებენ სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, ეს ძირითადად გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამებში, ფაკულტეტების დოქტორანტურის დებულებებით. აღსანიშნავია, რომ ყველაუნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაცია და უნივერსიტეტებიც ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას ცდილობენ ყველა მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი რესურებისა და შესაძლებლობების მიხედვით. საუნივერსიტეტო ბიუჯეტით ცდილობენ დააფინანსონ პროფესორებისა და/ან დოქტორანტების გამოქვეყნებები იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. აქვე აუცილებლად უნდა დავასახელოთ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, რომლებიც ჩართულია ბევრ საერთშორისო ბაზაში და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ თანამედროვე კვლევებსა და ლიტერატურას და დოქტორანტებს აქვთ საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება.

3.2. დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეააფსე და განავითარე) რომელ ეტაპზე ხდება ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება?

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამბობს, რომ ინტერნაციონალიზაციას არ ამოწმებენ ცენტრალურ დონეზე. უნივერსიტეტს არ აქვს რაიმე შეზღუდვა, თუ რაიმე სპეციფიკაა ამას კონკრეტული დარგი არეგულირებს თავისი სტანდარტით.

თსუ-ს ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ სწავლების ხარისხის შემოწმების შესახებ არაფერი იცის, არც დაუვალებიათ, არც უკითხავთ, თუმცა, გამოთქვა სურვილი, რომ დოქტორანტი ჩართული უნდა იყოს ამაში. სხვა დოქტორანტის აზრით, სწავლის ხარისხის შემოწმება ხდება სემინარებისა და კოლკვიუმების შეფასების საფუძველზე, რაც სადოქტორო პროგრამებშია. ამის გარდა დაასახელა პროფესორების მიერ ინტენსიურად შემოწმება საკუთრი სამეცნიერო ბაზისა; თუ სად გამოაქვეყნეს სტატია, თუ მიიღეს გრანტიდაა.შ. სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ დოქტორანტურაში ჩაბარებისას მოითხოვეს გრაფიკი, ყველა სემესტრში რის გაკეთებას გეგმავდნენ, თუმცა, შემდეგ არავის შეუმოწმებია, გეგმას ასრულებდა თუ არა (!). სხვა შემოწმების შესახებ არ იცის და აქვე აღნიშნა, რომ რომც ამოწმებდებს უნივერსიტეტი სტატიებს, შინაარსობრივად მაინც არ შეამოწმებსო. სხვა დოქტორანტმა აღნიშნა, რომ დოქტორანტების გამოკითხვა კი ტარდება, თუმცა არაა სავალდებულო და შესაბამისად, მცირე რაოდენობა მონაწილეობს. გარდა ამისა, გაცვლით პროგრამაში მონიწილეობა არ შეუმოწმებიათ შინაარსობრივად, პროგრამის დასრულების შემდეგ იყო კითხვარი 5 წუთიანი ზედაპირული, ზოგადი კითხვებით. ანუ ძირითადად, შემოწმებას აქვს არა უკუკავშირის ეფექტი, არამედ დოკუმენტის ეფექტი.

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფამაც იგივე თქვა, რომ არ ამოწმებენ ინტერნაციონალიზაციას ცენტრალურ დონეზე. არავითარი ბარიერი არ აქვს უნივერსიტეტს. დოქტორანტებისთვის სავალდებულოა სამი სტატიიდან ერთი იყოს ინდივიდუალური, დანარჩენი შესაძლოა დაბეჭდოს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის გარკვეული მიმართულებები, მაგ.

ინჟინერია, სადაც დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად სტატიის გამოქვეყნება უღრესად რთულია.

**სტუ-ს** ზოგი დოქტორანტი აცხადებს, რომ სასწავლო კომპონენტის შეფასება მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა. აქვე დაასახელა ყოველი სემესტრის ბოლოს ე.წ. კონფერენციები, სადაც ყველა დოქტორანტი ამბობს რა მიიღო, რა ისწავლა, რა არის გამოსასწორებელი. ამ შეხვედრას ესწრებიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და ე.წ. ჟიური, პროფესორებისაგან შემდგარი. გარდა ამისა, დაასახელა უნივერსიტეტის რეცენზირებული გამოცემა, სადაც მოწმდება დასაბეჭდი სტატია ფაკულტეტის საბჭოს ან ხარისხის სამსახურის მიერ პლაგიატზე. გარდა ამისა, რეცენზენტი აკეთებს დასკვნას და ამის შემდეგ იბეჭდება საუნივერსიტეტო გამომცემლობაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტატიების შესაბამისობას სადისერტაციო ნაშრომთან. დოქტორანტებმა არ იციან შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. სხვა დოქტორანტი ვარაუდობს, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა ამოწმებდეს გამოსაქვეყნებელ სტატიებს, ან სწავლების მონიტორინგის ჯგუფი. რამდენად ხარისხიანად ხდება შემოწმება, ეს დოქტორანტებმა არ იციან. დაასახელეს ერთი სიახლე, ყველა ლექციის ვიდეოჩანაწერის არსებობა, რაც, თავის მხრივ, იქნება გარკვეული შემოწმება. დოქტორანტებმა არ იციან კონკრეტულად რომელი სამსახური შეამოწმებს ამ ვიდეოჩანაწერებს, ან რა კრიტერიუმებით, თუმცა რომ მოწმდება, ამას ადასტურებენ. ყველამ დაასახელა, რომ კურსების გავლის შემდეგ არის გამოკითხვა, თუმცა არაა სავალდებულო და აქტივობაც დოქტორანტების მხრიდან დაბალია.

**ილიაუნის** ზოგ დოქტორანს ზედაპირული ინფორმაცია აქვს უნივერსიტეტის მხრიდან სტატიების ან სამეცნიერო აქტივობების შეფასების შესახებ. ზოგადად, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტები ყველაზე ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ. ზოგი დოქტორანტი აღნიშნავს, რომ ხდება შემოწმება, თუმცა როგორ, ეს არ იცის. იცის ის, რომ არ მოწმდება შინაარსი, მხოლოდ გამოცემების წონადობა. ძირითადად ზედაპირული ინფორმაცია აქვს. აქვე დაასახელა, რომ უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს საგნების შესახებაც და უნივერსიტეტის სერვისების შესახებაც.

**ბსუ** ამბობს, რომ ამ პროცესს აკონტროლებენ: ხარისხის სამსახურიც, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესურა. მოწმდება გამოქვეყნებების რეიტინგულობა, scopus-ის ბაზებში არსებობა, იმპაქფაქტორი და სხვ. თუმცა, გამოქვეყნებების შინარსში არ/ვერ შედიან, შინაარს ამოწმებს სამეცნიერო ხელმძღვანელი. უნივერსიტეტში ავტორობის ან თანაავტორობის არც შეზღუდვაა და არც ვალდებულება.

**ბსუ-ს** დოქტორანტები ძირითად შემაფსებლად ასახელებენ აკრედიტაციის პროცესს, რამდენადაც თავად მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, როგორც დოქტორანტები. ახლა მათ ნაკლები კონტაქტი აქვთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაძლოა ეს პანდემიის გამო იყოს. მათი აზრით, ბსუ ნებისმიერი სახის შეფასებას აკეთებს სტანდარტულად, მაგ. პროფესორების სამეცნიერო საქმიანობა მოწმდება ხარისხის სამსახურის მიერ. ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ ხდება სტატიების შემოწმება იმპაქტფაქტორის მიხედვით. შერჩევა ხდება ხარისხის სამსახურიდან, უნივერსიტეტსაქვს ვებგვერდი, სადაც დოქტორანტებიც და პროფესორებიც ათავსებენ ხოლმე სამენციერო აქტივობებს, გრანტებში მონაწილეობას, პროექტებში მონაწილეობას, სტატიებს და ა.შ. ამ აქტივობას კი ამოწმებს ადმინისტრაცია (დოქტორანტი არის მასწავლებელიც  უნივერსიტეტში ფლობს ბევრ ინფორმაციას ფ.ვ.). უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ დოქტორანტების გამოკითხვა სტანდარტულად ტარდება ყოველწლიურად, თუმცა მას არ მიუღია მონაწილეობა. ასევე არ მიუღია მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, აპირებს. აქვე აღნიშნა, რომ  ინფორმაციის ნაკლებობაა. თუმცა იცის, რომ ერაზმუსის პროგრამებში მონაწილეობენ სხვა დოქტორანტები და, სავარაუდოდ, თვითონაც მიიღებს მონაწილეობას.

**თესაუ-ს** დოქტორანტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არის სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დოქტორანტები უგზავნიან სტატიებს, რომელსაც განიხილავენ და აკეთებენ გარკვეულ დასკვნებს, ან დადებითს, ან უარყოფითს. დოქტორანტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ რეცენზირებული სტატია გაგზავნა უცხოეთში, იმპაქტფაქტორიან ჟურნალში დასაბეჭდად და დაიბეჭდა. დოქტორანტების გამოკითხვაც სტანდარტულად სულ ტარდება, თუმცა, ნაკლები აქტივობით. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტს არ მიუღია მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რადგან თვლის, რომ ადგილობრივი კვლევა სავსებით საკმარისია.

სჯსუ ამბობს, რომ ფაკულტეტები უზრუნველყოფენ ამ საკითხს, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, სამეცნიერო სამსახური, დარგის პროფესურა და ა.შ. უნივერსიტეტს არანაირი შეზღუდვა გამოქვეყნებებთან დაკავშირებით არ აქვს.

სჯსუ-ს დოქტორანტი ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ავსებინებს კითხვარებს, თუმცა, ეს ფორმალური პროცესია, ნებისმიერი რამის დაწერა შეუძლია დოქტორანტს, ანუ არაა გულწრფელი. დოქტორანტმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურაში ჩაბარებისას უნივერსიტეტი გადიოდა აკრედიტაციას და ადმინისტრაცია ინტენსიურად ესწრებოდა ლექციებს, ზომავდნენ ყველაფერს და ა.შ. ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა მიიღო აკრედიტაცია, ეს პროცესი გახდა ფორმალური. სტატიები პლაგიატზე მოწმდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. დოქტორანტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი საკუთარი პროფესურის სამეცნიერო აქტივობის შემოწმებას უფრო ინტენსიურად ახდენს, ვიდრე ვიდრე დოქტორანტებისას. დოქტორანტების გამოკითხვა ტარდება სტანდარტულად, თუმცა ფორმალურია, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არც მიუღია და მაინცადამაინც არც აპირებს.

შეჯამება:

დასაწყისითვის უნდა აღვნიშნო, რომ კითხვაზე პასუხი ძირითადად ვერ მივიღე, თუმცა, რამდენიმე რეგიონალურმა უნივერსიტეტმა მიპასუხა შედარებით ამომწურავად. უნივერსიტეტების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტების აქვთ მისიებსა და სტარტეგიებში - **ანუ დაგეგმვის ნაწილში,** ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინეტრნაციონალიზიციას - **ანუ განხორციელებისა და შეფასების ნაწილში.** თუმცა, დემინგის შეფასების ციკლის კონკრეტულად რომელ ეტაპზე აკავშირებენ ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერანციონალიზაციას, ზუსტი პასუხი ვერ მივიღე.

დოქტორანტების მხრიდან კი გამოიკვეთა პრობლემები, რომლის მიხედვითაც, ინტერნაციონალიზაციასთან ხარისხის კავშირი ნაკლებია, მაგ.: **განხორციელების ნაწილში** - სწავლების ხარისხის შემოწმების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია, თუმცა, არის ყოველსემესტრული გამოკითხვები, რომელიც არაა სავალდებულო და

ძირითადად არ იცნობიან მის შინაარსს, შესაბამისად, მათი მხრიდან აქტივობა დაბალია; **შეფასების ნაწილში** - დოქტორანტურაში ჩაბარებისას დოქტორანტებს მოეთხოვბათ გრაფიკი, ყველა სემესტრში (დასრულებამდე) თუ რის გაკეთებას გეგმავდნენ, თუმცა, შემდეგ არავის შეუმოწმებია; გამოიკვეთა დოქტორანტების ნაკლები ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და/ან ინტერნაციონალიზაციის შესახებ; გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემოწმება არ ხდება შინაარსობრივად, პროგრამის დასრულების შემდეგ უტარდებათ ზედაპირული კითხვარი, შესაბამისად, ასეთ შემოწმებას არა აქვს უკუკავშირის ეფექტი; არის გარკვეული მიმართულებები, სადაც დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელად სტატიის გამოქვეყნება უღრესად რთულია.

აქვე, დაასახელეს ლექციის ვიდეოჩანაწერის არსებობა, რაც, თავის მხრივ, იქნება გარკვეული შემოწმება ჩატარებული ლექციის ხარისხისაც, დოქტორანტების აქტიურობისაც, რამდენად საინტერესო და საჭიროა დოქტორანებისთვის აღნიშნული კურსი და ა.შ. დოქტორანტმა არ იცის, კონკრეტულად რომელი სამსახური შეამოწმებს ამ ვიდეოჩანაწერებს, ან რა კრიტერიუმებით. გამოიკვეთა, ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტები უფრო აქტიურად ერთვებიან ხარისხის უზურნველყოფისა და ინტერნაციონალიზაიცის პროცესში, ესწრებიან ლექციებს, ზომავენ ყველა აქტივობას დოქტორანტებისას თუ პროფესორებისას, თუ სააკრედიტაციო პერიოდია, სხვა შემთხვევაში ძირითადი მოთხოვნების შესრულებას ამოწმებენ სტანდარტულად. ზოგ რეგიონალურ უნივერსიტეტში არის სპეციალური ჯგუფი, რომელიც განიხილავს დოქტორანტების სტატიებს, აკეთებენ გარკვეულ დასკვნებს, ან დადებითს, ან უარყოფითს. შესამჩნევია, რომ რეგიონალურ უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციის პროცესს ამოწმებენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესურა. მოწმდება გამოქვეყნებების რეიტინგულობა, scopus-ის ბაზებში არსებობა, იმპაქფაქტორი და სხვ. თუმცა, გამოქვეყნებების შინარსში არ/ვერ შედიან. ასევე, დაასახელეს უნივერსიტეტების პროფესორების მიერ ინტენსიურად შევსება საკუთარი სამეცნიერო ბაზისა: სად გამოაქვეყნეს სტატია, თუ მიიღეს გრანტი, თუ დაწერეს წიგნი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტების ნაწილი არ თვლის აუცილებლად საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობას, რადგან თვლის, რომ ადგილობრივი კვლევა სავსებით საკმარისია. ეს ფაქტი, ბუნებრივია,

უცნაურია, რადგან თემატიკის მიუხედავად, წარმოუდგენელია დოქტორანტმა გააკეთოს კვლევა, რომელსაც არ დასჭირდება საერთაშორისო შეფასება, უცხელი პროფესორების, დარგის სპეციალისტების მიერ.

**3.3. ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის შეფასების დაკავშირებისას თუ ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტები ნაითის ზოგადი სისტემური მოდელით (შენატანი, პროცესი, ამონაგები)?**

**თსუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს, რომ შემოწმება ხდება სტანდარტულად.

**თსუ-ს** ყველა დოქტორანტმა დაასახელა დოქტორანტის საბოლოო შეფასების კრიტერიუმად მათ მიერ ჩატარებული კვლევები, კვლევის შედეგების ამსახველი გამოქვეყნებები, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ხილვადობა.

**სტუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც ადასტურებს, რომ შემოწმება ხდება სტანდარტულად.

**სტუ-ს** დოქტორანტები ერთხმად აღიარებენ, რომ ინტერნაციონალიზაციას ნამდვილად სჭირდება შეფასება, უნდა შეიქმნას კომისიები და ამაში აქტიურად იყოს ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ზოგი დოქტორანტი ამბობს, რომ ეს აუცილებელია, რადგან დოქტორანტი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს მსოფლიო ბაზარზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა ატარებდეს სტუდენტების გამოკითხვებს არა მხოლოდ ადგილობრივი სტუდენტებისას, არამედ უცხოელი სტუდენტებისაც. უნივერსიტეტიეყრდნობა ISO-სტანდარტებს, რომლებიც სულ იცვლება, შესაბამისად აუცილებელია მუდმივი კომუნიკაცია უცხოეთთან, ანუ ინეტერნაციონალიზაცია აუცილებელია. უნივერსიტეტის სხვა დოქტორანტი ამბობს, რომ ადრე არ უფიქრია ამაზე, თუმცა ახლა ფიქრობს, რომ ინტერნაციონალიზაციის შეფასება აუცილებელია. ზუსტად კრიტერიუმები არ იცის და ფიქრობს, რომ უნდა შეაფასოს უფრო მეტად უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურმა (!). უნივერსიტეტის ზოგი დოქტორანტის აზრით, ინტერნაციონალიზაცია უნდა გაიზომოს კვლევების მიხედვით, როგორ ჩატარდა, რა შედეგი დაიდო, აქტუალობა როგორია, საერთაშორისო კვლევა თუ არის და ა.შ. ძირითადად, შემფასებელი უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აქვე აღნიშნა, რომ მხოლოდ

საზღვარგარეთის უნივერსიტეტი არ უნდა იყოს კრიტერიუმი, საზღვარგარეთის წონადი უნიევრსიტეტი, რომელიც კონკრეტული დარგისთვის იქნება პრიორიტეტული.

ძირითადად, ყველა დოქტორანტმა ინტერნაციონალიზაციის დადასტურებად დაასახელა კვლევების საერთაშორისო ხილვადობის, ან პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი კვლევები, რადგან მეცნიერება არ არის ლოკალური.

**ილიაუნის** ზოგმა დოქტორანტმა არ იცის ზუსტად შეფასების შესახებ, თუმცა ვარაუდი გამოთქვა, რომ შეაფასოს დარგობრივმა კომისიამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმაც. აქვე აღნიშნა, რომ, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები უფრო შინაარსში ჩავიდეს. უცხოელის ჩართულობა სასურველი იქნებოდა, პროცესი ასე უფრო ეფექტიანია. სხვა დოქტორანტმა თქვა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა დაიგეგმოს და გაიწეროს, თუ როგორ შეიძლება შესრულდეს სამი წლის ვადაში სადოქტორო კვლევის დასრულება, რადგან ქაოტური ინფორმაცია აქვთ და გზადაგზა ერკვევიან საკუთარ ვალდებულებებში. უნდა იყოს ფინანსური უზრუნველყოფა, რადგან დოქტორანტი ქმნის დოვლათს და თუ უნივერსიტეტს, ქვეყანას უნდა ეს სიახლე იყოს გამოყენებადი და ხარისხიანი, სხვა სამსახურში დაკავებული დოქტორანტი ამას დროულად და ხარისხიანად ვერ შეძლებს.

**ბსუ** ამბობს, რომ აკადემიურ პერსონალს ამოწმებენ მათი სამეცნიერო აქტივობის მიხედვით უნივერსიტეტის პორტალზე. აკადემიური პერსონალი თვითონ ტვირთავს თავიანთ აქტივობებს, ხოლო შემდეგ მას ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**თესაუ-მ** აღნიშნა, რომ ძირითადად მეცნიერებათა აკადემიის შეფასებებია, ყოველწლიური სამეცნიერო აქტივობები, ე.წ. თვითშეფასების კითხვარები, რომლებსაც გზავნიან მეცნიერებათა აკადემიაში და უსდ იღებს უკუკავშირს. უნივერსიტეტის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 2 წლის უკუკავშირი მეცნიერებათა აკადემიიდან არის საკმაოდ პოზიტიური. თუმცა, აქვე ხაზი გაუსვა, რომ აკადემიურ პერსონალსაც სჭირდება საკანონმდებლო ვალდებულება, ანუ ზემოდან მართვის პრინციპი, სხვა შემთხვევაში გაცილებით ნაკლები პროცენტი იქნებოდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობაში. უნივერსიტეტის რექტორატი

აქტიურადაა ჩართული მეცნიერების ხელშეწყობაში: გარკვეული რაოდენობით აკადემიური პერსონალის სტატიები დაფინანსდა, რომლებიც გამოქვეყნდა scopus-ის ან მსგავს ბაზებში, ასევე ყველაზე მაღალი ქულა აქვთ ციტირების ინდექსზე (რომელიც ფაქტობრივად მექანიკურია, თუმცა გარკვეულ შედეგს მაინც იძლევა).

თესაუ-ს დოქტორანტი ამბობს, რომ ინტერნაციონალიზაცია დასტურდება იმპაქტფაქტორიანი გამოქვეყნებით. ზოგადად, შემფასებელი უნდა იყოს ჯგუფი: ხარისხის სამსახური, სამეცნიერო სამსახური, ფაკულტეტის პროფესურა. ფაკულტეტი უნდა ზომავდეს ინტერნაციონალიზაციის ხარისხს შინაარსობრივად, რამდენად საჭიროა ესა თუ ის კვლევა და რამდენად სიახლის მომტანია დარგის განვითრებისთვის ქვეყანაში და მსოფლიოში.

სჯსუ-მ უპასუხა, რომ ყველა სახის შემოწმება ხდება სტანდარტულად.

სჯსუ-ს დოქტორანტის აზრით, უნივერსიტეტის მხრიდან აუცილებელია ინტერნაციონალზიაციის შეფასება. ხშირია შემთხვევა, რომ საზღვარგარეთის ბევრი გამოცემაა, სადაც მარტივად ხდება სტატიების გამოქვეყნება, მაგრამ საერთოდ არ იძებნება არც ერთ ბაზაში, შესაბამისად, აუცილებელია შეფასება. დოქტორანტის აზრით, ეს ხარისხისა და სამეცნიერო სამსახურების პრეროგატივაა. რაც შეეხება უცხელი ექსპერტის ჩართულობას, ეს ძალიან კარგი იქნებოდა. დოქტორანტს აქვს ინფორმაცია მხოლოდ უცხოელი ხელმძღვანელის ყოლის შესახებ. უნივერსიტეტის რამდენიმე დოქტორანტს ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი და ისინი ამოწმებენ ერთმანეთის დოქტორანტების შრომებს, რაც ძალიან კარგ შესაძლებელობად დაასახელა.

შეჯამება:

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტები ნაითის შეფასების მოდელს არ იყენებენ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფა ხდება დემინგის ციკლის მიხედვით. გარდა ამისა დაასახელეს:

- დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევების, კვლევის შედეგების ამსახველი გამოქვეყნებების შეფასება
- უნივერსიტეტები მიერ ISO-სტანდარტების გამოყენება
- უცხოელი პროფესორის ჩართულობა პროცესის ეფექტიანობისთვის

- მეცნიერებათა აკადემიის შეფასებების, ანგარიშების მომზადება და უკუკავშირის მიღება.

დოქტორანტებმა გამოკვეთეს შემდეგი პრობლემები:

- აუცილებელია დოქტორანტი იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე
- მხოლოდ საზღვარგარეთის უნივერსიტეტი არ არის კრიტერიუმი, მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის წონადი უნივერსიტეტი, რომელიც კონკრეტული დარგისთვის იქნება პრიორიტეტული
- აუცილებელია დაიგეგმოს და გაიწეროს, თუ როგორ შეიძლება შესრულდეს სამი წლის ვადაში სადოქტორო კვლევა, რათა ქაოტური ინფორმაციაარ იყოს და გზადაგზა ერკვეოდნენ დოქტორანტები საკუთარ ვალდებულებებში
- ხშირია შემთხვევა, საზღვარგარეთის ბევრი გამოცემაში სტატიების მარტივად გამოქვეყნება, რაც საერთოდ არ იძებნება არც ერთ ბაზაში
- აუცილებელია სადოქტორო საფეხურის ფინანსური უზრუნველყოფა, კვლევების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის

ძირითადად, ყველა დოქტორანტმა ინტერნაციონალიზაციის დადასტურებად დაასახელა კვლევების საერთაშორისო ხილვადობა, ან პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი კვლევები. გამოითქვა აზრი, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა ატარებდეს უცხოელი სტუდენტების გამოკითხვასაც, რაც ძალიან კარგი საზომი იქნებოდა უნივერსიტეტებისთვის ხარისხის ამაღლების კუთხით. ინტერნაციონალიზაცია სასურველია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურმა (ზუსტად კრიტერიუმები ვერ დაასახელეს). აუცილებლად უნდა დავასახელოთ ერთი უნივერსიეტის მიერ მოყვანილი ფაქტი, როდესაც უნივერსიტეტი ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერებათა აკადემიიდან იღებს საკმაოდ პოზიტიურ უკუკავშირს, რაც უნივერსიტეტის სწორ და ეფექტიან მუშაობად ითვლება ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილშიც და ინეტერნაციონალიზაციის ნაწილშიც. დოქტორანტებმა უაღრესად ხელშემწყობად დაასახელეს უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობა, ასევე დაასახელეს ეფექტიანი პრაქტიკა, როდესაც დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები ამოწმებენ/აფასებენ ერთმანეთის დოქტორანტების შრომებს.

3.4. თუ არის საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი? ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცი თუ ხდება?

თსუ-ს ხარისხის უსზრუნველყოფის სამსახურის აზრით, ეს კავშირი პირდაპირია. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უკანასკნელი დროის დასკვნები, სწორედ ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას ეხება. ინტერნაციონალიზაციის ნაწილში იგულისხმება, რომ კვლევა არ უნდა იყოს ლოკალური, მიუხედავად მისი თემატიკისა, მას მაინც უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ხილვადობის შესაძლებლობა. ხოლო, ხარისხის ნაწილში იგულისხმება: სწავლის შედეგები, შინაარსი და ა.შ. ასევე, სასურველია, უცხოელი ექსპერტების ჩართულობა, რაც უნივერსიტეტისთვის კარგი გამოცდილებაა და თავისთავად ინტერნაციონალიზაციაცაა. თსუ პროგრამული შეფასების დროს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის ელემენტს, ზოგი პროგრამა ინტერნაციონალიზაციის ძლიერ კომპონენტს (ერთობლივ კვლევებს, უახლესი ლიტერატურის გამოყენებას, უცხოელი ექსპერტების ჩართულობას, სტუდენტებისა და პროფესორების ორმხრივ მობილობას და ა.შ.) ადასტურებს, ზოგი - ნაკლებად, მაგრამ აუცილებლად ადასტურებს.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის აზრით, ეს კავშირი არის ყველა საფეხურზე, და განსაკუთრებით, მესამე საფეხურზე, ძირითადად მობილობის ნაწილში. ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა ვერ იქნება ცალ-ცალკე, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ამყარებენ. ინტერნაციონალიზაცია არის ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას. უცხოელი პორფესორის, კოლეგის, ექსპერტის ჩართვა გარდაუვლად აუცილებელია, როგორც უნივერსიტეტის გლობალური მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ინტერნაციონალზიაციის შეფასებას პერიოდულად ერაზმუსის სააგენტო, ყველა დამფინანსებელი ორგანიზაცია აკეთებს, რომელიც თანამშრომლობს თსუ-თან, უნივერსიტეტიც აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშებს, ასევე, ანგარიშებს ავტორიზაციის პერიოდში. თუმცა, სურვილი გამოითქვა, რომ კარგი იქნებოდა ყველა ძირითადი მიმართულებისთვის რამე საერთო შემფასებელი სტრუქტურის არსებობა, რომელსაც დასჭირდება მაღალი კომპეტენციის

თანამშრომლები და დამატებითი ფინანსები, რაც რთულად განხორციელებადია, მაგრამ სასურველი იქნებოდა. „ეს შრომატევადი საქმეა, რამდენადაც სამსახურის თანამშრომლების შეფასების პროცესში შინაარსშიც უნდა ჩავიდნენ, რომ შეფასებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური დატვირთვა. აქვე აღნიშნეს, რომ არ შეიძლება მონიტორიგზე დაიხარჯოს უფრო მეტი დრო და რესურსი, ვიდრე პროექტების განხორციელებაზე, ანუ არ უნდა იყოს ბიუროკრატია (ფურცლომანია). ინტერნაციონალიზაციის შეფასება, სასურველია იყოს გაზომვადი, მოწმდებოდეს შინაარსობრივად, რითაც უნივერსიტეტისრულად მთლიანობაში დაინახავდა ნაკლოვანებებს". როდესაც უმაღლესმა სასასწავლო დაწესებულებამ იცის რა აკლია, მარტივია მისი გამოსწორების გზების მოძებნა და განხორციელება და თუ ამ მიზანს მოემსახურებოდა ასეთი შემფასებელი სტრუქტურა, ეს მართლაც ეფექტიანი იქნებოდა.

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კვეთა არის, მაგრამ არა რომელიმე მხარის უპირატესობით, არამედ ურთიერთ გაძლიერებით, დახმარებით. ისინი საგანმანათლებლო პროგრამებში ხშირად რთავენ უცხოელ პროფესორს. რაც შეეხება შეფასებას, ეს უნდა ხდებოდეს სხვადასხვა საფეხურზე (სხვადასხვა სამსახურის ჩართულობით) და, თავისი მხრიდან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც შეამოწმებს.

სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აზრით, შეუძლებელია ერთ სტრუქტურას დაავალო ის, რაც თვითონ უნდა შეამოწმოს, შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სამსახური. კავშირი ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის არის ახლაც და მომავალშიც იქნება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისწარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უფრო მნიშვნელოვანია გარე შეფასება ობიექტურობის გამო. ინტერნაციონალიზაციის პროცესი, სასურველია, განახორციელოს სასწავლო სამსახურმა და ხარისხის სამსახურმა კი - შეაფასოს. აქვე დაასახელეს დასავლეთის პრაქტიკა, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სააგენტოა, ჩვენს სივრცეში ერთი სააგენტოს არსებობაც არის გარკვეული პრობლემა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აზრით, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება ყოველთვის უმჯობესია, ჩვენი ქვეყნის თუ სხვა ქვეყნისა. აქაც მოიყვანეს აშშ-ს მაგალითი, სადაც

დარგების მიხედვით სხვადასხვა სააგენტო აფასებს (მაგ. ინჟინერიას ამოწმებს ცალკე სააგენტო, პროფესიულ სასწავლებლებს სხვა), რაც უფრო ეფექტიანია და ჩვენი ქვეყნის ყველა უსდ უნდა მივიდეს აქამდე. აქვე გამოიკვეთა ერთი პრობლემა, უნივერსიტეტმაუნდა შეიმუშაოს კადრების გადამზადების პოლიტიკა, კარგად დაგეგმოს, რომ მის მიერ გაცემული თანხა კადრის გადამზადებისათვის სრულიად უნდა პასუხობდეს ადგილობრივ მოთხოვნებს და არ დადგეს ის რეალობა, როდესაც გადავამზადებთ კადრს ისეთი მიმართულოებით, ან განუვთარებთ მათ ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც არ შეესაბამება რეალურ საჭიროებებს. არ შეიძლება თავის მოტყუება. ასე ხდება, „როდესაც უსდ გადაამზადებს კადრებს, მაგ. უშვებს გაცვლით პროგრამით, ან სტაჟირებით უცხოეთში და იქ მიღებული კომპეტენციები სულაც არ სჭირდება ადგილობრივ უნივერსიტეტს“.

**ილიაუნი** ხარისხის უზრუნველყოფა და ინტერნაციონალიზაცია ერთმანეთს უნდა უწყობდეს ხელს, თუ ინტერნაციონალიზაცია იქნება მაღალი ხარისხის, ის კარგ შედეგებს მოიტანს. მაგალითად, თუ დოქტორანტი მაღალი დონის უნივერსიტეტში გაივლის სტაჟირებას, ეყოლება მაღალი დონის მრჩეველი, სუპერვიზორი და ა. შ. თუ ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულია ინტერნაციონალიზაცია, მაგალითად, უცხოელი კოლეგები აფასებენ ხარისხს, საერთაშორისო სტანდარტებს ვიყენებთ ხარისხის შესაფასებლად, მაშინ ის გაუმჯობესდება.

**ბსუ-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აზრით, ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ერთმანეთს აძლიერებენ და არც შეიძლება მათი განცალკავებულად მოაზრება. სადოქტორო საფეხური განსხვავებულია იმით, რომ აქ მოთხოვნები გაზრდილია გამოქვეყნებების, უცხოელი რეცენზენტების და ა.შ. შემდეგ მიმართულებით, შესაბამისად, აქ ინტერნაციონალიზაცია უფრო გაძლიერებულია, ანუ უფრო უკეთ მართვადია (სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების რაოდენობაც შედარებით ნაკლებია). რაც შეეხება უცხოელი პროფესორის, ექსპერტის ჩართულობას, სასურველიცაა და უცილებელიც, თუმცა ფუფუნებაც, რადგან გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული. „უნივერსიტეტს აქვს უცხოელი კოლეგების საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის კარგი გამოცდილება, პროგრამებში ჩართული უცხოელი

პროფესურა ინტენსიურად აწვდის მათ რჩევებს, რეკომენდაციებს, უზიარებენ გამოცდილებას. არის ისეთი რჩევებიც, რაც შეიძლება არც იყოს რელევანტური ადგილობრივი კონტექსტისთვის", თუმცა აღსანიშნავია, რომ ცვლილებებსაც სჭირდება დრო.

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის აზრით, ინტერნაციოანლიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა ურთიერთკავშირშია, თუმცა, გასარკვევია, ეს კავშირი ფორმალურია, თუ მხოლოდ კონრეტული სიტუაციიდანაა გამომდინარე. ძირითადად ისინი ურთიერთკავშირიშია, რადგან სადისერტაციო ნაშრომი დიდწილადაა დამოკიდებული კარგ სამეცნიერო ხელმძღვანელზე. უცხოელი ექსპერტის ჩართულობის ძალიან კარგი გამოცდილება აქვს უნივერსიტეტს. რაც შეეხება შეფასებას, უმჯობესია შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი სხვადასხვა სამსახურებიდან და მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან. მთავარია, ჯერ უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს შემოწმებს გზები, მეთოდები, პროცესი, რა ნაწილში და ვინ და როგორ აფასებს.

თესაუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აზრით, ეს კავშირი უპირველესად, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტითაა განპირობებული თუმცა, არის გარკვეული აღქმის პრობლემა, რასაც მივყავართ ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალზიაციის კულტურის ნაკლებობამდე. ინტერნაციონალიზაციაში გულისხმობენ საერთაშორისო, წონად, იმპაქტფაქტორიან გამოცემებს, ჟურნალების სამეცნიერო საბჭოებს, გამოქვეყნებული ნაშრომების ხილვადობას, აკადემიური წერის მაღალი კულტურას და ა.შ. ნაკლებად რეიტინგული გამოქვენებები შეიძლება იყოს გარდამავალი ეტაპი, მაგრამ არა ინტენაციონალიზაცია. აღნიშნავენ, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონი მეტი ხარისხიანობის და/ან ინტერნაციონალიზაციის საშუალებას ვერ გვაძლევს. მეორე არის უნივერსიტეტის მიერ ფინანსური დახმარების საკითხი. მაგრამ აქ თავს იჩენს ასეთი რეალობა, „უნივერსიტეტს ყოველთვის არ შესწევს კვლევების საფუძვლიანად დაფინანსების უნარი, რაც გლობალური პრობლემაა. თუმცა, რომ უნივერსიტეტმა როგორმე უნდა მოაგვროს ეს პრობლემა". იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ დასაწყისში სჯობს იკლოს სადისერტაციო ნაშრომების რაოდენობრივმა მაჩვენებლებმა და იმატოს ხარისხმა, ამაღლდეს კულტურა, ხოლო შემდეგ რესურსიც ამის მიხედვით განაწილდეს. რაც შეეხება უცხოელი კოლეგის ჩართვას, უნივერსიტეტის აზრით, ეს აუცილებელია, უნივერსიტეტი რთავს კიდეც გარკვეულ პროგრამებში, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ ექსპერტს თუ პროფესორს აუცილებელია ძალიან კარგად ესმოდეს ადგილობრივი კონტექსტი, ადგილობრივი განათლების სისტემა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვერ გაითვალისწინოს: მენტალიტეტის, მორალის, თუნდაც რელიგიის, შესაძლებლობების მიხედვით და/ნ პირიქით, ეს რეკომენდაციები მთლიანად აცდენილი იყოს რეალობას, იმდენად, რომ კონკრეტული პროგრამა შემოაბრუნოს პოზიტიური განვითარების გზაზე. „უცხოელების ჩართულობა ასევე არის მიუკერძოებლობის მეტი გარანტი“ და მათი რეკომენდაციებიც არ იქნება ნაკარნახევი ვიწრო ინტერესებით, რაც, სამწუხაროდ, ხშირია ადგილობრივი ექსტერტების შეფასების დროს. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაცია ფასდება სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფის მიერ, რომელშიც შედის ადგილობრივი პროფესურა, რექტორი, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი და ა.შ.

თესაუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის აზრით, საზღვარგარეთის უნივერსიტეტიდან დაბრუნებული სტუდენტი ყოველთვის არის უკეთესი, უფრო მეტი უნარებით, მეტად იცის დროის ფასი, შრომის ფასი, წერის კულტურა და ა.შ. უცხოელი ექსპერტის ჩართულობა აუცილებელია, მათი გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია.

სჯსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამბობს, რომ ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის მჭიდრო კავშირია, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ინტერნაციონალიზაცია. უცხოელი ექსპერტების ჩართულობის კარგი პრაქტიკა აქვს უნივერსიტეტს, ეს ძალიან სასარგებლოა და სასურველი, თუმცა, ფუფუნებაა უნივერსიტეტისათვის. ინტერნაციონალზიაციის შეფასების დოკუმენტი უნდა არსებობდეს უნივერსიტეტში, სადაც ჩართული უნდა იყოს

რექტორატი, სამეცნიერო სამსახური და უხელმძღვანელოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

სჯსუ-ს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს ყველაფერში და მათ შორის ინტერნაციონალიზაციაშიც. ხარისხის სამსახური ვალდებულია ყველა მიმართულებით აკონტროლოს სწავლებისა თუ კვლევის, მენეჯმენტისა თუ მომსახურეობის და ა.შ. ხარისხი, და მათ შორის ინტერნაციონალიზაცია, შიდა პროგრამული უზრუნველყოფაც და გარე შეფასებაც. უნივერსიტეტისთვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ყოველთვის ხდება კარგი პრაქტიკის გაზიარება, მაგ. როდესაც ევროპაში პლაგიატის პროგრამა გამოსცადეს, ეს ეფექტიანად გამოიყენეს. ანუ მათი ჩართულობა უნივერსიტეტისთვის არის ხელშემწყობი ნებისმიერი საკითხის ბევრად უკეთ წარმართვასა და განხორციელებაში. შეფასების ნაწილში ხარისხის სამსახურმა უნდა შეაფასოს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურთან, უნივერსიტეტის რექტორატთან ერთად, ანუ ერთობლივად უნდა შეთანხმდეს ინტერნაციონალიზაციის შეფასების პოლიტიკა. „უნივერსიტეტს არ აქვს ინტერნაციონალზიაციის შეფასების ერთიანი პოლიტიკა და ეს არის ფაკულტეტების პრეროგატივა“.

შეჯამება:

უნივერსიტეტები აღიარებენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფასა და ინეტრნაციონაზლიაციას შორის არის კავშირი, ზოგმა დაასახელა, რომ კავშირი მჭიდროა და ისინი მხოლოდ აძლიერებენ ერთმანეთს. ინტერნაციონალიზაცია არის ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, რაც უნივერსიტეტის გლობალური მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ინტერნაციონალზიაციის შეფასებას პერიოდულად ერაზმუსის სააგენტოს და/ან ყველა დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ ყოველწლიური ანგარიშებით ახდენენ. ეს კავშირი არის არა რომელიმე მხარის უპირატესობით, არამედ ურთიერთგაძლიერებით, დახმარებით. ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სამსახური. აქვე აღნიშნეს მონიტორიგზე (რაც ფორმალურ მხარეს ამოწმებს) დახარჯული დრო და რესურსი გაცლებით მეტი, ვიდრე

პროექტების განხორციელებაზე იხარჯება, არის ზედმეტი ბიუროკრატია (ფურცლომანია) და ეს არის მანკიერი პრაქტიკა. საყურადღებოა, ინტერვიუების დროს გამოთქმული ერთი საინტერესო აზრი, ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციის პროცესის განმახორციელებლად დაასახელა სასწავლო პროცესების სამსახური, ხოლო შემაფსებლად - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, და არც ერთი ნაწილში მაგალითად, საერთაშორისო სამსახური. რამდენიმე რეგიონალურმა უნივერსიტეტმა აღნიშნა ცენტრალურ დონეზე ინტერნაციონალიზაციის შემოწმება, რაც გულისხმობს დოქტორანტების მიერ იმპაქტფაქტორიან გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წინაპირობად ადგილობრივ რეცენზირებას. რამდენიმე უნივერსიტეტის დოქტორანტმა იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიების ბეჭდვის პროცესში ერთად კონსულტანტად, დამხმარედ და შემფასებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი დაასახელა.

## 3.3. შედეგების ანალიზი

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ მკაფიოდ უწერიათ სტრატეგიულ გეგმებსა თუ მისიებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ ორგანიზაციული მიდგომა, თუმცა, დეტალურად გაწერილი შესრულების მექანიზმები და/ან შემდეგ შემოწმების დეტალური ფორმები და კრიტერიუმები არ არის. ამის გარეშე კი ინტერნაციონალიზაციის მრავალფეროვანი პროცესი მხოლოდ ფორმალურ ელფერს იძენს. გარდა ამისა, უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინტერნაციონალზიაციის გარკვეულ კომპონენტს, თუმცა, დემინგის შეფასების ციკლის კონკრეტულად რომელ ეტაპზე აკავშირებენ ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციას, ზუსტი პასუხი ვერ მივიღე. აქაც იკვეთება განხორციელებისა და შეფასების/განვითარების ნაწილში ფორმალობა. საყურადღებოა ანალიზის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდი დემინგის ციკლის დარღვევის შესახებ (გარდა შემოწმებისა) - დაგეგმვის ნაწილში (არასაჭირო საგნების შეთავაზება და საჭირო საგნების არ/ვერ შეთავაზება დოქტორანტებისათვის), განხორციელების ნაწილში (დაგეგმილი მობილობისა თუ საერთაშორისო პრაქტიკის დროს არასაკმარისად გამოყოფილი თანხა, სამეცნიერო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა სადისერტაციო კვლევასთან მიმართებით) და განვითარების ნაწილში (დოქტორანტები არ ავსებენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რადგან არავის არასდროს გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები, არ თვლიან საჭიროდ საერთაშორისო პორაგმებში მონაწილეობას კვლევის მიზნით).

ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე მივიღე შემდეგი პასუხები:

1.1 რა არის უნივერსიტეტებისთვის ინტერნაციონალიზაციის პროცესი/ორგანიზაციული მიდგომა? რატომ სურთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინტერნაციონალიზაციის დანერგვა და განხორციელება? თუ განსხვავდება ინტერნაციონალზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ფორმების შესახებ აქვთ საკმაო ინფორმაცია, თუმცა ორგანიზაციული მიდგომის ნაწილში ქაოტური, არასისტემური დამოკიდებულებაა, ინტერნაციონალიზაციის ცნების სიღრმისეული ვერგაგების გამო, შესრულების ნაწილი ზოგჯერ გაუაზრებლად ხორციელდება. რაც შეეხება დარგებს შორის სხვაობას, სახელდება ზუსტი მეცნიერებები და მედიცინა, სადაც მეტად ახერხებენ დარგის წარმომადგენლები საერთაშორისო კვლევებს და/ან პრაქტიკას. უნივერსიტეტები ამბობბენ, რომ მაქსიმალურად ცდილობენ უნივერსიტეტის ინტეგრირებას მსოფლიოს უმაღლეს, გლობალურ საგანმანთლებლო სივრცეში, თუმცა კონკრეტულ გზებს, გეგმებს ვერ ასახელებენ.

**1.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში – შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციულ მიდგომას?**

ამ შეკითხვაზე მათგან პასუხი ვერ მივიღე, რამდენადაც არ უდგებიან საკითხს ამ კუთხით.

**1.3. დემინგის (Deming 2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება ინტერნაციონალიზაცია?**

დღეისათვის უნივერსიტეტები ინტერნაციონალიზაციის აქტივობებზე უფრო აკეთებენ აქცენტს, ვიდრე შედეგებზერაც ძირითადად, გამოწვეულია ცნების სიახლით, ინტერნაციონალიზაციის, როგორც პროცესის არასიღრმისეული გაგებით, რის გამოც უნივერსიტეტების ინიციატივების ნაკლებობაა. დემინგის მოდელის მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება დაგეგმვის ნაწილში - რამდენადაც უნივერსიტეტების სტრატეგიებში, მისიებსა და სადოქტორო პროგრამებში გაწერილია, განხორციელების ნაწილშიც (შეძლებისდაგვარად, მაგრამ მაინც) - პუბლიკაციები, მობილობაში მონაწილეობა, უცხოელი თანახელმძღვანელი და/ან რეცენზენტი, შეფასების ნაწილში - პუბლიკაციები იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, თუმცა განვითარების ნაწილში - ნაკლებად, რამდენადაც, ასრულებენ ისე როგორც ესმით და როგორც შეუძლიათ.

**2.1. როგორ ესმით უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე? რატომ სურთ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელება? განსხვავდება თუ არა ხარისხის შეფასება მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?**

უნივერსიტეტისათვის სადოქტორო საფეხურზე ხარისხი ნიშნავს სწავლებისა და კვლევების მაღალ ხარისხს, კვლევის თანამედროვე მეთოდების რელევანტურ გამოყენებას, კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, კვლევების კომერციალიზაციას, საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულებას.

უნივერსიტეტები ინტენსიურად აფასებენ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს, კონკრეტულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, დოქტორანტების ხელმძღვანელობას. დარგებს შორის სხვაობა განპირობებულია მათი სპეციფიკით, რადგან სამეცნიერო აქტივობის და საერთაშორისი კონტაქტების დამყარების მცდელობა და პრაქტიკა აქვს აბსოლუტურად ყველა დარგს, თუმცა, ყველა ერთნაირი სიხშირითა და ეფექტით ვერ ახერხებს.

**2.2. ნაითის მოდელის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის რომელი ასპექტი ხორციელდება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სადოქტორო საფეხურზე შენატანი, პროცესი, ამონაგები? ორგანიზაციული მიდგომა?**

ნაითის მოდელს ამ ტერმინით არც იცნობენ და არც იყენებენ, ხოლო განმარტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტები აფასებენ შენატანს - სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული კანდიდატების შესაბამის კომპეტენციებს, პროცესს - სწავლებისა და კვლევის სრულ პროცესს ჩარიცხვიდან დასრულებამდე (საერთაშორისო მობილობა, დოქტორანტების გამოქვეყნებები, დასრულებული კვლევები) და ამონაგებსაც - გრანტით დაფინანსებული დოქტორანტების კვლევის ხარისხის (არსებობის შემთხვევაში), კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილობრივ და/ან უცხოურ შრომით ბაზარზე (არსებობის შემთხვევაში), კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

თუმცა, შესრულების ფორმალობა თანმდევია და გამოკვეთილი პრობლემების მიხედვითაც ნაითის მოდელის საფეხურები ყველა დონეზე ხარვეზებით მიმდინარეობს. *შენატანის ნაწილში* - უცხო ენის კურსის დამატების აუცილებლობა

ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაა უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე; *შესრულების ნაწილში* - სხვადასხვა ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების, ან გრანტის მოპოვების შემთხვევაში დასრულებული კვლევის შინაარსობრივი შემოწმების აუცილებლობა; უნივერსიტეტის რესურსების პრობლემა, ლაბორატორიების საჭირო რესურსებით აღჭურვა, რათა შესრულდეს ხარისხიანი კვლევა; იკვეთება სამეცნიერო ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი როლი დოქტორანტის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის წინსვლაში. *ამონაგების ნაწილში* - მობილობაში მონაწილეობის შემდგომ უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს დოქტორანტებისგან სრულყოფილი უკუკავშირი; კვლევების კომერციალიზაცია ნაკლებობაა და არ ხდება კვლევების პრაქტიკში დანერგვა, რასაც შედეგად მოჰყვება წარმატებული მეცნეირების ქვეყნიდან გადინება.

**2.3 დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე) რომელ ეტაპებზე ხდება სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა?**

უნივერსიტეტები სადოქტორო პროგრამების შეფასებისას დემინგის მოდელს იყენებენ განათლების განვითარების ციკლის ოთხივე ეტაპზე (დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება), თუმცა შესრულების ფორმალური ელფერი და მართვის top down მოდელი ხელს უშლის რეალური ხარისხის ამაღლებასა და უნივერსიტეტების ინიციატივებს.

**3.1. თუ დევს ინტერნაციონალიზაცია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში? ექვემდებარება ინტერნაციონალიზაცია ხარისხის უზრუნველყოფას?**

უნივერსიტეტები ცენტრალურ დონეზე ნაწილობრივ ამოწმებენ სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, ეს ძირითადად გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამებში, ფაკულტეტების დოქტორანტურის დებულებებით. უნივერსიტეტები ცდილობენ საკუთარი რესურებისა და შესაძლებლობების მიხედვით, დააფინანსონ პროფესორებისა და/ან დოქტორანტების გამოქვეყნებები იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში.

**3.2. დემინგის (Deming2018), მიერ შემოთავაზებული განათლების განვითარების ციკლის ოთხი ეტაპიდან (დაგეგმე, განახორციელე, შეააფსე და განავითარე) რომელ ეტაპზე ხდება ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება?**

დასაწყისითვის უნდა აღვნიშნო, რომ კითხვაზე პასუხი ძირითადად ვერ მივიღე, თუმცა, რამდენიმე რეგიონალურმა უნივერსიტეტმა მიპასუხა შედარებით ამომწურავად. უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის ხედვა აქვთ მისიებსა და სტარტეგიებში - ანუ დაგეგმვის ნაწილში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინეტრნაციონალიზიციას - ანუ განხორციელებისა და შეფასების ნაწილში. თუმცა, დემინგის შეფასების ციკლის კონკრეტულად რომელ ეტაპზე აკავშირებენ ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერანციონალიზაციას, ზუსტი პასუხი ვერ მივიღე.

მიუხედავად ამისია, არის პრობლემები, რომლის მიხედვითაც, ინტერნაციონალიზაციასთან ხარისხის კავშირი ნაკლებია, მაგ.: განხორციელების ნაწილში - სწავლების ხარისხის შემოწმების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია, თუმცა, არის ყოველსემესტრული გამოკითხვები, რომელიც არაა სავალდებულო და ძირითადად არ იცნობიან მის შინაარსს, შესაბამისად, მათი მხრიდან აქტივობა დაბალია; შეფასების ნაწილში - დოქტორანტურაში ჩაბარებისას დოქტორანტებს მოეთხოვბათ გრაფიკი, ყველა სემესტრში (დასრულებამდე) თუ რის გაკეთებას გეგმავდნენ, თუმცა, შემდეგ არავის შეუმოწმებია; გამოიკვეთა დოქტორანტების ნაკლები ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და/ან ინტერნაციონალიზაციის შესახებ; გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემოწმება არ ხდება შინაარსობრივად, პროგრამის დასრულების შემდეგ უტარდებათ ზედაპირული კითხვარი, შესაბამისად, ასეთ შემოწმებას არა აქვს უკუკავშირის ეფექტი; არის გარკვეული მიმართულებები, სადაც დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელად სტატიის გამოქვეყნება უღრესად რთულია.

**3.3. ინტერნციონალიზაციისა და ხარისხის შეფასების დაკავშირებისას თუ ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტები ნაითის ზოგადი სისტემური მოდელით (შენატანი, პროცესი, ამონაგები)?**

შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტები ნაითის შეფასების მოდელს არ იყენებენ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფა ხდება დემინგის ციკლის მიხედვით.

ძირითადად, ყველა დოქტორანტმა ინტერნაციონალიზაციის დადასტურებად დაასახელა კვლევების საერთაშორისო ხილვადობა, ან პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი კვლევები. დოქტორანტებისთვის უაღრესად ხელშემწყობად დასახელდა უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობა, ასევე დაასახელეს ეფექტიანი პრაქტიკა, როდესაც დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები ამოწმებენ/აფასებენ ერთმანეთის დოქტორანტების შრომებს.

**3.4. თუ არის საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი? ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცი თუ ხდება?**

ინტერნაციონალიზაცია არის ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, რაც უნივერსიტეტის გლობალური მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ეს კავშირი არის არა რომელიმე მხარის უპირატესობით, არამედ ურთიერთგაძლიერებით, დახმარებით. ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სამსახური. საყურადღებოა, ინტერვიუების დროს გამოთქმული ერთი საინტერესო აზრი, ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციის პროცესის განმახორციელებლად დაასახელა სასწავლო პროცესების სამსახური (!), ხოლო შემაფსებლად - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (!), და არც ერთი ნაწილში მაგალითად, საერთაშორისო სამსახური. რამდენიმე რეგიონალურმა უნივერსიტეტმა აღნიშნა ცენტრალურ დონეზე ინტერნაციონალიზაციის შემოწმება, რაც გულისხმობსდოქტორანტების მიერ იმპაქტფაქტორიან გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წინაპირობად ადგილობრივ რეცენზირებას. რამდენიმე უნივერსიტეტის დოქტორანტმა იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიების ბეჭდვის პროცესში ერთად კონსულტანტად, დამხმარედ და შემფასებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი დაასახელა.

დაჯამებულად გამოკვეთილი პრობლემები შეიძლება ასე დალაგდეს:

- უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ მკაფიოდ უწერიათ სტრატეგიულ გეგმებსა თუ მისიებში, შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ ორგანიზაციული მიდგომა, თუმცა, დეტალურად გაწერილი შესრულების მექანიზმები და/ან შემდეგ შემოწმების დეტალური ფორმები და კრიტერიუმები არ არის. ამის გარეშე კი ინტერნაციონალიზაციის მრავალფეროვანი პროცესი მხოლოდ ფორმალურ ელფერს იძენს
- უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინტერნაციონალზიაციის გარკვეულ კომპონენტს, თუმცა, დემინგის შეფასების ციკლის კონკრეტულად რომელ ეტაპზე აკავშირებენ ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციას, ზუსტად ვერ ასახელებენ
- ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ დემინგის ციკლის არასათანადოდ შესრულებაა (გარდა აწილისა) - დაგეგმვის ნაწილში (არასაჭირო საგნების შეთავაზება და საჭირო საგნების არ/ვერ შეთავაზება დოქტორანტებისათვის), განხორციელების ნაწილში (დაგეგემილი მობილობისა თუ საერთაშორისო პრაქტიკის დროს არასაკმარისად გამოყოფილი თანხა, სამეცნიერო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა სადისერტაციო კვლევასთან მიმართებით) და განვითარების ნაწილში (დოქტორანტები არ ავსებენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რადგან არავის არასდროს გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები, არ თვლიან საჭიროდ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობას კვლევის მიზნით)
- უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ფორმების შესახებ აქვთ საკმაო ინფორმაცია, თუმცა ორგანიზაციული მიდგომის ნაწილში ქაოტური, არასისტემური დამოკიდებულებაა, ინტერნაციონალიზაციის ცნების სიღრმისეული ვერგაგების გამო, შესრულების ნაწილი ზოგჯერ გაუაზრებლად ხორციელდება
- შესრულების ნაწილში ფორმალობა თანმდევია და გამოკვეთილი პრობლემების მიხედვითაც ნაითის მოდელის საფეხურები ყველა დონეზე ხარვეზებით მიმდინარეობს. *შენატანის ნაწილში* - უცხო ენის კურსის დამატების აუცილებლობა ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაა უცხო ენის ცოდნის

დონის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე; *შესრულების ნაწილში* - სხვადასხვა ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების, ან გრანტის მოპოვების შემთხვევაში დასრულებული კვლევის შინაარსობრივი შემოწმების აუცილებლობა; უნივერსიტეტის რესურსების პრობლემა, ლაბორატორიების საჭირო რესურსებით აღჭურვა, რათა შესრულდეს ხარისხიანი კვლევა; იკვეთება სამეცნიერო ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი როლი დოქტორანტის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის წინსვლაში. *ამონაგების ნაწილში* - მობილობაში მონაწილეობის შემდგომ უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს დოქტორანტებისგან სრულყოფილი უკუკავშირი; კვლევების კომერციალიზაცია ნაკლებობაა და არ ხდება კვლევების პრაქტიკში დანერგვა, რასაც შედეგად მოჰყვება წარმატებული მეცნიერების ქვეყნიდან გადინება.

ამ პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი იქნებ ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების შესაბამისი მოდელი, რომელიც მორგებული იქნება ქართული განათლების სივრცეს.

ნაითისა და დემინგის მოდელები კომბინირებული სახით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

| ნაითი | დემინგი |
|---|---|
| დაგეგმვა - *უნივერსიტეტის მიერ დასახული საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ინტერნაციონალიზაციის განზომილების უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციებში გაერთიანება, ჩართულობა, პოლიტიკა* | დაგეგმე - *მიმართულებებისა და მიზნების განსაზღვრა, მართვის სტრატეგიის განვითარება, დაგეგმოს ამოცანები, ხელმისაწვდომ რესურსების სისტემატურ ანალიზზე დააფუძნოს აქტივობები, ანუ უპასუხოს კითხვას - რისი მიღწევა სურთ და როგორ შეასრულებს მას* |
| საქმიანობა / ქმედებები - *საქმიანობის მიდგომა აღწერს ინტერნაციონალიზაციას ისეთი კატეგორიების ან საქმიანობის გაგებით, როგორიცაა სასწავლო გეგმა, მეცნიერთა / სტუდენტთა გაცვლა და ტექნიკური თანამშრომლობა* | განახორციელე - *დასახული აქტივობების განხორციელება* |

| კომპეტენციები (ანუ შედეგები) *იგულისხმება ახალი უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნის შემუშავება სტუდენტებში, პროფესორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალში. აქცენტი კეთდება ადამიანურ რესურსზე და არა აკადემიურ საქმიანობასა და ორგანიზაციულ საკითხებზე* | შეაფასე - *განხორციელებული ქმედებების შეფასება, შედეგების გაზომვა, კრიტიკულად ასახვა და დასახულ მიზნებთან შედარება* |
|---|---|
| ორგანიზაციული მიდგომა - *ყურადღების გამახვილება უნივერსიტეტში ეთიკის ან კულტურის შემუშავებაზე, რაც მხარს უჭერს კულტურათშორის და საერთაშორისო პერსპექტივებს და ინიციატივებს. მიდგომა მჭიდრო კავშირშია პროცესის მიდგომასთან* | განავითარე - *განვითარების საფეხურების ფორმულირება, გეგმების მოდიფიცირება საჭიროების შემთხვევაში და/ან მიზნების წინასწარ ფორმულირება, მიზნების მიღწევის შემდეგ მნიშვნელოვანია პოლიტიკის შენარჩუნება და გაუმჯობესება* |

თუ საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ამ მოდელს გამოიყენებენ ინეტრნაციოანლიზაციის შეფასებისას, ეს უფრო სისტემურს გახდიდა ინეტრნაციონალზიაციის მნიშვნელოვან და მრავალფეროვან პროცესს, იქნებოდა ტერმინის სიღმისეული გააზრებაც და მაქსიმალურად შემცირდებოდა პროცესის ქაოტურობა. როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული შენატანი, პროცესის/განხორცილების გზები, მეთოდები, საშუალებები და მოსალოდნელი შედეგები, ანუ ამონაგები, სისტემურადაა შესაძლებელი უნივერსიტეტბმა დაინახონ რამდენად ეფექტიანად ახორციელებენ ამ პროცესს, ან დაინახონ ნაკლოვნებები და ეფექტიანად გამოასწორონ. შესაბამისად, ეფექტიანი იქნებოდა:

- უნივერსიტეტმა შექმნან პრეცენდენტები, კვლევების დანერგვისა წარმოებაში და/ან დასაქმების ბაზრმა აითვისოს საუნივერსიტეტო კვლევები;
- აუცილებელია დოქტორანტი იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, ენობრივი კომპეტენციებითაც და თავის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზეც;

- უცხოელი ექსპერტის ჩართვისას ადგილობრივი სააგენტოს მიერ ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად გაცნობა, რათა ექსპერტთა მიერ მოწოდებული რჩევა/რეკომენდაციები რელევანტურად და ეფექტიანად გამოიყენონ უნივერსიტეტებმა საუნივერსიტეტო საჭიროებებისთვის;
- მობილობის ნაწილში ან აქტივობის შეფასებისას უნივერსიტეტებს არ აქვთ დეკლარირებული, გაწერილი შეფასების სისტემა, სქემა, არც პერსონალი, ვინც შეძლებს მაღალპროფესიონალურ დონეზე ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასებას ფორმალურ და შინაარსობრივ ნაწილში. რადგან არ შეიძლება შეფასებას ჰქონდეს ფორმალური დატვირთვა;
- ინტერნაციონალიზაციის შეფასება უნდა იყოს გაზომვადი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტებიი მთლიანობაში დაინახავდნენ ნაკლოვანებებს და დასახავენ გამოსწორებს გზებს;
- უნივერსტეტების მიერ ხშირად საკუთარი აკადემიური პერსონალის დაფინანსება მხოლოდ საჭირო აქტივობებში, სადაც მიღებული კომეპტენციები რეალურად იქნება გამოყენებული. უნივერსიტეტების ნებისმიერი აქტივობა განათლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნდა ემსახურებოდეს მიზანს, მაღალი კომპეტენციით აღჭურვილი კადრი ეფექტიანად გამოადგეს ადგილობრივ უნივერსიტეტს;
- შეფასებისას შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი სხვადასხვა სამსახურებიდან და მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან, უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს შემოწმების გზები, მეთოდები, მოხდეს ყველა საფეხურის დეტალურად გაწერა და განხორციელება;
- კონკრეტული სადოქტორო პროგრამის მიერ განისაზღვროს საერთაშორისო მობილობისთვის საზღვარგარეთის წონადი უნივერსიტეტები, რომელიც კონკრეტული დარგისთვის იქნება პრიორიტეტული;
- მნიშვნელოვანია უკვე არსებული მონიტორინგის პროცესი (რაც ფორმალურ მხარეს ამოწმებს), რომლეზეც დახარჯული დრო და რესურსი გაცლებით მეტი, ვიდრე პროექტების განხორციელებაზე იხარჯება. შესაბამისად, ეფექტიანი იქნება ზედმეტი ბიუროკრატიის მანკიერი პრაქტიკის შეცვლა შინაარსობრივი შემოწმებით, რომელიც მიმართული იქნება განვითარებისაკენ.

- სადოქტორო საფეხურზე კვლევების საფუძვლიანად დაფინანსების საჭიროება, რაც გლობალური პრობლემაა და გადაჭრის გზად შეიძლება მივიჩნიოთ, სადისერტაციო ნაშრომების რაოდენობრივი მაჩვენებლების კლება (დოქტორანტების ნაკლები რაოდენობის მიღება) და ხარისხობრივი მაჩვენებლების მატება, რითაც შესაძლებელი იქნება საუნივერსტეტო რესურსი დაფინანსების ნაწილში ამის მიხედვით განაწილდეს. ეს, თავის მხრივ, აამაღლებს ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის კულტურასაც.

საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა და აქვს სპეციფიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მათ შორის განათლების სისტემა. საქართველოსათვის ძირითადი სტრატეგიული მიზანი - ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება - ჯერ კიდევ მხოლოდ სამომავლო პერსპექტივაა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაუღალავი მუშაობაა. ჩვენი ქვეყნის განათლების სივრცეში ხშირია რეფორმების პირდაპირ გადმოტანა, ადგილობრივი კონტექსტის გაუაზრებლად, რაც, სამწუხაროდ, ართულებს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააზრებულად წარმართვას, აქვს ფორმალობის ელფერი და ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ობიექტურობასა და ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციოანლიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართების შესწავლა და კვლევის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა (ინტერნაციოანლზიაციის შეფასების სქემის სახით), უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ცნობადობისათვის. სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაცია ეს არის უფრო კულტურათა შორის დიალოგი, უნივერსიტეტის ინტეგრირებაა მსოფლიოს უმაღლეს, გლობალურ საგანმანთლებლო სივრცეში, ესაა ჩართულობა საერთაშორისო და საუნივერსიტეტო ქსელებში და ამ პროცესის გარეშე წარმოუდგენელია უნვერსიტეტეტის მისიის შესრულება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტებული საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ, (2019), MES 6 19 00435997, თბილისი
2. უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, (2008), თბილისი
3. ხარისხის უზრუნველოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, ESG 2015, ჰელსინკი
4. ლეჟავა დ. ამაშუკელი მ. ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, (2016), თბილისი
5. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, დარჩია ი. (2013), თბილისი
6. გომელაური ზ. თავხელიძე მ. უმაღლესი განათლების ხარისხი მართვა აკრედიტაცია, (2004), თბილისი
7. სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, (2012), თბილისი
8. ჰოფსტედე გირტ; ჰოფსტედე გერტიან, კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (2011), თბილისი
9. ჯავახიშვილი ნ. ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიიდან, (2011), თბილისი
10. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ნოემბერი, (2008), თბილისი
11. XX საუკუნის ისტორია, TIME, დეკოლონიზაცია, (2014), გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი
12. დავითაძე ლ. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის კვლევა (საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, (2018), თბილისი
13. მერაბიშვილი ნ. სტუდენტთა ჩართულობა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, (2018), თბილისი

14. ვაჭარაძე ხ. საქართველოს უსდ-ებში ინეტრნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართება ხარისხის უზრუნველყოფასთან“, სამაგისტრო ნაშრომი, ილიაუნი, (2018), თბილისი

15. ალფენიძე ო. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი და მისი სრულყოფის მიმართულებები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, (2014), თბილისი

16. ბრეგვაძე თ. გურჩიანი ქ. გრძელიძე ი. კახიძე ა. უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში, (2017), თბილისი

17. საქართველოში უმაღლესი კვლევის დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი, პოლიტიკის დოკუმენტი, ავტორთა ჯგუფი, (2014), თბილისი

18. უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში, ერაზმუს + ეროვნული ოფისი საქართველოში, (2017), თბილისი

19. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა: გამოცდილება და გამოწვევები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისი, (2019), თბილისი

20. ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში, ვახტანგ სართანია, გლობალიზაცია და ბიზნესი. #2, (2016), თბილისი

21. სადოქტორო განათლება საქართველოში, ანგარიში, კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (2012), თბილისი

22. სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში, ანგარიში, კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (2014), თბილისი

23. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3, 2007 წლის 5 იანვარი

24. ვარდოსანიძე ფ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში, - http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=edu&list_aut=10094 , 2021

25. ვარდოსანიძე ფ. ხარისხისა და მართვის კონტროლი, როგორც უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმაპირობებელი ფაქტორი (საქართველოს მაგალითზე), გამომც. ინტელექტუალი, ISSN 1512-2530, (2017), თბილისი

26. ვარდოსანიძე ფ. კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხები საქართველოში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, (2014) გორი

27. Vardosanidze P. Georgia and Baltic States: Some aspects of postSoviet education quality assessment, https://www.folklore.ee/CEES/2017/programme_variation2017.pdf https://www.iferp.in/copyright/processing/certificate-copyright/download.php (2017), Tartu, Estonia

28. Bregvadze T. Medjad K. Bregvadze T. Research performance in Georgia: analysis and recommendations G-Pac. GRASS, (2014), Tbilisi

29. Javakhishvili N. Glonti L. Still in Transition: Quality Assurance Systems in Georgia, (2011), Tbilisi

30. Jibladze E. Institutional Transformtion and Lackof Improvement in the Higher Education system of Post-Revolution Georgia, (2015), Budapest, Hungary

31. Tight M. Globalization and internationalization as frameworks for higher education research, 2019

32. Marinoni G. Egron-Polak E. and Green M. A changing view of the benefits of HE internationalization, (2019), USA

33. Marinoni G. Egron-Polak R. Lessons About Internationalisation of Higher Education. Learned from the Internationalization Strategies Advisory Service of the International Association of Universities, Supp. 29, I-2018

34. Zomer A. and Benneworth P. The Rise of the University's Third Mission, (2011), University of Twente, The Netherlands

35. Billing D, International Comparisons and Trends in External Quality Assurance of Higher Education: Commonality or Diversity? Vol. 47, No. 1, 2004

36. Jooste N. and Heleta S. Changing the mindset in internationalisation research, 2015

37. Martin M. Stella A. External quality assurance in higher education: making choices, (2007), Paris, French

38. Larsen M.A. Internationalization in Canadian Higher Education: A Case Study of the Gap between Official Discourses and On-the-Ground Ralities, 2015

39. Mykhailyshym H., Kondur O., Serman L., Innovation of Education and Educational Innovations in Conditions of Modern Higher Education Institution, 2018

40. Wit H. D. and Schendel R. Internationalization Higher Education, 2019

41. Kottman A. Huisman J. Brockerhoff L. Cremonini L. Mampaey J. How Can One Createe a Cumture for Quality Enhancement? Final Report, 2016

42. G.W.G. Bendermacher, M.G.A. oude Egbrink, I.H.A.P. Wolfhagen, D.H.J.M. Dolmans, Unravelling Quality Culture in Higher Education: A Realist Rewiev, 2017

43. Joint Staff Working Document, Association Implementation Report on Georgia, Brussels, (6.2.2020), SWD (2020) 30 Final

44. Engel L. Sandström A-M. Ruud van der Aa, Glass A. The EAIE Barometer Internationalization in Europe, 2015

45. Söderqvist M. Internationalization and Its Management at Higher Education Institutions, (2017), Helsinki

46. Wit H.d. Trends, Issues and Challenges in Internationalisation of Higher Education, (2011), Amsterdam

47. Abdouli T. Higher Education Internationalization and Quality Assurance in North–South Cooperation, (2019), Tunisia

48. Taskoh A.Kh. A Critical Policy of Internationalization in Postsecendary Education, An Ontario Case Study, PhD Thesis, (2014), Ontario

49. Gibbs G. Dimensions of Quality, ISBN 978-1-907207-24-2, 2010

50. Knight J. Wit H.d. Internationalization of higher education: Past and future 2018

51. Knight J. Philip G. Altbach, The Internationalization of Higher Education: Motivations and Realities, 2007

52. Knight J. Internationalziation of Higher Education: New Direction, New Chellenges, (2005), Ontario

53. Knight J. Updating the Defination of Inetrnationalization, (2011), Ontario

54. Knight J. Inetrnationalization: Elemnts and Checkpoints, Canadian Bureau for international Eduation, N7, 1994

55. Wit H.d. Trends, Issues and Challenges in Internationalization of Higher Education, ISBN 978-90-817122-1-7, (2011), Amsterdam

56. Po-Youn Liu, The Imackts of Internationalization on Quality Assurance Policy: A Comparative Study of Finland and Taiwan, Master's Thesis, Finland, 2008

57. Jaspers' Concept of the University, 1976

58. Damme D.V. Internationalization and quality assurance: Towards worldwide accreditation? European Journal for Education Law and Policy volume 4, Article number: 1, 2000

59. https://www.immi.se/intercultural/nr11/stier.pdf

60. https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf

61. https://www.insidehighered.com/blog/377236

62. https://www.universityworldnews.com/post.php?story=20190128144240325

63. https://books.google.ge/books?id=Q0AlDwAAQBAJ&printsec=frontcover&dq=the+practical+approach+of+internationalization+-+de+wit&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwik5_zBvoDnAhVJ4aQKHYPnCOEQ6AEIJzAA#v=onepage&q&f=false

64. https://deming.org/explore/pdsa/

65. https://www.researchgate.net/publication/225083599_More_Value_to_Defining_Quality

66. https://eric.ed.gov/?id=EJ1086904

67. https://trepo.tuni.fi/handle/10024/79817

68. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=FRJHAQAAQBAJ&oi=fnd&pg=PA17&dq=Maringe,+F,+2010,+the+meanings+of+internationalization+on+quality+assurance+policy&ots=LtKkdtg2v2&sig=cQUDbqSJr2777blteN-GfsBb4bc&redir_esc=y#v=onepage&q&f=true

69. https://www.insidehighered.com/blog/377236

70. https://www.universityworldnews.com/post.php?story=20190128144240325

71. https://www.scinapse.io/papers/2161905785

72. https://brill.com/view/book/edcoll/9789463511612/BP000003.xml

73. https://www.worldcat.org/title/external-quality-assurance-in-higher-education-making-choices/oclc/163584559

74. https://www.eqar.eu

75. http://www.ehea.info/page-ministerial-declarations-and-communiques

76. http://www.ehea.info/page-ministerial-conference-paris-2018

77. http://www.ehea.info/page-ministerial-conference-rome-2020

78. http://www.ehea.info/page-ministerial-conference-yerevan-2015

79. http://www.ehea.info/Upload/document/ministerial_declarations/2003_Berlin_Communique_English_577284.pdf

80. http://www.ehea.info/Upload/document/ministerial_declarations/2005_Bergen_Communique_english_580520.pdf

81. http://ec.europa.eu/education

82. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0379772930180303?journalCode=chee20

83. https://eqe.ge/res/docs/eqeannualreport_2013.pdf

84. https://eqe.ge/res/docs/angarishi2006.pdf

85. https://eqe.ge/ka

86. https://eqe.ge/res/docs/NCEQE_STRATEGY_2016-2020.pdf

87. https://eqe.ge/res/docs/2019%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_31.03.2019.pdf

88. http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=&list_aut=1022

89. https://tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

90. https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf

91. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission

92. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/history

93. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/history/developmentstrategy2024

94. https://gtu.ge/AboutStu/regulation.php

95. https://gtu.ge/AboutStu/Mission.php

96. https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf

97. https://atsu.edu.ge/index.php/university-history-geo

98. https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo

99. https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo

100. https://www.bsu.edu.ge/main/page/2-7/index.html

101. https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html

102. https://www.bsu.edu.ge/main/page/2-35/index.html

103. http://tesau.edu.ge/universitetis-istoria

104. https://tesau.edu.ge/universitetis-misia

105. http://tesau.edu.ge/files/1/gegma/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%202018-2025%20%E1%83%AC.pdf

106. https://sjuni.edu.ge/%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%90/

107. https://sjuni.edu.ge/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%93%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%a6%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91/

108. https://sjuni.edu.ge/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%90-2/

109. http://erasmusplus.org.ge/ka

110. https://mes.gov.ge/uploads/News/+%20deklaracia.pdf

111. https://iec.gov.ge/

112. https://rustaveli.org.ge/

113. https://www.mes.gov.ge/uploads/News/kvalifikaciebis%20charchoebi.pdf

114. https://www.scribd.com/document/521080515/Internationalization-of-Higher-Education-Past-and

115. https://www.eiu.com/n/higher-education-institutions-must-fight-to-adapt-in-a-rapidly-changing-world/

116. https://grass.org.ge/uploads/other/2019-06-06/479.pdf

117. https://grass.org.ge/ka/projects

118. https://www.universityworldnews.com/post.php?story=20180406155846552

119. https://books.google.ge/books?id=hSSHDQAAQBAJ&pg=PA25&lpg=PA25&dq=jane+knight+typology&source=bl&ots=bmgJjs8NAU&sig=ACfU3U2ka2uC32marVJTEIVI98dg7z436g&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiG87u_jazpAhXIGuwKHUQ4DV0Q6AEwAXoECAoQAQ#v=onepage&q&f=false

120. https://books.google.ge/books?id=GBotltCqeMAC&pg=PA205&lpg=PA205&dq=jane+knight+typology&source=bl&ots=_ZNgviQNEa&sig=ACfU3U3y6JGiAOSsjJ6B1mAYvUBlkUcYQA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiG87u_jazpAhXIGuwKHUQ4DV0Q6AEwAHoECAcQAQ#v=onepage&q&f=false

121. file:///C:/Users/p.vardosanidze/Downloads/AP_article_24263_en_1.pdf

122. https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/78977000/Reading_the_Int_Imperative_HEP_2022-libre.pdf?1642435513=&response-content-disposition=inline%3B+filename%3DReading_the_Internationalisation_Imperat.pdf&Expires=1645194146&Signature=QAfzbcBUmyTcACzWVYlbFMfxZ9NJIPTG-fuqax3octBCJDiB70-CXjEssjDB2xrlJWDfrsv1uFxy4Ns1b3CV~CiOOou1L65A0Z-ECLhpNo6WHwHsnkKbbr1nyiP6TF0h5J95IOCoguSSlgxcv6BrO0PFLc-2KiINKFwZPWHJqnn0Tf4k-tXEoKxiydy-xYh8-JHC5WBKVCELEV6DT3wz7hbO6SBL-D-FYRYKVGDti88T0yUvuQyEEbjJLsuEUpfS1OgsH558vVWiGkN5Xji1XijqMAcn2pCAKbGgA8Pd0zGboZXV0QdE2ch1hM-tz0nIHgVs77xpZCHDP3DAaxGPvg__&Key-Pair-Id=APKAJLOHF5GGSLRBV4ZA

123. https://link.springer.com/article/10.1057/s41307-021-00259-5

124. https://scholar.google.com/scholar_url?url=https://scholar.archive.org/work/wz7tv2w67bfoxgdohf5c4z7blm/access/wayback/http://jurnal.kemendagri.go.id/index.php/jbp/article/download/911/474&hl=en&sa=X&d=895419163930925809&ei=oRX1YYCFOYq5ygT-o6eIAQ&scisig=AAGBfm31sPbsDshsxbvL-Sy4wFJ4ge3SJg&oi=scholaralrt&hist=9YmbqrkAAAAJ:18015386470017515679:AAGBfm1TwyqvQTa8DCY-GLCh7eQ2TuTyRg&html=&pos=0&folt=rel

125. https://scholar.google.com/scholar_url?url=http://ae.fl.kpi.ua/article/view/222814/247149&hl=en&sa=X&d=17763936341603791538&ei=tVvQYdvKMLvGsQLJnqmwDA&scisig=AAGBfm2zqlBSs-Y42kBUTBDq4ow0QNjRDA&oi=scholaralrt&hist=9YmbqrkAAAAJ:18015386470017515679:AAGBfm1TwyqvQTa8DCY-GLCh7eQ2TuTyRg&html=&folt=rel

126. https://www.researchgate.net/profile/Alexander-Lenger/publication/357203647_Global_Inequality_and_Widening_Global_Access_in_Cross-Border_and_Transnational_Higher_Education_The_Case_of_the_Global/links/61c16f

5f4b318a6970f801d2/Global-Inequality-and-Widening-Global-Access-in-Cross-Border-and-Transnational-Higher-Education-The-Case-of-the-Global.pdf

127. https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9781003003380-24/internationalization-doctoral-research-education-yulia-tolstikov-mast-jennie-walker-pamela-lemoine-dionne-rosser-mims

128. https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9781003003380-24/internationalization-doctoral-research-education-yulia-tolstikov-mast-jennie-walker-pamela-lemoine-dionne-rosser-mims

129. https://link.springer.com/article/10.1007/s10734-021-00782-9

130. https://www.researchgate.net/profile/John-Donnellan-2/publication/356175303_Sustainability_of_Internationalization_in_Higher_Education/links/618ed85e07be5f31b7754224/Sustainability-of-Internationalization-in-Higher-Education.pdf

131. https://www.ojed.org/index.php/jise/article/view/3833

132. https://ojed.org/index.php/gsm/article/view/3573

133. https://www.ojed.org/index.php/gsm/article/view/4253

134. https://www.ojed.org/index.php/jise/article/view/3833

135. https://ojed.org/index.php/gsm/article/view/3573

136. https://www.ojed.org/index.php/gsm/article/view/4253

137. https://ojed.org/index.php/gsm/article/view/3021

138. https://link.springer.com/article/10.1007/s10734-021-00767-8

139. https://scholar.google.com/scholar_url?url=http://lingcure.org/index.php/journal/article/download/1474/239&hl=en&sa=X&d=8521462565678454095&ei=nJxPYbCBEoKNmwHwnofoAg&scisig=AAGBfm10FUjecPsrL3AvHKu3YwnHomxSIA&oi=scholaralrt&hist=9YmbqrkAAAAJ:18015386470017515679:AAGBfm1TwyqvQTa8DCY-GLCh7eQ2TuTyRg&html=&folt=rel

140. https://www.researchgate.net/profile/Ianina-Scheuch/publication/353002976_Research_for_the_Internationalization_of_Vocational_Education_and_Training_Current_State_and_Future_Perspectives/links/613687fa0360302a008420ac/Research-for-the-Internationalization-of-Vocational-Education-and-Training-Current-State-and-Future-Perspectives.pdf

141. https://www.researchgate.net/publication/354697207_Mobilizing_Whiteness_Race_Futurity_and_Globalization_of_Higher_Education_In_P_Mattei_X_Dumay_E_

Mangez J Behrend Eds Oxford Handbook on Education and Globalization Oxford Oxford University Press

142. https://scholar.google.com/scholar_url?url=https://www.ojed.org/index.php/gsm/article/download/2292/1561&hl=en&sa=X&d=1754634189139O522949&ei=nJxPYbCBEoKNmwHwnofoAg&scisig=AAGBfm3gBosLrAonFVH9erPpvjiSMlr58A&oi=scholaralrt&hist=9YmbqrkAAAAJ:18015386470017515679:AAGBfm1TwyqvQTa8DCY-GLCh7eQ2TuTyRg&html=&folt=rel

143. https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9780429444289-16/internationalisation-higher-education-jane-woodin-paloma-castro-ulla-lundgren

144. https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9780429323041-18/massification-higher-education-diminishing-discrimination-sayantan-mandal

145. http://scholar.google.com/scholar_url?url=https://api.taylorfrancis.com/content/books/mono/download%3FidentifierName%3Ddoi%26identifierValue%3D10.4324/9780429294877%26type%3Dgooglepdf&hl=en&sa=X&d=7323558762792799153&ei=XSiUYPysMOTTsQLdgI_YAw&scisig=AAGBfm1FLWtZvmU49om4_l8ra1Kw0Rauow&nossl=1&oi=scholaralrt&hist=9YmbqrkAAAAJ:18015386470017515679:AAGBfm1TwyqvQTa8DCY-GLCh7eQ2TuTyRg&html=&folt=rel

146. https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/ejed.12448

147. https://brill.com/view/book/9789004464018/BP000022.xml

# დანართები

## დანართი 1

ინფორმაცია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურიდან

2011 წლიდან (თქვენი უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიხედვით) რამდენმა დოქტორანტმა ჩააბარა და რამდენმა დაამთავრა?

| ჩააბარა | დაამთავრა | ზუსტი/საბუნებისმეტ. | ჰუმანიტარული | სოც/პოლიტიკური | ფსიქოლოგია/განათლება | მედიცინა | ეკონომიკა | იურიდიული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2011 - | | | | | | | | |
| 2012 - | | | | | | | | |
| 2013 - | | | | | | | | |
| 2014 - | | | | | | | | |
| 2015 - | | | | | | | | |
| 2016 - | | | | | | | | |
| 2017 - | | | | | | | | |

## დანართი 2

*თემა 1 - განათლება სადოქტორო საფეხურზე*

1.1 როგორ გასწავლიან კვლევას სადოქტორო საფეხურზე?
1.2 რამდენად კმაყოფილი ხართ? საკმარისია უსდ-ს მიერ შემოთავაზებული კურსი/ები კვლევის სწავლებისათვის?
1.3 რის გამოსწორებას ისურვებდით? (თუ ასახელებს) შესაძლებელია ამისი გაკეთება?
1.4 რამდენად აღწევთ მიზანს, რაც დაისახეთ სადოქტორო საფეხურზე ჩაბარებისას?
1.5 რა ბარიერების გადალახვა მოგიწიათ ამ პროგრამაზე ჩაბარებიდან დასრულებამდე? საერთაშორისო გამოქვეყნებების შესრულებამ გააჩინა პრობლემა? დოქტორანტის მიერ სტატიის გამოქვეყნებისას ხომ არ არის თანაავტორობის და/ან პირველი ავტორობის აუცილებლობის საკითხი? ან აკრძალვა, მაგალითად თანაავტორობის?

თემა 2 - ხარისხი სადოქტორო საფეხურზე

2. ხდება თუ არა სწავლების/სწავლის ხარისხის შემოწმება? თუ კი, როგორ? რა გზებით?კონკრეტულად რას ამოწმებენ?
2.1 თუ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფა დოქტორანტების გამოქვეყნებებს?
2.2 თუ დიახ, როგორ მოწმდება?
2.3 თუ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფა სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს? თუ დიახ, რით მოწმდება?
2.4 თუ ტარდება დოქტორანტების გამოკითხვა?
2.5 თქვენ მიერ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასა და შედეგს თუ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფა?

თემა 3 - ინტერნაციონალიზაცია სადოქტორო საფეხურზე

3.1 ხდება თუ არა სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაცია?
3.2 როგორ ხდება ინტერნაციონალიზაცია თქვენს უსდ-ში სადოქტორო საფეხურზე?
3.3 როგორ გიწყობთ ხელს დოქტორანტებს ინტერნაციონალიზაციის ნაწილში უსდ?
3.4 საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს როგორ აფასებთ? თავად თუ მიიღეთ მონაწილეობა, რა მოგცათ?
3.5 განსხვავდება თუ არა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

თემა 4 - ხარისხისა და ინტერნაციონალიზაციის კვეთა

4.1 რამდენად სჭირდება ინტერნაციონალიზაციის პროცესს შეფასება?
4.2 ვინ უნდა აფასებდეს?
4.3 როგორ ფიქრობთ, ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა გაზომოს ინტერნაციონალიზაცია? *(თუ არ დაასახელებს ხარისხს)*
4.4 თუ დიახ, როგორ? *(თუ არ დაასახელებს ხარისხს)*
4.5 როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის ხარისხს?
4.6 ხარისხის შეფასების ინტერნაციონალიზაცია უნდა ხდებოდეს?
4.7 არის თქვენ უნივერსიტეტში ხარისხის შეფასების ინტერნაციონალიზაცია?

# დანართი 3

თემა 1 - ინტერნაციონალიზაცია

1. როგორ გესმით ინტერნაციონალიზაცია საერთოდ და მესამე საფეხურზე? - პროცესი, მოტივაცია, აქტივობები, შედეგები

- სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია - პროცესი
- რატომ სურთ უსდ-ებს ინტერნაციონალიზაცია? რა ამოძრავებთ? მაგ. კულტურული მრავალფეროვნება, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტების და თანამშრომლების განვითარება, ეკონომიკური და საერთაშორისო სტანდარტები, კონკურენტუნარიანობა, შემოსავლის წარმოება თუ სხვა? - მოტივაცია

- ინტერნაციონალიზაციის ისეთი კატეგორიები ან საქმიანობა, როგორიცაა საერთაშორისო კურიკულუმი, პროგრამა მეცნიერთა / სტუდენტთა გაცვლა? - აქტივობა
- ინტერნაციონალიზაციით სასურველი შედეგების მიღება, მაგ. ახალი უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნის შემუშავება სტუდენტებში, პროფესორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალში - შედეგები

1.1. თუ ხდება თქვენს უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის შეფასება? თუ დიახ, როგორ?

1.2. ინეტრნაციონალიზაციის გაძლიერებისთვის რა პოლიტიკა აქვს თქვენს უსდ-ს? თქვენს სამსახურს? არის თუ არა ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის პოლიტიკა? (ნაითი)

| |
|---|
| ჩართულია რექტორატი: რექტორი, პრორექტორი, დეკანები, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭო... |
| პროფესორები და თანამშრომლები - ახორციელებენ და ესმით..... |
| მისია და/ან სხვა სტრატეგიული დოკუმენტები - მკაფიოდ წერია ინტერნაციონალიზაციის მიზანი |
| არსებობენ შესაბამისი სამსახურები - საგარეო ურთიერთობების სამსახური |
| თანამშრომლების რაოდენობა და ფინანსები |
| ინტერნაციონაზალიცია გაწერილია უსდ-ს ბიუჯეტში, დაგეგმვაში, შეფასებაში |
| არსებობს სერვისები (სტუდენტების რეგისტრაციის, ალუმნი, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ა.შ.) |
| არსებობს დამხმარე ერთეულები (ბიბლიოთეკა, სწვლა/სწავლება, კურიკულუმის განვითარება, პროფესორებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების ტრენინგები, კვლევითი სერვისი) |
| სერვისები სტუდენტებისათვის (საორიენტაციო პროგრამები, კონსულტაციები, კროს-კულტურული ტრენინგები, რჩევები ვიზების შესახებ) |

2. არის თუ არა ინტერნაციონალიზაცია პროცესი (სისტემური მიდგომა, შენატანი-პროცესი-ამონაგები; ან დემინგი - დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება) თუ ეს მხოლოდ ცალკეული ქმედებების ნაკრებია?
3. როგორ უწყობთ ხელს დოქტორანტებს ინტერნაციონალიზაციის ნაწილში?
4. განსხვავდება თუ არა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

თემა 2 - კავშირი

1. არის თუ არა საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი? კერძოდ რა?
2. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უნდა იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაცია - მაგ: უცხოელი კოლეგების ჩართვა?
3. ინტერნაციონალიზაციას უნდა აფასებდეს ხარისხი?

## დანართი 4

თემა 1 - ხარისხის უზრუნველყოფა

1.1. როგორ გესმით ხარისხის უზრუნველყოფა მესამე საფეხურზე? - პროცესი, მოტივაცია, აქტივობები, შედეგები მაგალითად:
- სწავლების და კვლევის ხარისხი - პროცესი
- მაგ. სტუდენტების და თანამშრომლების განვითარება, ხარისხის ამაღლება, კონკურენტუნარიანობა, შემოსავლის გაზრდა - მოტივაცია
- ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი კატეგორიები ან საქმიანობა, როგორიცაა სტუდენტების გამოკითხვა, შეფასება - აქტივობა
- ხარისხის უზრუნველყოფით სასურველი შედეგების მიღება, მაგ. ახალი უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნის შემუშავებას სტუდენტებში, პროფესორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალში - შედეგები

1.2 რატომ სურთ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფა, რა ამოძრავებთ?
1.3 აფასებს თუ არა თქვენი სამსახური სადოქტორო პროგრამას? თუ კი, როგორ? რა გზებით?კონკრეტულად რას ამოწმებთ?
1.4 როგორ ზომავთ დოქტორანტის მიერ მიღებული განათლების ხარისხს?
1.5 თუ არა, რატომ? ან ხომ არ გეგმავთ?
1.6 როგორ ასწავლით კვლევას სადოქტორო საფეხურზე?
*1.7* რამდენად აღწევენ დოქტორანტები მიზანს, რომელსაც ისახავენ სადოქტორო საფეხურზე ჩაბარებისას?
1.8 რა უნარები/კომპეტენციები უნდა ჰქონდეს დოქტორანტობის კანდიდატს?
1.9 თუ ტარდება დოქტორანტების გამოკითხვა?
1.10 თუ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფა დოქტორანტების გამოქვეყნებებს? თუ დიახ, როგორ მოწმდება?
1.11 დოქტორანტის მიერ სტატიის გამოქვეყნებისას ხომ არ არის თანაავტორობის და/ან პირველი ავტორობის აუცილებლობის საკითხი? ან აკრძალვა, მაგალითად თანაავტორობის?
1.12 თუ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფა სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს? თუ დიახ, რით მოწმდება?

1.13 რას შეცვლიდით შეფასებაში? და თუ ხელგეწიფებათ ეს ცვლილებები?

1.14 თუ გაკმაყოფილებით პროგრამის ხარისხი? თუ დიახ, სად ჩანს, რომ პროგრამა წარმატებულია?

2. არის თუ არა ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის პოლიტიკა? (ნაითი)

| |
|---|
| ჩართულია რექტორატი: რექტორი, პრორექტორი, დეკანები, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები |
| პროფესორები და თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები |
| მისია და/ან სხვა სტრატეგიული დოკუმენტები – სადაც მკაფიოდ წერია ხარისხის უზრუნველყოფის მიზანი |
| არსებობენ შესაბამისი სამსახურები – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის მართვის სამსახური |
| თანამშრომლების რაოდენობა და ფინანსები |
| ხარისხის უზრუნველყოფა გაწერილია უსდ-ს ბიუჯეტში, დაგეგმვაში, ხარისხის შეფასებაში |

3. სადოქტორო პროგრამას შემოწმებისას თუ იყენებთ შეფასების, როგორც პროცესის მიდგომას – დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გამოასწორე, და შენატანი, პროცესი, ამონაგები თუ ეს მხოლოდ ცალკეული ქმედებების ნაკრებია?

4. განსხვავდება თუ არა ხარისხის შეფასების პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?

თემა 2 - კავშირი

4. არის თუ არა საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის კავშირი? კერძოდ რა?

5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უნდა იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაცია - უცხოელი კოლეგების ჩართვა?

6. ინტერნაციონალიზაციას უნდა აფასებდეს ხარისხის სამსახური?